ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali-Taoba

js[if,fsb7 !( ctmntv,thb7 @)!@ 1223 (5913) afcb5 #) stshb



## ირაკლი ალასანია: „ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კუდ-ი და სოდ-ი გაუქმდება“

გვ. 4

# სკანდალი გლდანის ციხეში

რა კავშირშია პატიმრების ცემასთან თამაზ თამაზაშვილი? გვ.2



## აჭარაში ლეიბორისტებმა კანდიდატურები მეოცნებეების სასარგებლოდ მოხსნეს

გვ.2



## „მაესტროს“ კუთვნილ სატელიტურ ანტენებზე ყადაღა არც მოხსნილა

ტელეკომპანია „მაესტროს“ სატელიტური თეფშების დაზიანებასთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ჩაიშალა, _ ამის შესახებ განცხადება ტელეკომპანია „მაესტროს“ გენერალურმა დირექტორმა ილია კაკაბაძემ გააკეთა.

გვ.3

## რა შემთხვევაში აღიარებს „ქართული ოცნება“ არჩევნების შედეგებს

გვ. 6

## ვის ურჩია სააკაშვილს გაკეთილშობილება

რა შედეგს მოიტანს ძალადობა რეგიონებში

გვ.6





გვ.4

## კონსტანტინოპოლი აფხაზეთის ეკლესიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას არ მიიღებს!“

## „სამართლიანი არჩევნები“ არჩევნებზე ხმებს პარალელურ რეჟიმში დაითვლის

გვ.5

## ჩინოვნიკების სახელები ეკლესიის კედელზე მოოქროვილი ასოებით ამოტვიფრეს

გვ.5





GURIA NEWS

## „გურია ნიუსი“ უსაფრთხოების დაცვას ითხოვს

## ნესტან კირთაძე: ოპოზიცია სერიოზულ სტრატეგიულ შეცდომას უშვებს“

გვ. 5



ISSN 1987-9385

9 771987 938006

2 ჯაბა ჯიშკარიანსა და ჯაბა სამუშიას შორის შელაპარაკება მოხდა

5 მიხეილ სააკაშვილი: ლაზიკა 3-ჯერ, 4-ჯერ მეტი ფულის ამოღების საშუალებაა“

2 ხათუნა კალმახელიძე: ყველას, ვინც პატიმართა უფლებების დარღვევის პროვოცირებას გარედან ცდილობს, საკადრისი პასუხი გაეცემა!“

4 მთავრობის ვალია, არჩევნებში ყველა უცხოელ დამკვირვებელს მონაწილეობის საშუალება მისცეს!

კევ]ბ ოზსტკბ .ღბსტკბ იფღბ

## ხათუნა კალმახელიძე: ყველას, ვინც პატიმართა უფლებების დარღვევის პროვოცირებას გარედან ცდილობს, საკადრისი პასუხი გაეცემა!“

ყველას, ვინც პატიმართა უფლებების დარღვევის პროვოცირებას გარედან ცდილობს, კანონის ფარგლებში საკადრისი პასუხი გაეცემა, – ამის შესახებ სასჯელაღსრულების მინისტრმა ხათუნა კალმახელიძემ გლდანის №8-ე დაწესებულებაში გამოვლენილი დანაშაულებრივი სქემის საკითხზე გამართულ ბრიფინგზე განაცხადა.

მისი თქმით, სისტემის დისკრედიტაციის მიზნით, პატიმართა უფლებების რღვევის ფაქტები კიდევ ერთხელ ცხადყოფს, რომ საერთაშორისო სტანდარტებამდე სისტემაში ჯერ კიდევ ბევრია გასაკეთებელი.

„ჩვენი უთავრესი მიზანი იყო გამოგვევლინა დამნაშავეების ის ჯგუფი, რომლებიც მსჯავრდებულთა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ხარჯზე სისტემის დისკრედიტაციას ახდენდნენ. სამწუხაროა, რომ ჩვენს სისტემაში დღემდე მუშაობდნენ ადამიანები, რომლებიც კორუფციაში მონაწილეობით ხელყოფდნენ მსჯავრდებულთა უფლებებს. ასბოლუტურად შეურიგებლები ვიქნებით, ნებისმიერი დანაშაულებრივი ქმედების მიმართ. პატიმართა უფლებების განუხრელი დაცვა არის და იქნება სამინისტროს პრიორიტეტი. ყველას, ვინც გარედან ცდილობს პატიმართა უფლებების დარღვევის პროვოცირებას, საკადრისი პასუხი გაეცემა, კანონის ფარგლებში“, – განაცხადა ხათუნა კალმახელიძემ.

**ინტერპრესნიუსი**

## ჯაბა ჯიშკარიანსა და ჯაბა სამუშიას შორის შელაპარაკება მოხდა

„თავისუფალი საქართველოს“ ნაძალადევის მაჟორიტარობის კანდიდატს ჯაბა ჯიშკარიანსა და იმავე რაიონში ქდმ-ის მაჟორიტარობის კანდიდატს ჯაბა სამუშიას რადიო „უცნობის“ ეთერში სტუმრობისას შელაპარაკება მოუვიდათ. როგორც „პირველს“ ჯიშკარიანმა განუცხადა, ისინი რადიო „უცნობის“ ეთერში გადაცემა „დიალოგებში“ იყვნენ მიწვეულები, რაც შემდეგ მწვავე შეკამათებაში გადაიზარდა.

„მე სამუშიას ვუმტკიცებდი, რომ მისი პოლიტიკური პარტია ხელისუფლების თამაშს თამაშობს, მაგრამ არ დამიჯერა. ამან სამუშია წყობილებიდან გამოიყვანა, თუმცა დარწმუნებული ვარ, დაფიქრდება და დამიჯერებს“, – განაცხადა ჯიშკარიანმა, თუმცა არ დაუკონკრეტებია გადაიზარდა თუ არა მასსა და სამუშიას შორის შეკამათება ფიზიკურ შეხლა-შემოხლაში.

„იმდენად გამოვედი წყობიდან, რომ არ მახსოვს“, – დასძინა ჯიშკარიანმა.

**პირველი**

## მერაბ ქვარაია: ქართული ოცნების“ მაისურებში გამოწყობილი ნაციონალების აქტივისტები მოსახლეობას თანხებს ურიგებენ

კოალიცია „ქართული ოცნების“ ზუგდიდის საარჩევნო შტაბის ხელმძღვანელ მერაბ ქვარაიას განცხადებით, მათ მიერ მოპოვებული მტკიცებულებებით დასტურდება, რომ „ქართული ოცნების“ მაისურებში გამოწყობილი „ნაციონალური მოძრაობის“ აქტივისტები სამეგრელოს მოსახლეობას თითქოსდა, 22 სექტემბერს ზუგდიდის ცენტრში დაგეგმილ აქციაში მონაწილეობის სანაცვლოდ, გარკვეულ თანხებს ურიგებენ. როგორც მან დღეს გამართულ ბრიფინგზე განაცხადა, საუბარია მოსახლეობისათვის დაახლოებით 20-30 ლარის შეთავაზებაზე.

„გვინდა განვაცხადოთ, რომ „ქართულ ოცნებას“ თანხების დარიგებასთან არანაირი კავშირი არ აქვს“, – განაცხადა მან და ხელისუფლებას და „ნაცმოძრაობას“ მსგავსი ტიპის პროვოკაციების შეწყვეტისაკენ მოუწოდა.

მისი თქმით, ზემოხსენებული ფაქტი უკვე დაფიქსირდა ინგირში და არსებობს ინფორმაცია, რომ მსგავსი, რომ სხვა რაიონებშიც იგეგმება.

**მედიანიუსი**

# აჭარაში ლეიბორისტებმა კანდიდატურები მეოცნებეების სასარგებლოდ მოხსნეს

**თეა მარხვაიძე**




მშრომელთა პარტიაში სერიოზულად შეშფოთდნენ. ლეიბორისტების ლიდერების განმარტებით, მეოცნებეები და ხელისუფლება არჩევნების გაყალბებისთვის ემზადებიან. მშრომელები მეოცნებეებს მათი წევრების მოსყიდვაშიც ადანაშაულებენ. ამის შესახებ გუშინ საგანგებო განცხადება გააკეთეს.

მანამდე კი ცნობილი გახდა, რომ ბათუმსა და ხელვაჩაურში ლეიბორისტული პარტიის მაჟორიტარობის კანდიდატებმა „ქართული ოცნების“ კანდიდატების სასარგებლოდ საკუთარი კანდიდატურები მოხსნეს.

ამის შესახებ ლეიბორისტული პარტიიდან ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატმა თამაზ დევაძემ და ასევე ლეიბორისტული პარტიიდან ხელვაჩაურის მაჟორიტარობის კანდიდატმა ბიძინა დუმბაძემ გუშინ ბათუმში „ქართული ოცნების“ ოფისში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადეს.

თამაზ დევაძემ კანდიდატურა „ქართული ოცნების“ ბათუმის მაჟორიტარობის კანდიდატის, მურმან დუმბაძის სასარგებლოდ მოხსნა, ხოლო ბიძინა დუმბაძემ – ხელვაჩაურის დეპუტატობის კანდიდატ თემურ კახიძის სასარგებლოდ.

ეს გადაწყვეტილენა მათ ლეიბორისტული პარტიის იდეოლოგიასთან პრინციპული შეუთავსებლობით ახსნეს.

ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა პაატა ჯიბლაძემ ნაციონალური მოძრაობა და „ქართულ ოცნება“ მათ მომხრეებზე ძალადობასა და მოსყიდვაში ადანაშაულებს.

როგორც პაატა ჯიბლაძემ განაცხადა, სააკაშვილის ნაციონალური მოძრაობა და ივანიშვილის „ქართული ოცნება“ ზუსტად ერთნაირი, ბინძური მეთოდებით იბრძვიან არჩევნების გაყალბებაში პირველობისთვის.

– ამისთვის ადგილებზე ლეიბორისტული პარტიის აქტივზე ახორციელებენ ძალადობასა და მოსყიდვას. ნაციონალებთან თანამშრომლობის გამო დათხოვნილია თეთრიწყაროს და წალკის საარჩევნო ოლქებში ჩვენი პარტიიდან წარდგენილი წევრების სრული შემადგენლობა, ხოლო „ოცნებასთან“ თანამშრომლობისთვის დათხოვნილია მესტიისა და ყვარლის ასევე, სრული შემადგენლობა კომისიებისა. ამის გამო, მაჟორიტარობის კანდიდატობიდან მოხსნილია თეთრიწყაროში იოსებ ტატუნაშვილი, მესტიაში ფიქრია ავალიანი. ლეიბორისტული პარტია აგრძელებს მუშაობას იმისათვის, რომ მსგავსი ფაქტების გამოვლენა მომავალშიც მოხდეს. მივმართავთ საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს, დღეიდანვე განსაკუთრებულ კონტროლზე აიყვანონ ეს რეგიონები. წინააღმდეგ შემთხვევაში, იქ მომხდარ ფალსიფიკაციაზე პასუხისმგებლობა მათაც დაეკისრებათ, – აღნიშნა ჯიბლაძემ.

## ქართული ოცნების“ აქცია ზუგდიდის ცენტრალურ მოედანზე გაიმართება

საარჩევნო ბლოკ „ბიძინა ივანიშვილი – ქართული ოცნების“ აქცია ზუგდიდში გამგეობის შენობასთან, ცენტრალურ მოედანზე გაიამართება.

როგორც „ნიუსპრესს“ „ქართული ოცნების“ პრესსამსახურში განუცხადეს, ცენტრალურ მოედანზე აქციის გამართვის შესახებ ზუგდიდის მერიამ თანხმობა უკვე ოფიციალურად გასცა. „ქართული ოცნების“ რიგით მეთერთმეტე აქცია ზუგდიდში 22 სექტემბერს 16:00 საათზე დაიწყება.

**ნიუსპრესი**

## ქართული ოცნება“ სპეცუბნების ნაწილის არსებობას აპროტესტებს

საარჩევნო ბლოკი „ბიძინა ივანიშვილი-ქართული ოცნების“ დიდუბის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი ვახტანგ ხმალაძე საქართველოს მასშტაბით საპარლამენტო არჩევნებისთვის შექმნილი 70 სპეციალური უბნიდან ნაწილს უკანონოდ შექმნილს უწოდებს.

როგორც ხმალაძემ გუშინ პრესკონფერენციაზე განაცხადა, გამონაკლისის წესით, საოლქო კომისიის გადაწყვეტილებით, სპეციალური უბნები სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში, საავადმყოფოებსა და სხვა მსგავს შემთხვევებში შეიძლება შეიქმნას.

მისი თქმით, სამხედრო ნაწილებში შეიქმნა 70 სპეცუბანი, სადაც დღევანდელი მონაცემებით, 58 ათასზე მეტი ამომრჩეველია რეგისტრირებული. ხმალაძის განცხადებით, საბურთალოზე გახსნილ ერთ-ერთ სპეცუბანში სპეციალურ სიებში 6 ათასი, ხოლო დიდუბეში – 4 ათასი ამომრჩეველია შეყვანილი.

„თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ არჩევნებზე, შესაძლოა, ელექტორატის დაახლოებით 70% მივიდეს, მაშინ საბურთალოს სპეციალურ უბანში რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა არჩევნებზე მისული ამომრჩევლის 10%-ია, დიდუბეში კი 9%. რამაც შეიძლება არჩევნების საბოლოო შედეგზე მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს“ – განაცხადა ხმალაძემ.

მისი თქმით, საოლქო საარჩევნო კომისიებმა სპეციალური უბნები ისეთ დაწესებულებებში გახსნეს, რომლებიც არ არის სამხედრო ნაწილი, კერძოდ, დიდუბეში ორი საარჩევნო უბანი თავდაცვის სამინისტროში, ხოლო ერთი დაცვის პოლიციის შენობაშია გახსნილი.

ხმალაძის განცხადებით, მეორე პრობლემა, რაც სპეცუბნებს უკავშირდება სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩევლის როგორც მაჟორიტარული ისე პროპორციული სისტემით არჩევნებში ხმის მიცემაა.

მისი თქმით, საარჩევნო კოდექსის თანახმად, სპეციალურ სიაში შეყვანილი ამომრჩეველი როგორც მაჟორიტარული ისე პროპორციული სისტემით არჩევნებში მხოლოდ იმ შემთხვევაში მონაწილეობს თუ მისი ადგილსამყოფელი ერთი და იგივე საარჩევნო ოლქის ტერიტორიაზეა.

მან აქვე განმარტა, მაგალითად, თუ სამხედრო დავით აღმაშენებლის 5 ნომერში ცხოვრობს, რომელიც თავდაცვის სამინისტროს სპეციალურ სიაშია შეყვანილი, მას შეუძლია მონაწილეობა როგორც პროპორციული ისე მაჟორიტარული სისტემით არჩევნებში, მაგრამ თუ ის ჭავჭავაძის 5-ში ცხოვრობს და თავდაცვის სამინისტროს სიაშია, მაშინ მონაწილეობის მიღება მხოლოდ პროპორციული სისტემით შეუძლია.

ხმალაძის თქმით, საარჩევნო კომისიები აღნიშნული ნორმის არასწორ ინტერპრეტირებას ახდენენ.

აქვე ხმალაძე განმარტავს, რომ რადგან 1 ოქტომბერი არასამუშაო დღეა სპეციალურ სიაში მყოფი მოქალაქეები, რომლებიც ისეთ უბნებში არიან რეგისტრირებული, რაც სამხედრო ნაწილებს არ წარმოადგენს, ხმას ორჯერ მისცემენ.

ასე, რომ ხმალაძის განცხადებით, სპეციალურ სიაში მყოფი 58 ათასი ამომრჩეველი 116 ათასად შეიძლება გადაიქცეს. „ქართული ოცნება“ ამის გამო, საერთაშორისო ორგანიზიციებსა და სასამართლოს მიმართავს.

**ნიუსპრესი**

# სკანდალი გლდანის ციხეში

### რა კავშირშია პატიმრების ცემასთან თამაზ თამაზაშვილი?

**თეა მარხვაიძე**

უკვე წლებია, საქართველოში იმაზე ჩივიან, რომ ციხეში პატიმრებს არაადამიანურად ეპყრობიან. პატიმრების სიკვდილიანობამ საგანგაშო სახე მიიღო. ხელისუფლება კი ამტკიცებს, რომ იქ ყველაფერი კარგად არის.

გუშინ გავრცელდა ინფორმაცია, რომ შსს-მ პატიმრების ცემის გამო გლდანის ციხის მაღალჩინოსნები დააკავა. ეს, ცოტა არ იყოს, ყველას გაუკვირდა, რადგანაც აქამდე არავინ დაუსჯიათ.

ყველაზე საინტერესო და უცნაური ის იყო, რომ ეს ყველაფერი პატიმრობაში მყოფ თამაზ თამაზაშვილს დაუკავშირდა. მოგეხსენებათ, ეს უკანასკნელი ბიძინა ივანიშვილის ახლობელია. მასთან დაკავშირებით ხელისუფლება სხვადასხვა კლიპს ატრიალებს.

შსს-ს ცნობით, გლდანის მე-8 საპყრობილიდან მიღებული ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე დაიწყო გამოძიება სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცალკეულ თანამშრომელთა მიერ პატიმართა მიმართ დამამცირებელი ან არაადამიანური მოპყრობის ფაქტებზე.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიერ ერთობლივად განხორციელებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად დადგინდა, რომ მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, ოპერატიული მორიგე ინსპექტორი ვლადიმერ ბედუკაძე (ბედუკაძე გათავისუფლებულ იქნა თანამდებობიდან 2012 წლის მაისში) და მათი გავლენის ქვეშ მყოფი რამდენიმე პირი, წინასწარ შემუშავებული დანაშაუ-



ლებრივი გეგმის შესაბამისად, ახორციელებდა პატიმართა მიმართ არაადამიანურ მოპყრობას, რომელსაც ვიდეოფირზე იღებდნენ.

– მოპოვებული მტკიცებულებების შესაბამისად, დადგენილ იქნა, რომ პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ორგანიზების, მათი ვიდეოფირზე დაფიქსირებისა და სოლიდური ფულადი ანაზღაურების სანაცვლოდ დამკვეთებისათვის გადაცემის შეთავაზება საპყრობილის თანამშრომლებმა ამავე საპყრობილეში განთავსებული თამაზ თამაზაშვილისაგან მიიღეს. ამ ეტაპზე გამოძიების ხელთ არსებული მტკიცებულებებით ირკვევა, რომ დანაშაულის დამკვეთ მხარესთან კონტაქტის უზრუნველყოფა ხორციელდებოდა თავდაპირველად თამაზ თამაზაშვილის, ხოლო შემდგომ თამაზ ელიზბარაშვილის მეშვეობით. ლევან ფურცხვანიძის სამუშაო კაბინეტის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა პატიმართა მიმართ არაადამიანური მოპყრობის ამსახველი ვიდეოფირი და 17 000 აშშ დოლარი. არსებობს ვარაუდი, რომ გარდა აღნიშნულ ფირზე ასახული ფაქტისა, ჩადენილ იქნა სხვა ანალოგიური ხასიათის დანაშაულებრივი ქმედება. გამოძიების ამ ეტაპზე ბრალდებულებად იქნენ ცნობილი და დაკავებული არიან გლდანის მე-8 საპყრობილის უსაფრთხოების განყოფილების უფროსი ლევან ფურცხვანიძე, განყოფილების კონტროლიორი ლევან ფხალაძე და განყოფილების ინსპექტორი ბორის ფარულავა, ხოლო ვლადიმერ ბედუკაძის მიმართ გამოცხადებულია ძებნა. გამოძიება გრძელდება, – ნათქვამია განცხადებაში.

მართლა ძალიან კარგია, როცა პატიმრების წამების გამო ვიღაცებს იჭერენ, მაგრამ, ცოტა გაურკვეველია, რა კავშირი აქვს ამ ყველაფერთან თამაზ თამაზაშვილს.

საქართველოში პატიმრებს მანამდეც აწამებდნენ, სანამ თამაზაშვილს დაიჭერდნენ, ან საკითხავია, როგორ ახერხებდა ამას თამაზაშვილი, რომელზეც ხელისუფლებას მთელი ყურადღება აქვს მიპყრობილი, ეთერში კი მისი საწინააღმდეგო კლიპები ტრიალებს.

ამ ამბავმა სოციალურ ქსელებში დიდი გამოხმაურება ჰპოვა. შალვა რამიშვილმა კი გუშინ აჩვენა კადრები, როგორ სცემენ პატიმრებს. ამ ცემას თურმე „პატიმრად მიღება“ ჰქვია. რამიშვილი სრულიად სამართლიანად კითხულობს: „ესეც თამაზაშვილის დაკვეთით ხდება?!“

თამაზ თამაზაშვილის წინააღმდეგ აგორებულ მორიგ კამპანიას ბიძინა ივანიშვილიც გამოეხმაურა.

– მე ხვალ ფეხზე დავაყენებ მთელ მსოფლიო საზოგადოებას, რათა თამაზ თამაზაშვილს არაფერი ავნონ, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა თავისი თანაგუნდელის თამაზ თამაზაშვილის საკითხის კომენტირებისას განუცხადა.

კოალიციის ლიდერის თქმით, პატიმრობაში მყოფი თამაზ თამაზაშვილი მისი ახლობელია და მასთან წლების განმავლობაში თანამშრომლობდა.

– თამაზ თამაზაშვილი ჩემთვის ძალიან ახლობელია. ის წლებია, ჩემთან თანამშრომლობს. ახლა მისთვის ახალ ავანტიურას აწყობენ, – განაცხადა ბიძინა ივანიშვილმა.

ახალი თაობა

www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

# რით დაინტერესდნენ უცხოელი დიპლომატები ოპოზიციასთან შეხვედრისას

## „ქართული სოფელი ფეხზე უნდა დადგეს!“

ნათია ხურცილავა

პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნები საერთაშორისო თანამეგობრობამ უკვე შეაფასა ერთგვარ ტესტად. სწორედ საპარლამენტო არჩევნები გადაწყვეტს, რა მომავალი ექნება საქართველოს.



პირველი ოქტომბრის არჩევნების განსაკუთრებულობაზე ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰილარი კლინტონმა რამდენიმე თვის წინ საქართველოში ვიზიტის დროს გაამახვილა ყურადღება.

სახელმწიფო დეპარტამენტის, ევროკავშირისა და ნატოს მაღალი რანგის დიპლომატები ოფიციალურ თბილისს, ოპოზიციის ლიდერებს მოუწოდებენ, რომ ყველაფერი გააკეთონ იმისთვის, რომ არჩევნები თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში ჩატარდეს.

საქართველოში წინასაარჩევნო გარემოთი არაერთი ევროპელი თუ ამერიკელი მაღალჩინოსანი ინტერესდება.

მაღალი დონის დიპლომატები წინასაარჩევნოდ ხვდებიან ოპოზიციის ლიდერებს, ხელისუფლების წარმომადგენლებს და მათგან იღებენ ინფორმაციას.

ევროკავშირის ელჩი საქართველოში, ფილიპ დიმიტროვი საქართველოში არსებულ წინასაარჩევნო ვითარებას ინტენსიურსა და გადატვირთულს უწოდებს.

როგორც დიმიტროვმა გუშინ „შერატონ მეტეხი პალასში“ ჟურნალისტებს განუცხადა, წინა არჩევნების დროს საქართველოში არ ყოფილა, მაგრამ ყველა ამბობს, რომ ასეთი კონკურენტული საარჩევნო გარემო არასოდეს ყოფილა.

ევროკავშირის ელჩი საქართველოში აცხადებს, რომ აკვირდება პროცესებს და ხედავს, რომ ადამიანები კარგად არიან ინფორმირებულები და ხალხიც ინფორმირებულ არჩევანს გააკეთებს.

დიმიტროვის განცხადებით, ხალხი, როგორც არასდროს, ისეა ინფორმირებული და ეს იქნება საწინდარი იმის, რომ ადამიანებმა ინფორმირებული არჩევანი გააკეთონ.

ფილიპ დიმიტროვი ასევე საუბრობს ხალხის პრობლემებზე, მისი თქმით, რომ თქვას ხალხს პრობლემები არა აქვს, ამას არავინ დაიჯერებს.

— ქვეყანაში ბევრი რამ ხდება და ხალხი კარგად არის ინფორმირებული. ინფორმაცია ყველა ამომრჩევლამდეა მისული და ამომრჩეველი მზად არის, მიიღოს ინფორმირებული გადაწყვეტილება ისე, როგორც არასდროს. გარდა ამისა, ადამიანებს აქვთ თავიანთი პრობლემები. თუ გეტყვით, რომ საქართველოში პრობლემები არ არსებობს, ამას, რა თქმა უნდა, არ დამიჯერებთ. ველოდები, რომ ჩატარდება არჩევნები, სადაც ხალხს ექნება საშუალება, გამოხატოს საკუთარი პოლიტიკური არჩევანი, — აღნიშნა ფილიპ დიმიტროვმა.

ფილიპ დიმიტროვი სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ კოალიცია „ქართული ოცნების“ ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციას დაესწრო. შეხვედრა საერთაშორისო სამრეწველო პალატის ინიციატივითა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ორგანიზებით გაიმართა.

კოალიცია „ქართულმა ოცნებამ“ ეკონომიკური პროგრამა საერთაშორისო სამრეწველო პალატის წარმომადგენლებს გააცნო.

შეხვედრა საერთაშორისო სამრეწველო პალატის ინიციატივითა და ევროკავშირის წარმომადგენლობის ორგანიზებით, სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასში“ გაიმართა.

როგორც ჟურნალისტებს „ქართული ოცნება — დემოკრატიული საქართველოს“ აღმასრულებელმა მდივანმა, ნოდარ ხადურმა განუცხადა, კოალიცია სოციალურ-ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციას სხვადასხვა აუდიტორიის წინაშე ხშირად მართავს. მისივე თქმით, პროგრამა მოიცავს ყველა თემას, რაც უკავშირდება ბიზნეს-გარემოს ფორმირებას, საკუთრების უფლებების დაცვას, სასამართლოს და საგადასახადო სამსახურების პოლიტიკური ზეწოლისგან გათავისუფლებას. როგორც ხადურმა აღნიშნა, ეს ის ფუნქციებია, რაც მონოპოლიების რეგულირებას და ხარისხის უზრუნველყოფას უკავშირდება.

ნოდარ ხადურის განცხადებით, დიდი ინტერესი გამოიწვია მილიარდიანმა ინვესტიციამ, რომლის ჩადებასაც ივანიშვილი სოფლის მეურნეობაში აპირებს.

ხადური ასევე საუბრობს მილიარდიანი ინვესტიციის წყაროზე თუ საიდან მოხდება დაფინანსება.

— დიდი ინტერესი გამოიწვია სოფლის მეურნეობაში მილიარდი დოლარის ინვესტირებამ, რომელსაც ჩვენი ეკონომიკური პროგრამა გულისხმობს, ნაწილი იქნება ინვესტორების წილი, ნაწილი კი — სახელმწიფოს სახსრები. ეს კი საჭიროა, რათა ქართული სოფელი ერთხელ და სამუდამოდ წელში გაიმართოს, — აღნიშნა ნოდარ ხადურმა.

კოალიციის ეკონომიკური პროგრამის პრეზენტაციაში მონაწილეობდა საქართველოში ევროკავშირის ელჩი ფილიპ დიმიტროვი.

— დღევანდელი შეხვედრა არის ღონისძიებების სერიის ნაწილი, რომელშიც სხვადასხვა პარტიები მონაწილეობენ. ეს არის ფორუმი იმისთვის, რომ ასეთ პოლარიზებულ გარემოში სხვადასხვა პოზიციების მოსმენა მოხერხდეს. დაძაბულობის მიუხედავად, პარტიები სხდებიან და სხვადასხვა თემატიკაზე ერთად საუბრობენ, ძალიან დადებითი მომენტია, — განუცხადა ფილიპ დიმიტროვმა.

# „მაესტროს“ კუთვნილ სატელიტურ ანტენებზე ყადაღა არც მოხსნილა

ნათია ხურცილავა

**ტელეკომპანია 'მაესტროს' სატელიტური თეფშების დარიგებასთან დაკავშირებით ხელისუფლებასთან მოლაპარაკებები ჩაიშალა, — ამის შესახებ განცხადება ტელეკომპანია 'მაესტროს' გენერალურმა დირექტორმა ილია კიკაბიძემ გააკეთა.**

კიკაბიძის განცხადებით, მოლაპარაკებების შეთავაზება დაყადაღებული ანტენების დარიგებაზე მოჩვენებითი იყო და ყადაღის ახსნა არც იგეგმებოდა.

— ძალიან პრინციპული საკითხებია, რასაც არ დავთანხმდი. ისინი მიიჩნევენ, რომ მე ამომრჩევლის მოსყიდვას ვაპირებდი. ამის ეჭვი რჩება პროკურატურას. ამიტომ გადაწყვიტეს, რომ „საქართველოს ფოსტამ“ დაარიგოს ანტენები. მე ამას არ ვეთანხმები. ამომრჩევლის მოსყიდვას არ ვაპირებდი. სქემა, რომელიც ჩვენ გვქონდა, გულისხმობდა, რომ ანტენებს „საქართველოს ფოსტის“ ორი და ტელეკომპანიის ერთი წარმომადგენელი დაარიგებდა, რომელიც მონიტორინგს ჩაატარებდა და მოსახლესთან კონტრაქტს გააფორმებდა. ამ სქემაში რა არის ცუდი და როგორ შემეძლო ამომრჩევლის მოსყიდვა, არ ვიცი. აქედან გამომდინარე, მრჩება შთაბეჭდილება, რომ ეს არის წმინდა წყლის პოლიტიკური გადაწყვეტილება და იმის გაგრძელება, რომ ჩიხური მდგომარეობის გამო ვერ დარიგდეს თეფშები, — განაცხადა ილია კიკაბიძემ.

მისივე თქმით, „მაესტროს“ კუთვნილ სატელიტურ ანტენებზე ყადაღა არც მოხსნილა და მოხსნას არც აპირებდნენ.

— ეს არის ჩიხი, რომელიც შექმნეს თვითონ და, თითქოსდა უცხოურ ორგანიზაციებს აჩვენეს მზაობა, რომ მზად არიან, მართლაც სიტყვის თავისუფლებისთვის გამოიდონ თავი. ეს იყო მოჩვენებითი, თითქოს კონსტრუქციული უწყებათაშორისი კომისია ძალიან ნერვიულობს „მაესტროს“ სიგნალის გაფართოებაზე, — განაცხადა კიკაბიძემ.

ილია კიკაბიძის განცხადებით, მოლაპარაკებები უწყებათაშორის კომისიასთან ისეთ ჩიხში შევიდა, რომლიდანაც გამოსავალი არ არსებობს და, შესაბამისად, მოლაპარაკებები ჩაიშალა.

ილია კიკაბიძის თქმით, არსებულ ვითარებაზე ინფორმაციას „მაესტროს“ და უწყებათაშორისი კომისიის კონტრაქტებს უცხოურ ორგანიზაციებს მიაწვდის.

რამდენიმე კვირის წინ კი უწყებათაშორისი კომისიის თავმჯდომარემ, გიგა ბოკერიამ განცხადება გააკეთა, რომ „მაესტროს“ სატელიტური თეფშების დარიგებას „საქართველოს ფოსტა“ უზრუნველყოფდა სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის.

„მედიის ადვოკატირების კოალიციის“ წარმომადგენელმა ლაშა ტუღუშმა და „ლიბერალის“ რედაქტორმა შორენა შავერდაშვილმა უწყებათაშორის კომისიასთან მიღწეული შეთანხმება მაშინ დადებითად შეაფასეს.

კამპანია „ეს შენ გეხება“, „აღმოსავლეთ პარტნიორობის საქართველოს ეროვნულ პლატფორმასა“ და „მედიის ადვოკატირების კოალიცია“-ში შემავალი არასამთავრობო ორგანიზაციები, მიესალმებოდნენ ხელისუფლების მიერ გამოხატულ პოლიტიკურ ნებას და იმედს გამოთქვამდნენ, რომ იგი გამყარებული იქნებოდა კონკრეტული და პრაქტიკული ნაბიჯებით, რათა ერთი მხრივ საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა ქართული ტელეარხი, ხოლო მეორე მხრივ, გამოირიცხოს ეჭვები ამომრჩევლის მოსყიდვის მცდელობის თაობაზე.

მაშინ, ასევე არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავდნენ, რომ პლურალიზმის უზრუნველყოფისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს „მასტ-ქერისა“ და „მასტ-ოფერის“ პრინციპებს, რომელთა ამოქმედებამ მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა მრავალფეროვან ინფორმაციაზე თანაბარი ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაში.

უწყებათაშორისი კომისია „მაესტროს“ ხელმძღვანელებს აღნიშნულთან დაკავშირებით ასე პასუხობს: — უცნაურია „მაესტროს“ წარმომადგენლების განცხადება, რომ მოლაპარაკებები ჩიხშია შესული, — აცხადებს უწყებათაშორისი კომისიის წევრი და ეროვნული უშიშროების საბჭოს მდივნის მოადგილე თამარ კინწურაშვილი.

კინწურაშვილის თქმით, შეხვედრაზე „მაესტროს“ წარმომადგენლებთან კონტრაქტის ისეთი სპეციფიკური საკითხები განიხილებოდა, რომლებიც ჩიხში შესვლის პირობებში არ განიხილება.

— ჩვენთვის მედიით გახდა ცნობილი, რომ ეს მოლაპარაკება ჩიხში შევიდა, რადგან გუშინდელ შეხვედრაზე კონტრაქტის პირობებს გავდიოდით მათთან ერთად და „მაესტროს“ წარმომადგენლებმა დამატებითი დრო ითხოვეს, პარტნიორებთან შეთანხმების მიზნით. ვსაუბრობდით საქართველოს ფოსტის მომსახურების ღირებულებაზე, მონტაჟის თანხებსა და ისეთ სპეციფიკურ დეტალებზე, რომლებიც ჩიხში შესვლის პირობებში არ განიხილება. აქედან გამომდინარე, უცნაურია, როცა ისინი აცხადებენ, რომ მოლაპარაკებები ჩიხშია შესული, — ამბობს კინწურაშვილი.

რაც შეეხება სატელიტურ ანტენებზე ყადაღის მოხსნას, მისი თქმით, ეს თავიდანვე იყო გაცხადებული იმ შეთავაზებასა და იმ წინადადებაში, რომელიც უწყებათაშორისმა კომისიამ წარადგინა.

— პირველ რიგში, რამ განაპირობა უწყებათაშორისი კომისიის ჩართვა ამ პროცესში — ჩვენ მოგვმართა „მედია ადვოკატირების“ ჯგუფმა, რომლის მიზანი იყო, გაფართოებული იყო „მაესტროს“ მაუწყებლობის არეალი და მეტ მომხმარებელს ჰქონოდა შესაძლებლობა, მიეღო მრავალფეროვანი ინფორმაცია. მეორე მხრივ, არსებობდა და არსებობს პროკურატურის ინტერესები, რომ არ მოხდეს ამ ანტენების დარიგება პოლიტიკურად აპელირებული პირების მიერ. ამ სიტუაციაში უწყებათაშორისმა კომისიამ შესთავაზა კომპრომისული ვარიანტი, რომ მომხდარიყო „საქართველოს ფოსტის“ მეშვეობით დარიგება, რადგან ფოსტა მხოლოდ გზავნილის მიტანას ახორციელებს და არც ერთ ჯგუფთან არ მოხდებოდა მათი ასოცირება. ეს იყო წინაპირობა ჩვენ შორის მოლაპარაკების დაწყებისა, რაც წინასწარვე იყო მათთვის ცნობილი. თუ ისინი არ არიან დაინტერესებულნი თავიანთი მაუწყებლობის არეალის გაფართოებით, ალბათ თავისთავს უნდა დაუსვან შეკითხვა, შევიდა თუ არა მოლაპარაკებები ჩიხში?! ყადაღის ახსნა მოხდებოდა იმ შემთხვევაში, თუ მოხდებოდა შეთანხმება კონტრაქტის პირობებზე, — აღნიშნა კინწურაშვილმა.

# მთავრობის ვალია, არჩევნებში ყველა უცხოელ დამკვირვებელს მონაწილეობის საშუალება მისცეს!

ნათია ხურცილავა

**საქართველო-რუსეთს შორის უახლოეს მომავალში ურთიერთობების გაუმჯობესებას და ნორმალიზებას ვერ ხედავს ამერიკის შეერთებული შტატების ყოფილი მაღალჩინოსანი. სელესტ ვოლანდერი ასევე საუბრობს საპარლამენტო არჩევნებსა და მის დიდ მნიშვნელობაზე. ის პირველი ოქტომბრის არჩევნებს გამოწვევას უწოდებს და ამბობს, რომ ამ გამოწვევას ამერიკაშიც და ევროპაშიც დიდი მოთმინებით ელოდებიან.**

— იმედი მაქვს, რომ ქართველი და რუსი ლიდერები, ამერიკის დახმარებით, უთანხმოებებს დაძლევენ, — ამის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მდივნის ყოფილმა მოადგილემ სელესტ ვოლანდერმა „ამერიკის ხმასთან“ ინტერვიუში განაცხადა.

თუმცა, როგორც ვოლანდერი აღნიშნავს, უახლოეს პერიოდში საქართველო-რუსეთის ორმხრივი ურთიერთობების საგრძნობი გაუმჯობესების შესაძლებლობას ვერ ხედავს.

„მე ინფორმირებული ვარ, რომ ორივე სახელმწიფოში მთავრობის წევრები და, ასევე ადამიანები სამთავრობო წრეებს გარეთ, იმედს ამყარებენ, რომ შენარჩუნდება ის ტენდენცია, რისი მიღწევაც ბოლო წლებში მოხერხდა; არ მოხდება ძალადობის განმეორება და ვითარების ესკალაცია. ორივე მხარეზე პოლიტიკური რიტორიკა ხშირად სჭარბობს და ეს ხელს არ უწყობს დაძაბულობის განმუხტვას, მაგრამ უნდა ვაღიაროთ ისიც, რომ ხშირად ომის დასრულებას დამატებითი დაძაბულობა და ძალადობა მოსდევს, რასაც ვერ ვიტყვი რუსეთისა და საქართველოს შემთხვევაზე. მაგრამ, საბოლოო ჯამში, ვერც ეს სიტუაცია დაარეგულირებს კონფლიქტს და ბოლოს მაინც საჭირო იქნება ორივე მხარის გაბედული ნაბიჯები იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც რუსეთის მიერ ქართული ტერიტორიების ოკუპაციას, საქართველოს სუვერენული მიწების ირგვლივ არსებულ უთანხმოებას ახლავს თან, — აღნიშნა ვოლანდერმა.

მისივე თქმით, მისთვის ცნობილია იმ კვლევების შესახებ, რომლებიც ამ უთანხმოების გადალახვის სხვადასხვა გზებს სახავს.

— თუმცა, საბოლოო ჯამში, ეს არის პოლიტიკოსების გასაკეთებელი საქმე, — აღნიშნა ვოლანდერმა.

ვოლანდერი ასევე საუბრობს საპარლამენტო არჩევნებზე.

— საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ არჩევნებამდე დარჩენილი რამდენიმე კვირის განმავლობაში მაქსიმალურად უზრუნველყოს თავისუფალი საარჩევნო გარემო, — აცხადებს ვოლანდერი.

ვოლანდერის განმარტებით, არჩევნებისთვის გამჭვირვალობა წამყვანი პირობაა.

— გამჭვირვალობა წამყვანი პირობაა. მთავრობის ვალია, არჩევნებში ყველა უცხოელ დამკვირვებელს მონაწილეობის საშუალება მისცეს, დაიცვას თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების ჩასატარებლად აუცილებელი ყველა პირობა. არ უნდა იყოს კითხვები ამომრჩევლის სრულყოფილ სიებზე, სარეგისტრაციო პროცედურებზე, საარჩევნო უბნებზე წესრიგი უნდა განმტკიცდეს, ოპოზიციურ პარტიებს სრული და შეუფერხებელი საშუალება უნდა მიეცეთ, თავიანთი პროგრამა წარმოადგინონ და მოსახლეობასთან გამართონ შეხვედრები. ერთი სიტყვით, მთავრობას აქვს კონკრეტული, ძალიან მკაფიო მოვალეობა, რომ განამტკიცოს კანონი და ყველანაირი პირობა შექმნას არჩევნების მშვიდობიან ვითარებაში ჩასატარებლად. ვაცნობიერებთ ოპოზიციური პარტიების პასუხისმგებლობასაც, რათა მათ, ასევე, კანონის ფარგლებში იმოქმედონ. თუმცა კიდევ ერთხელ, საქართველოს მთავრობამ ყველაფერი უნდა გააკეთოს, რომ არჩევნებამდე დარჩენილი რამდენიმე კვირის განმავლობაში მაქსიმალურად უზრუნველყოს თავისუფალი საარჩევნო გარემო, — განაცხადა სელესტ ვოლანდერმა.

მისივე თქმით, საქართველოს ნამდვილი შესაძლებლობა აქვს დაამტკიცოს, რომ ევროატლანტიკურ ოჯახს მიეკუთვნება, შესწევს უნარი და ერთგულია, თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების პრინციპისა — უზრუნველყოფს ჯანსაღ დისკუსს ჯანსაღი პოლიტიკური ოპოზიციის საშუალებით.

— სწორედ ამ შესაძლებლობის დამტკიცება წარმოადგენს მოახლოებული არჩევნების ჩატარების საფუძველს. ყველგან — ამერიკაში, ევროპაში — მოუთმენლად ელიან და დიდი გულისყურით ადევნებენ მოვლენებს თვალს. მეც მგონია, ეს უმნიშვნელოვანესი ეტაპია და საქართველომ უნდა დაამტკიცოს, რომ ამ გამოწვევის ან, თუ გნებავთ, ამ გამოცდის ჩაბარება შეუძლია, — განაცხადა ვოლანდერმა.

# „გურია ნიუსი“ უსაფრთხოების დაცვას ითხოვს

თეა მარხვაიძე

**საქართველოში ჟურნალისტები სახარბიელო მდგომარეობაში არასდროს ყოფილან. ბოლო დროს კი მათი მდგომარეობა კიდევ უფრო გართულდა. ამ მხრივ განსაკუთრებით ცუდ დღეში რეგიონული მედიაა. მათ გასაჭირზე 'ახალი თაობა~ ხშირად წერდა.**

თავისუფალი მედიის წინააღმდეგ ზეწოლა უფლებათადამცველებმაც ბევრჯერ გააპროტესტეს. ბევრი განცხადება აქვს გაკეთებული სახალხო დამცველსაც. თუმცა ყველაფერი ამაო გამოდგა. მედია ისევ ზეწოლის ქვეშაა.

ამჯერად დახმარებას გამომცემლობა „გურია ნიუსი“ ითხოვს. „ახალი თაობა“ გამომცემლობის განცხადებას უცვლელად გთავაზობთ.

– გამომცემლობა „გურია ნიუსი“ მიმართავს საქართველოს ხელისუფლებას, სამართალდამცავ ორგანოებს, უშიშროების საბჭოსთან არსებულ უწყებათშორის კომისიას, ადგილობრივ და საერთაშორისო სადამკვირვებლო ორგანიზაციებს!

17 სექტემბერს, დღის განმავლობაში, „ნაციონალური მოძრაობის“ ჩოხატაურელი აქტივისტები, მათ შორის, ნაციონალური მოძრაობის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ვაჟი, ფსევდო „ინფო-9“-ის წარმომადგენლებთან ერთად, ჟურნალისტებს ხელს უშლიდნენ მუშაობაში; ეს ჯგუფი უკან დაჰყვებოდა „გურია ნიუსის“ თანამშრომლებს, შემდეგ კი რედაქციის შენობამდე მოჰყვნენ.

19:00 საათისთვის ფსევდო „ინფო-9“-ის ჟურნალისტი რედაქციის კუთვნილ შენობაშიც კი შემოიჭრა და პროვოკაციის გამოწვევა სცადა. ამ ჯგუფს წარმოადგენს ნატო ჩიგოგიძე, რომელიც ჩოხატაურის №1 საჯარო სკოლის დირექტორის, ამჟამად ოლქის №1 საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარის, ნაციონალური მოძრაობის კანდიდატის მეგობრის – ეთერ წილოსანის შვილია. შემოჭრისას მათი მოთხოვნა იყო, „გურია ნიუსის“ თანამშრომლებს გამოერთოთ კამერები და „პირად საკითხებზე“ გაეცათ პასუხები – ჩიგოგიძე მიიჩნევს, რომ „დედამისი ჟურნალისტების სახსენებელი არაა და „პირში სამმაგი ოდეკოლონი უნდა გამოივლონ, როცა მას ახსენებენ“.

იგი ირონიულად შეხვდა ჩვენ მიერ პატრულის გამოძახებას – მისი თქმით, „ჩვენს გამოძახებაზე პატრული მაშინვე მოცუნცულდებოდა“. აღსანიშნავია, რომ საპატრულო პოლიციის მოსვლას ნახევარ საათზე მეტი დასჭირდა, მიუხედავად იმისა, რომ პოლიციასა და რედაქციას შორის მანძილი ძალიან მცირეა. მათ დაგვიანებით მოსვლა „ჯგუფის ადგილზე არყოფნით“ ახსნეს. აქვე უნდა ითქვას, რომ „ჟურნალისტის“ რედაქციის შენობიდან გასვლა პოლიციის მოსვლამდე ისევ მისივე ოპერატორისა და მძღოლის, ასევე ჩვენი კოლეგების ძალისხმევით მოხერხდა.

პატრულის თანამშრომლებმა „გურია ნიუსის“ ჟურნალისტი დაკითხვაზე დაიბარეს, ხოლო ფსევდო „ინფო-9“-ის ჯგუფი შემდგომ კიდევ ორი საათის განმავლობაში რედაქციის შენობის წინ აგრძელებდა „პატრულირებას“.

გამომცემლობა „გურია ნიუსი“ ყოველთვის მუშაობდა და მუშაობს დამოუკიდებელი, მიუკერძოებელი და ობიექტური ჟურნალისტიკის პრინციპებით, თუმცა, ამის მიუხედავად, გამოცემა ხშირად ხდება თავდასხმის ობიექტი – ოფისის მინების ჩამსხვრევის, ჟურნალისტების ფიზიკური და სიტყვიერი შეურაცხყოფის, ფოტო და ვიდეო კადრების წაშლის, აპარატურის დაზიანების არც ერთი ფაქტი დღემდე არ გამოძიებულა და დამნაშავეები არ დასჯილან, რაც ჩვენს საქმიანობას გაუსაძლისსა და სახიფათოს ხდის, დამნაშავეებს კი დაუსჯელობის გარანტიას აძლევს.

მოვითხოვთ, დაცულ იქნეს ჩვენი უსაფრთხოება ამჯერად მაინც, დაისაჯოს ყველა, ვინც შემოიჭრა დამოუკიდებელი მედიასაშუალების ოფისში, მოგვაყენა შეურაცხყოფა და ხელი შეგვიშალა მუშაობაში! – ნათქვამია განცხადებაში.

საგანგებო განცხადება გაავრცელეს საინფორმაციო ცენტრებმაც. წინა კვირაში ტსპრესის მთავარ რედაქტორ ელისო ჯანაშიას სასულიერო პირებთან უთანხმოება მოუვიდა. ინციდენტი ფოთის საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე მოხდა, რომლის სიახლოვესაც პრეზიდენტის სურათებია გაკრული.

სასულიერო პირებმა ჟურნალისტს შეურაცხყოფა მიაყენეს და გადაღებული მასალაც წაუშალეს.

– კახეთის, მცხეთა-მთიანეთის, შიდა ქართლისა და აჭარის, სამეგრელოს, ზემო სვანეთის საინფორმაციო ცენტრები მივმართავთ საქართველოს სახალხო დამცველს, უფლებადაცვით ორგანიზაციებს, შს სამინისტროს ფოთის საკათედრო ტაძრის ეზოში სასულიერო პირების მხრიდან ჟურნალისტზე ძალადობისა და პროფესიული მოვალეობის შესრულებაში ხელის შეშლის ფაქტზე და დაუყოვნებლივ რეაგირებას ვითხოვთ.

13 სექტემბერს, დაახლოებით 23:00 საათზე, ხობისა და ფოთის მთავარეპისკოპოსმა გრიგოლმა (ბერბიჭაშვილი) და მღვდელმა თევდორემ ფოთის საკათედრო ტაძრის ეზოში, აჭარის, სამეგრელოს, ზემო სვანეთის საინფორმაციო ცენტრის (ტსპრესს.გე) რედაქტორ ელისო ჯანაშიას ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენეს და ფლიპ კამერა დაუმტვრიეს. ელისო ჯანაშიას თქმით, მან და ტსპრესს.გე-ს ჟურნალისტმა იზა სალაყაიამ ფოთის საკათედრო ტაძრის გალავანზე გაკრული ბანერები გადაიღეს, რომლებზეც პრეზიდენტის, პატრიარქისა და მეუფე გრიგოლის ფოტოები იყო გამოსახული, შემდეგ კი მეუფე გრიგოლსა და მის თანმხლებ სასულიერო პირებს ჰკითხეს, ხომ არ იყო აღნიშნული ბანერები „ნაციონალური მოძრაობის“ პოლიტიკური რეკლამა, რამაც მათი გაღიზიანება გამოიწვია. აღსანიშნავია, რომ მანამდე რამდენიმე დღით ადრე ტსპრესს.გე აქტიურად აშუქებდა ხობისა და ფოთის ეპარქიაში ეპისკოპოსსა და ერთ-ერთ მოძღვარს შორის მოძღვრის მიერ „ქართული ოცნების“ ოფისის კურთხევის გამო დაწყებულ დაპირისპირებას.

სასულიერო პირების მხრიდან ჟურნალისტის შეურაცხყოფის ფაქტზე, მას შემდეგ, რაც მომხდარის შესახებ მედიითა და სოციალურ ქსელებით ინფორმაცია გავრცელდა, ეპარქიის სამდივნომ განცხადება გააკეთა, რომლითაც ჟურნალისტსა და მედიასაშუალებას უსაფუძვლო და ცინიკური ბრალდებები წაუყენა.

მოვუწოდებთ საქართველოს საპატრიარქოს, ფოთისა და ხობის ეპისკოპოსს, რომელიც სინოდის წევრია, თავი შეიკავონ დამოუკიდებელი საინფორმაციო ცენტრის მადისკრედიტებელი, უსაფუძვლო ბრალდებების გავრცელებისგან, – ნათქვამია საინფორმაციო ცენტრების განცხადებაში.

ინციდენტის შემდეგ საგანგებო განცხადება გაავრცელა ეპარქიის სამდივნომ. „ახალი თაობა“ ამ განცხადებასაც უცვლელად გთავაზობთ.

– მიმდინარე წლის 13 სექტემბერს, გვიან ღამით, დაახლოებით 23 საათსა და 23:30 საათს შორის, ფოთის საკათედრო ტაძრის ტერიტორიაზე მოხდა ინციდენტი. კერძოდ: ფოთისა და ხობის მიტროპოლიტი, მაღალყოვლადუსამღვდელოესი გრიგოლი თანმხლებ პირებთან ერთად ათვალიერებდა საკათედრო ტაძარსა და მის ეზოში მიმდინარე სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რომლის დროსაც ტაძრის ეზოში მისულმა ჟურნალისტებმა ითხოვეს ინტერვიუს აღება მღვდელმთავრისგან, რაზეც მიტროპოლიტის წარმომადგენელმა თავაზიანად განუმარტა, რომ უკვე გვიანია და ინტერვიუ არ შედგებოდა. ასე გამეორდა ორგზის.

როდესაც მღვდელმთავარმა მიმდინარე სამუშაოთა დათვალიერება დაასრულა და მშენებელ ინჟინერს დავალებები მისცა, ტაძრის გალავნის ცენტრალური გასასვლელისკენ გაემართა. გზად მიმავალ მღვდელმთავართან მიახლოებას ცდილობდნენ მომართული გადამღები საშუალებებით შეიარაღებული ჟურნალისტები, რომელთაც კვლავ განუმარტეს, რომ ამის გაკეთება არ არის საჭირო, თუმცა ერთ-ერთმა მათგანმა ბოროტად ისარგებლა იქ მყოფ სასულიერო და საერო პირთა მოკრძალებული ტონით და თავშეკავებული ქცევით, არ ისმინა შეგონება, საკმაოდ კადნიერად მიიჭრა მღვდელმთავართან და, ეს იმდენად მოურიდებლად და თავხედურად გააკეთა, რომ მეუფეს გადაადგილების საშუალება აღარ მიეცა და საოცარი ძალისხმევის შედეგად წაქცევას გადარჩა, თუმცა ჟურნალისტისთვის არაფერი უთქვამს, გარდა იმისა, რომ გაეტარებინათ.

ამას მოჰყვა თვით ამ ჟურნალისტის ისტერიკული ქმედება. ზოგიერთი საინფორმაციო საშუალების მხრიდან ფოთისა და ხობის მიტროპოლიტზე თავდასხმა უცხო მოვლენა არ არის,

# კონსტანტინოპოლი აფხაზეთის ეკლესიასთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას არ მიიღებს!“

თეა მარხვაიძე

საქართველოს საპატრიარქოს დელეგაცია კონსტანტინოპოლში გაემგზავრა, სადაც ქართველი სასულიერო პირები მსოფლიო პატრიარქს შეხვდებიან. ამ შეხვედრის შესახებ აფხაზებისთვისაც გახდა ცნობილი, რომლებმაც მსოფლიო პატრიარქს აფხაზური ეკლესიის აღიარება სთხოვეს.

ამ მოთხოვნით აფხაზი სასულიერო პირების ნაწილი გამოვიდა. ისინი მიმდინარე წლის იანვარში იმყოფებოდნენ კიდევაც კონსტანტინოპოლში. მათ პირადად სთხოვეს მსოფლიო პატრიარქს აფხაზური ეკლესიის აღიარება.

აფხაზურმა მედიამ მაშინ გაავრცელა ცნობა, რომ მსოფლიო პატრიარქი ბართლომე მათ ამ საქმეში დახმარებას დაჰპირდა. ეს ცნობა მოგვიანებით საქართველოს საპატრიარქომ უარყო.

მსოფლიო პატრიარქს მიმდინარე წლის სექტემბერშიც გაეგზავნა მიმართვა. ამ მიმართვას ხელს აფხაზეთიდან დევნილები აწერენ. ისინი მსოფლიო პატრიარქს სთხოვენ, არ აღიარონ აფხაზური ეკლესიის დამოუკიდებლობა.

აფხაზეთიდან დევნილმა საზოგადოებამ მსოფლიო პატრიარქ ბართლომე მეორისადმი მიმართვა გუშინ შეიმუშავა. სოხუმის უნივერსიტეტში აფხაზეთის მთავრობისა და აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს წევრები, სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები, დევნილები და აფხაზები შეიკრიბნენ.

შეხვედრაზე დაგმეს ბოლო წლებში სეპარატისტული აფხაზეთის ეკლესიის საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიიდან გამოყოფის სურვილი და მცდელობის ფაქტები. აღინიშნა, რომ აფხაზეთის საკათოლიკოსო და საეპისკოპოსო ყოველთვის მართლმადიდებელი ეკლესიის დაქვემდებარებაში იყო და დამოუკიდებლად არ არსებობდა.

– აფხაზეთის ეპარქია ყოველთვის იყო საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის შემადგენლობაში და ყოველთვის ასე იქნება. ეს ჩვენი მყარი და პრინციპული პოზიციაა და ის დაფიქსირებულია მსოფლიო პატრიარქისადმი მიმართვაში, – აღნიშნა გია ბარამიამ.

აფხაზი სასულიერო პირების ნაწილი დღემდე ამტკიცებს, რომ კონსტანტინოპოლი მათ მოთხოვნას გაითვალისწინებს. სჯერათ, რომ აფხაზური ეკლესია დამოუკიდებლობას მოიპოვებს. სპეციალისტები კი ამას წარმოუდგენლად მიიჩნევენ, რადგანაც დედა-ეკლესიის ანუ ქართული ეკლესიის გარეშე აფხაზური ეკლესია დამოუკიდებელი ვერ გახდება. მათ ამ სტატუსს ვერც კონსტანტინოპოლი მიანიჭებს და ვერც რუსეთი.

კონსტანტინოპოლი რომ არავითარ გადაწყვეტილებას არ მიიღებს, ამაში ღრმად არიან დარწმუნებული საქართველოს საპატრიარქოში.

– კონსტანტინოპოლის საპატრიარქო აფხაზური მხარის პრობლემებით დაინტერესდა და ამ საკითხზე სტამბოლში შეხვედრა მიმდინარეობს, რომელსაც ქართული ეკლესიის დელეგაციაც ესწრება, – ამის შესახებ „ინტერპრესნიუსს“ საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა, დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა განუცხადა.

– საკითხი დაახლოებით ასე დგას: აფხაზური მხარე ითხოვს გარკვეულ თავისებურებებს, რომელიც ამ ეპარქიისთვის იქნება აუცილებელი და მათ ამ თხოვნით კონსტანტინოპოლის საპატრიარქოს მიმართეს. კონსტანტინოპოლის საპატრიარქომ, როგორც დედა ეკლესიამ, თავი ვალდებულად ჩათვალა, აფხაზური მხარის პრობლემებით დაინტერესდეს. აფხაზები ამბობენ, რომ 20 წელია, მათთან საქართველოს და, შესაბამისად, ქართული ეკლესიის იურისდიქცია ვერ ხორციელდება და აქვთ გარკვეული მოსაზრებები, რომელიც კონსტანტინოპოლის საპატრიარქომდე მიიტანეს, – განაცხადა დეკანოზმა მიქაელ ბოტკოველმა.

ამასთან, პატრიარქის მდივნის თქმით, კონსტანტინოპოლის საპატრიარქო დღეიდან ქართულ ეკლესიასთან მოლაპარაკებებს იწყებს იმასთან დაკავშირებით, თუ რა შეიძლება გაკეთდეს აფხაზურ მხარესთან მიმართებით.



შეხვედრა სტამბოლში მიმდინარეობს, სადაც ამ მისიით უწმინდესის ლოცვა-კურთხევით ჩვენი ეკლესიის დელეგაცია იმყოფება. ის მოისმენს არსებულ საკითხს, ჩამოიტანს ინფორმაციას და მასზე უკვე პატრიარქი წმინდა სინოდის წევრებთან ერთად იმსჯელებს, – განმარტა მიქაელ ბოტკოველმა. რაც შეეხება მედიით გავრცელებულ ინფორმაციას, რომ აფხაზური მხარე აფხაზეთის ეპარქიის გამოყოფას ითხოვს, დეკანოზის თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ მოლაპარაკებები დღეიდან იწყება, მათი კონკრეტული მოთხოვნა ჯერ უცნობია.

– ერთი რამ ფაქტია: აფხაზეთი არის საქართველოს ეკლესიის იურიდიული საზღვარი და იქ სხვა წარმონაქმნი ჩვენი ეკლესიის ნებართვის გარეშე ვერ შეიქმნება, – დასძინა მან.

მიმდინარე წლის 9 იანვარს ე.წ. აფხაზეთის წმინდა მიტროპოლიის საბჭო, რომლის შემადგენლობაშიც არქიმანდრიტი დოროთე დბარი, მღვდელ-მონაზონი ანდრია ამპარი, იეროდიაკონი დავითი სარსანია, ასევე თემურ ძიძარია და გერმანე მარშანია შედიან, მსოფლიო პატრიარქმა ბართლომემ თავის რეზიდენციაში მიიღო. მათ მსოფლიო პატრიარქს გადასცეს დოკუმენტები, რომლებიც აფხაზეთის საეკლესიო საკითხების გადაწყვეტას უკავშირდება, ასევე დოკუმენტაცია იმ გადაწყვეტილებების შესახებ, რომლებიც საეკლესიო-სახალხო შეკრებაზე იქნა მიღებული.

აფხაზური ეკლესიის წინამძღოლი ბესარიონ აპლია კი სხვანაირად ფიქრობს. მისი აზრით, აფხაზეთის ეკლესიის დამოუკიდებლობა რუსეთმა უნდა აღიაროს.

დამოუკიდებლობის მოთხოვნით ბესარიონ აპლია 2009 წელს გამოვიდა. მან მაშინ საეკლესიო კრებაც ჩაატარა. სხვათა შორის, იმ დროს აფხაზურ ეკლესიაში განხეთქილება ჯერ კიდევ არ იყო.

საეკლესიო კრების შემდეგ აპლიამ საქართველოსა და რუსეთის საპატრიარქოში საგანგებო წერილებიც გააგზავნა.

აპლიას წერილში ნათქვამია, რომ 2009 წლის 15 სექტემბერს ე.წ. სოხუმ-აფხაზეთის ეპარქიულ რიგგარეშე კრებაზე აფხაზეთის კანონიკური ეკლესიის – ბიჭვინთის საკათოლიკოსოს აღდგენის შესახებ გადაწყვეტილება ერთხმად მიიღეს. ახლად აღდგენილ ეპარქიას „ბიჭვინთისა და სოხუმის“ უწოდეს.

– კრებამ გადაწყვიტა, აღნიშნულის შესახებ პირველად სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქისა და საქართველოს ეკლესიის წმინდა სინოდისთვის ეცნობებინა. მცხეთის საკათოლიკოსოსთვის არაფერი უფრო გასახარი არ უნდა იყოს, ვიდრე ის, რომ მან ხელახლა შეიძინა და-ეკლესია – აფხაზეთის მართლმადიდებელი ეკლესია, ბიჭვინთის საკათოლიკოსო, – აღნიშნულია წერილში.

მასში ასევე ნათქვამია, რომ 1993 წლიდან, სამხედრო მოქმედებების დასრულების შემდეგ, აფხაზეთის ტერიტორიაზე ეკლესიის მოქმედება მთლიანად შეწყვეტილია.

აფხაზური ეკლესიის წინამძღოლმა წერილი რუსეთშიც გააგზავნა.

აპლიას თქმით, იმ შემთხვევაში, თუ რუსეთის პატრიარქი და წმინდა სინოდი მის დახმარებაზე უარს იტყვის, აფხაზეთის ეკლესია ბრძოლას დამოუკიდებლად გააგრძელებს.

აპლიას განცხადებას უკვე გამოეხმაურა რუსეთის საპატრიარქო. საგანგებო განცხადებაში ნათქვამია, რომ მოსკოვის საპატრიარქოში აფხაზეთის ეპარქიის საქართველოს ეკლესიიდან გამოყოფას არ მიესალმებიან. რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ საქართველოს საპატრიარქოს საზღვრების კანონიკურობისადმი პატივისცემა კიდევ ერთხელ გამოამჟღავნა.

საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა რუსეთის პატრიარქმა გასულ წელს ილია II შეხვედრის დროს დააფიქსირა. რუსეთის საპატრიარქო, ხელისუფლებისგან განსხვავებით, აფხაზეთსა და სამაჩაბლოს საქართველოს ტერიტორიად მიიჩნევს.

თუმცა ეს რუსეთის ხელისუფლებაზე არანაირ გავლენას არ ახდენს და, თუ სიმართლეა, უნდა ითქვას, რომ არც რუსეთის საპატრიარქო თამაშობს სუფთად. ამბობენ. რომ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას აღიარებენ, სინამდვილეში კი აფხაზეთში მრავლად აგზავნიან მისიონერებს.

გასულ წელს აფხაზურ ეკლესიაში განხეთქილება სწორედ რუსეთიდან გაგზავნილმა სასულიერო პირმა გამოიწვია. რუსეთის პატრიარქმა კირილმა, აპლიას თხოვნით, ახალი ათონის მონასტრის წინამძღოლად რუსი მღვდელი დანიშნა.

მონასტრის საძმო თავიდან თითქოს დაეთანხმა ამას, რამდენიმე დღეში კი მათ საპროტესტო აქცია წამოიწყეს. ამან აფხაზ საზოგადოებაშიც გამოიწვია გამოხმაურება. სასულიერო პირების ამბოხს სათავეში დოროთეი დბარი და ანდრეი ამპარი ჩაუდგნენ.

ამ ამბებიდან რამდენიმე თვეში მათ დიდი საეკლესიო კრება მოიწვიეს, სადაც საზეიმოდ განაცხადეს წმინდა სამიტროპოლიოს შექმნის შესახებ.

რუსმა სასულიერო პირებმა და აპლიამ ახალგაზრდა მღვდლებს ცოდვების მონანიებისკენ მოუწოდეს. მათ შეგონება არ შეისმინეს და ამა წლის დასაწყისში კონსტანტინოპოლშიც წავიდნენ.

რამდენიმე თვის წინ ისინი აპლიამ დასაჯა. მათ წლების განმავლობაში აეკრძალათ აღსარების მიღება და სხვა წესების აღსრულება. ამაზე ახალგაზრდა აფხაზ მღვდლებს რეაქცია არ ჰქონიათ. ამბობენ, რომ ისინი აპლიას დაქვემდებარებაში არ იმყოფებიან.

## სამართლიანი არჩევნები“ არჩევნებზე ხმებს პარალელურ რეჟიმში დაითვლის

არასამთავრობო ორგანიზაცია „სამართლიანი არჩევნები“ პირველი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე ხმების პარალელურ დათვლას აპირებს. როგორც „მედიანიუსს“ ორგანიზაციაში განუცხადეს, ხმების დათვლის მეთოლოგიაზე საუბრისგან ამ ეტაპზე თავს იკავებენ, რადგან მოსამზადებელი სამუშაო პროცესი ჯერ კიდევ მიმდინარეობს. დეტალებს არჩევნებამდე ორი დღით ადრე დაგეგმილ პრესკონფერენციაზე გაახმაურებენ.

შეგახსენებთ, რომ კანონის თანახმად, არჩევნების შედეგების დათვლა ცესკო-ს კომპეტენციაა, თუმცა ხმების დათვლას არასამთავრობო და სადამკვირვებლო ორგანიზაციებიც ახორციელებენ.

მედიანიუსი

## მიხეილ სააკაშვილი: ლაზიკა 3-ჯერ, 4-ჯერ მეტი ფულის ამოღების საშუალებაა“

საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაბა ყულევში კარბამიდის მწარმოებელი ქარხნის მშენებლობას ჩაუყარა საფუძველი. ის 24 ჰექტარ მიწის ფართობზე განთავსდება. ქარხანას აზერბაიჯანული კომპანია „სოკარ ჯორჯია ინვესტმენტი“ აშენებს. ამისათვის 100 მილიონი დოლარის ინვესტიცია განხორციელდება. პრეზიდენტის თქმით, მშენებლობაზე 1500, ხოლო წარმოებაში 700 ადამიანი დასაქმდება. მიხეილ სააკაშვილის განცხადებით, ფოთის თავისუფალი ზონის იდეა რეალურად ისხამს ხორცს. ეს საერთო ჯამში, ქარხნიანად და ნავმისადგომიანად 1 მილიარდი დოლარის ინვესტიციაა ფოთში შემდეგი ოთხი წლის განმავლობაში.

„ეს არის 1500 დასაქმებული ფოთელი. ეს ნიშნავს იმას, რომ კიდევ 3-4 ასეთი საწარმო და ფოთში, სუფსასა და გარშემო სოფლებში უმუშევრობა საერთოდ აღარ იარსებებს. ვიცი, რომ იმავე სუფსიდან ბევრი დადის თურქეთში, კრეფს თხილს, რომ ერთი-ორი კაპიკი იშოვოს. ეს ყველაფერი დამთავრდება. ფოთი ნამდვილი ინდუსტრიული ცენტრი გახდება“, — აღნიშნა მიხეილ სააკაშვილმა. მან აქვე ლაზიკის მშენებლობის მნიშვნელობაზე ისაუბრა, რაც უახლოეს დღეებში დაიწყება.

„ხშირად ამბობენ, მიხედეთ სხვა ქალაქებს, რა დროს ახალი ქალაქის მშენებლობაა. ლაზიკა არის 3-ჯერ 4-ჯერ მეტი ფულის ამოღების და შემდგომ ამ ფულის მთელ ქვეყანაზე გადანაწილებისთვის ჩადებული ინვესტიცია. გვინდა, ჩავდოთ ფული და ამოვიღოთ უფრო მეტი. ეს აკვიატება არ არის. ეს რეალური გეგმაა, რადგან 20 მეტრის სიღრმის ერთადერთი ყველაზე ღრმა კანიონი არის ლაზიკის ტერიტორიაზე, ანაკლია-ყულევის ზონაში. შავ ზღვაზე არსებობს მხოლოდ ერთი ასეთი პორტი — კონსტანცა. ჩვენ ვაშენებთ პორტს, რომელიც რამდენიმე წლის შემდეგ შექმნის ქალაქს. გვინდა, აქ ჩადებული ინვესტიციის ფარგლებში ბევრად მეტი ფული ამოვიღოთ და მეტი ადამიანი დასაქმდეს. ლაზიკა მხოლოდ გააძლიერებს ფოთს, რადგან ფოთი ხდება ახალი ინდუსტრიული ზონა. მანამდე კი ეს იყო სრულიად გამოუყენებელი ზონა, პოლიგონი“, — განაცხადა მიხეილ სააკაშვილმა და დასძინა, რომ არაოკუპირებული ტერიტორიების არცერთი კვადრატული მეტრი აუთვისებელი არ დარჩება.

მედიანიუსი

## თსუ-ს ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი სტუდენტების პროტესტს უერთდება

ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სრული პროფესორი ფილოსოფიის მეცნიერებათა დოქტორი გია ბარამიძე სტუდენტების პროტესტს საფუძვლიანსა და სამართლიანს უწოდებს. როგორც გია ბარამიძემ გუშინ გამართულ პრესკონფერენციაზე აღნიშნა, რეალურად, დღეისათვის განათლების სისტემაში არანაირი რეფორმა არ ტარდება. მისი თქმით, ხელისუფლების სხვადასხვა ჯგუფები ცდილობენ, რომ უნივერსიტეტის რესურსი გადაიფორმონ, რაც სტუდენტების პროტესტს იწვევს.

„ამ კონტექსტში უნდა განვიხილოთ უნივერსიტეტიდან პროფესორ-მასწავლებლების გათავისუფლება. ეს რეფორმა კი არა უნივერსიტეტის გადაფორმებაა. განათლების სამინისტროს თსუ-ს ჯიბის უნივერსიტეტად გარდაქმნა სურს, ჭეშმარიტება სტუდენტურ პროტესტშია“ — განაცხადა მან.

მისივე თქმით, ის სტუდენტების პროტესტს უერთდება. შესაბამისად, პროტესტის ყველა ფორმის გაზიარებას აპირებს, რომელსაც სტუდენტები მიმართავენ. თსუ-ს ლიტერატურული სალონის მთავარი რედაქტორი ლექსო დორეული მიიჩნევს, რომ სტუდენტებმა ადმინისტრაციული პროტესტის ყველა ფორმა ამოწურეს და იძულებული გახდნენ პროტესტის უკიდურესი ფორმისთვის მიემართათ. დორეულის განცხადებით, განათლების სისტემაში არ არსებობს არცერთი ბერკეტი, რომლის საშუალებითაც სტუდენტები განათლების სისტემის დაგეგმვაში მიიღებენ მონაწილეობას.

„სტუდენტები განათლების სისტემის დაგეგმვიდან აბსოლუტურად გამორთულები ვართ. ყველანაირად ვეცდებით და მოვითხოვთ, რომ იმ საფასურის ფარგლებში რასაც ვიხდით, ხარისხიანი განათლება მივიღოთ“-განაცხადა ლექსო დორეულმა.

მისივე თქმით, უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმართველობა სხვადასხვა გასართობი ღონისძიებების დაგეგმვითაა დაკავებული და არა სტუდენტების უფლებების დაცვით.

ლექსო დორეულის განცხადებით, სტუდენტები პროტესტს მათი მოთხოვნების დაკმაყოფილებამდე გააგრძელებენ.

თსუ-ს სტუდენტთა ნაწილმა საპროტესტო აქციები 14 სექტემბერს დაიწყო. ისინი, სწავლის საფასურის შემცირებას, უნივერსიტეტისთვის ავტონომიის დაბრუნებას და უნივერსიტეტიდან პროფესორ-მასწავლებლების პოლიტიკური ნიშნით გათავისუფლების შეწყვეტას მოითხოვენ.

ნიუსპრესი

## აუდიტის სამსახური ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველის დასჯას ითხოვს

სახელმწიფო აუდიტის სამსახური „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველის დაჯარიმებასთან დაკავშირებით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართავს. ამის შესახებ სახელმწიფო აუდიტის სამსახური განცხადებას აქვეყნებს, რომელშიც ნათქვამია, რომ ფინანსური მონიტორინგის სამსახურმა პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ სასარგებლოდ 13 პირის მიერ განხორციელებული შემოწირულებების წარმომავლობის კანონიერება შეისწავლა. განცხადების თანახმად, ოფიციალურად მოპოვებული ინფორმაციით „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემომწირველი ერთი პირის შემოსავლები შეუსაბამო აღმოჩნდა რაიმე სახის დანაზოგის განხორციელების შესაძლებლობასთან. შესაბამისად, აღნიშნული პირის მიმართ შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი, რომელიც მოთხოვნის უზრუნველყოფის ღონისძიებასთან ერთად, განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეგზავნა, ხოლო მოსალოდნელი სანქციის ოდენობა 25 000 ლარს შეადგენს. ამასთან, სახელმწიფო აუდიტის სამსახური წერილობით მიმართავს მოქალაქეთა პოლიტიკურ გაერთიანება „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ 5 სამუშაო დღის ვადაში შემომწირველისთვის თანხის უკან დაბრუნების თაობაზე.

ნიუსპრესი

## ჩინოვნიკების სახელები ეკლესიის კედელზე მოოქროვილი ასოებით ამოტვიფრეს

გურჯაანში, სამების მშენებარე ეკლესიაში, კედელზე, „ნაციონალური მოძრაობიდან“ სიის მთავარი შესასვლელიდან მარცხენა კედელზეა.





გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე იოსებ ქიტიაშვილი, რომელიც პარალელურად ფონდის „გზა ტაძრისაკენ“ ხელმძღვანელია, ამბობს, რომ ეკლესია ბიზნესმენებისგან და მრევლისგან მიღებული შემოწირულობებით აშენდა.

გურჯაანის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის, კახეთის ყოფილი გუბერნატორის გიორგი ღვინიაშვილის, კახეთის საოლქო პროკურორის გიორგი ჩივიაშვილის და გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილის იოსებ ქიტიაშვილის სახელები მოოქროვილი ასოებით არის ამოტვიფრული.

„ყოვლად წმინდაო სამებაო კაცთმოყვარებითა და მადლითა შენითა შეეწიე და დაიცავ მონანი შენნი ქტიტორნი წმინდისა ამისა ტაძრისა გიორგი ღვინიაშვილი და გიორგი ჩივიაშვილი და აღმშენებელი ამა ტაძრისა იოსებ ქიტიაშვილი დაიფარე და აღავსე ყოვლითა კეთილითა ოჯახნი მათი და ყოველნი ნათესავნი მათნი. ამინ“, — წარწერა ამ ტექსტით ეკლესიის მთავარი შესასვლელიდან მარცხენა კედელზეა.

*— გიორგი ღვინიაშვილის, გიორგი ჩივიაშვილის და თქვენი სახელები რატომ არის კედელზე ამოტვიფრული?*

— სწორედ გიორგი ჩივიაშვილის და გიორგი ღვინიაშვილის დამსახურებაა, რომ ეკლესიის აშენებას აქ დაედო საფუძველი, მათი წინამძღოლობით დაიწყო ამ ყველაფრის გაკეთება. მე ვარ უკვე იმ ხნის კაცი, რომ გურჯაანის რაიონში ბევრი ხელმძღვანელობა გამომიცვლია, რომლებმაც ყოველთვის მოიწადინეს ამ საქმის დაწყება და ვერცერთმა ვერ მიიყვანა საქმე ბოლომდე და საძირკვლის ჩასხმაც კი ვერ მოვასწარით ზოგან, მაგრამ ამათი ინიციატივით აი, ეს ყველაფერი დაიწყო და სულ რაღაც 2 წელიწადში დამთავრდა.

*— ამიტომ ამოტვიფრეს კედელზე მათი და თქვენი სახელი?*

— რასაკვირველია. მათი სახელები იმიტომ ამოტვიფრეს, რომ ესენი იყვნენ შემოქმედები, დამწყებები, ამ საქმის მოთავეები. მე თვითონ კიდევ ვიყავი შემსრულებელი, რომელიც აქ ვიდექი დღე და ღამე, თითოეული ქვა არის ჩემს თვალს ქვეშ დადებული.

*— ვისი ინიციატივით მოხდა ამ წარწერის გაკეთება ეკლესიაში?*

— ქვის განთავსება მოხდა ველისციხე — გურჯაანის მეუფეს ინიციატივით, მისი წარწერაა ფაქტიურად გაკეთებული. მან დაინახა ჩვენი შრომა და შეაფასა ასე, რომ ეს წარწერა უნდა გაკეთებულიყო“.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი გიორგი ღვინიაშვილს ვერ დაუკავშირდა. კახეთის საოლქო პროკურორმა გიორგი ჩივიაშვილმა კი ჩვენთან სატელეფონო საუბარში განაცხადა, რომ არ იცის, რა წარწერაზე ველაპარაკებით.

გურჯაანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის გოგა პეტრუზაშვილის განცხადებით, „გიორგი ღვინიაშვილმაც და გიორგი ჩივიაშვილმაც რაღაც ღვაწლი შეიტანეს ეკლესიის მშენებლობაში, იოსებ ქიტიაშვილი კი ხელმძღვანელობდა ფონდს, შესაბამისად, ალბათ ამიტომ მოხვდა მათი სახელები კედელზე“.

„ბოლო-ბოლო, მართლა გააკეთა ამ კაცმა, ყველამ ხომ ვიცით, რომ ამ კაცმა გააკეთა ეკლესია და ააშენა, ქრთამის აღების მაგივრად თუკი რამე შეეძლო, ყველას სთხოვდა და“, — განაცხადა გურჯაანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ ზაქარია იაგანაშვილმა, რომელიც ამჟამად გიორგი ღვინიაშვილის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობს გურჯაანში.

კახეთის საინფორმაციო ცენტრი

## სოსო ჯაჭვლიანი ბრალდებებს პასუხობს

გლდანში კოალიცია „ქართული ოცნების“ მაჟორიტარობის კანდიდატმა სოსო ჯაჭვლიანმა ჰომოფობიასა და ქსენოფობიასთან დაკავშირებით ბოლო დროს მისი მისამართით გამოთქმულ ბრალდებებს უპასუხა.

ჯაჭვლიანი ფიქრობს, რომ მას ბოდიში მოსახდელი არ აქვს, რადგან მისი პოზიციაა, რომ ყველა ადამიანის უფლებები უნდა იყოს დაცული.

„იციან, რომ სოსო ჯაჭვლიანს ნარკომანობას ვერ დააბრალებენ, დიდი არეულობა როცა იყო საქართველოში, 90-იან წლებში მთელი ქალაქი ავტომატგადაკიდებული რომ დადიოდა, სოსო ჯაჭვლიანს ჯაყვაც კი არ ჩაუდია ჯიბეში, ანუ ამ მხრიდანაც ვერაფერს გააკეთებენ და ასე შემდეგ. ამათ არანაირი მიზეზი არ აქვთ, რომ ჩირქი მომცხონ. ახლა ესენი პოზიციებს კარგავენ და მიხვდნენ... როცა ლაპარაკი არის ქსენოფობიაზე, უმცირესობებზე, ჩვენ ხომ გვახსოვს ჩვენი სტუდენტობა?! უმცირესობა იყო თუ უმრავლესობა ყველასთან ძალიან ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. არავინ გვიცემია, არავინ დაგვიჩაგრია... სოსო ჯაჭვლიანს ამაში დაემოწმებიან მისი კლასელები, ბაღელები, კურსელები, უბნელები და ასე შემდეგ. თბილისი ხომ ის ქალაქია, საქართველო ხომ ის ქვეყანაა, საქართველო ხომ მართლა ტოლერანტი ქვეყანაა, სადაც ასი ათასი წმინდანი გვყავდა და თბილისის მფარველ ანგელოზად აბო თბილელი ავირჩიეთ. ამით ჩვენ მსოფლიოს ყველაფერი ვუთხარით. შუშანიკი ვინაა?! თუ ასე გამოვყვებით, აფხაზები, ოსები, აზერბაიჯანელები, სომხები... ჩვენ ხომ ერთმანეთში ვართ არეული?! სისხლით ნათესაობაა, უამრავი, ათასობით ოჯახია საქართველოში. ამით მე რა მინდა ვუთხრა ამათ: ნურას უკაცრავად, როგორც პრეზიდენტი იტყოდა, კოვზი ნაცარში ჩაგივარდათ, ჩვენ ამას არ წამოვეგებით“, — განაცხადა მან გლდანში მოსახლეობასთან შეხვედრისას

შეგახსენებთ, რომ ჯაჭვლიანის გამონათქვამების შესახებ „ქართული ოცნების“ ლიდერ ბიძინა ივანიშვილს კითხვა ჟურნალისტმა ეკა კვესიტაძემ დაუსვა. ივანიშვილმა განაცხადა, რომ ჯაჭვლიანი არც ქსენოფობია და არც ჰომოფობი, ხოლო თუ მან ამ საკითხებზე საუბრისას რაიმე შეცდომა დაუშვა, იგი ბოდიშსაც მოიხდის.

მედიანიუსი–

## ირაკლი ალასანია: ქართული ოცნების“ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ კუდ-ი და სოდ-ი გაუქმდება“



2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემთხვევაში, კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი (კუდი) და სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი (სოდი) გაუქმდება. ეს განცხადება ზუგდიდის რაიონში კოალიციის მაჟორიტარობის კანდიდატმა, ირაკლი ალასანიამ ოდიშში მოსახლეობასთან შეხვედრისას გააკეთა. მისივე თქმით, მოსახლეობის უსაფრთხოებაზე პოლიცია და უშიშროება იზრუნებენ.

„მე მინდა დაგარწმუნოთ, რომ კუდი, სოდი ასეთი ამორალური ორგანიზაციები იქნება გაუქმებული, როგორც კი ხელისუფლება შეიცვლება. დარჩება პოლიცია, უშიშროება, რომელიც საზოგადოებას მოემსახურება. ისეთი სულმოკლე ნაძირლები, როგორიც არიან კუდელები და სოდელები — ხელმძღვანელობა მათი... გაუქმდება და მოსცილდება ჩვენს ქვეყანას“, — განაცხადა ალასანიამ.

მედიანიუსი

## ლეონიდ თიბილოვი: ქართული მხარე სამხრეთ ოსეთის საზღვართან სერიოზულ სამხედრო მომზადებას გადის“

ე.წ. სამხრეთ ოსეთის დე-ფაქტო პრეზიდენტის ლეონიდ თიბილოვის განცხადებით, ქართული მხარე სამხრეთ ოსეთის საზღვართან სერიოზულ სამხედრო მზადებას ახორციელებს. სააგენტო „რესის“ ნობით, ამის შესახებ თიბილოვმა ცხინვალში, ჟენევის მოლაპარაკებების თანათავმჯდომარეებთან შეხვედრაზე განაცხადა.

„გვაქვს სერიოზული ინფორმაცია საქართველოს დღევანდელ განზრახვებთან დაკავშირებით. კერძოდ, ლენინგორის რაიონის მოსაზღვრე ტერიტორიაზე საქართველოს თავდაცვის სამინისტრო საფორტიფიკაციო საქმიანობას ატარებს. საქართველოს ყველა საზღვრისპირა სოფელში იარაღის საცავები იქმნება“-აღნიშნა თიბილოვმა. მისი თქმით, ყველა ეს ღონისძიება მათ აძლევთ იმის თქმის საფუძველს, რომ ეს ქმედებები მიმართულია სამხრეთ ოსეთის წინააღმდეგ, რომელიც ორ დღეში რესპუბლიკის 22 წლისთავს აღნიშნავს.

„ჩვენ ყოველთვის მშვიდობის მომხრეები ვიყავით და ვართ. ომს კარგი არავისთვის მოაქვს, მსხვერპლი ორივე მხარეს აქვს. ჩვენ კი ვალდებული ვართ, ჩვენი ხალხი დავიცვათ. ახლა იარაღის დრო არის და ყველა იმ პროვოკაციაზე, რომელიც ქართული მხარისგან არის მოსალოდნელი, მისი ხელისუფლება იქნება პასუხისმგებელი“, — აღნიშნა თიბილოვმა.

მ,ედიანიუსი

## ნესტან კირთაძე: ოპოზიცია სერიოზულ სტრატეგიულ შეცდომას უშვებს“



„ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური“ სახლის ხელმძღვანელის ნესტან კირთაძის განცხადებით, ოპოზიცია სერიოზულ სტრატეგიულ შეცდომას უშვებს, როდესაც დასავლეთს მუდმივად წინასწარ გაყალბებულ არჩვენებზე ესაუბრება.

როგორც გუშინ „პრაიმტაიმის“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე კირთაძემ აღნიშნა, როდესაც ხალხი მზადაა, ქვეყანაში არსებული ვითარება შეცვალოს, მსგავსი პროპაგანდა წამგებიანია.

„დღეს ქართველი ხალხი მზადაა იყოს ყველაზე აქტიური, ისე როგორც არასდროს არ ყოფილა. ეს აქტიურობა არჩევნების წინასწარ გაყალბების პროპაგანდით არ უნდა გაუნელონ. ის ელოდება რეალურ ცვლილებებს. მოლოდინის თამასა არის ძალიან მაღალი. 2 ოქტომბერს ხალხი ქუჩაში მხოლოდ გამარჯვების მოსალოცად გამოვა. იმედი მაქვს, რომ მოვლენები სხვაგვარად არ განვითარდება. პოლიტიკური მანდატის ზედმეტად მაძიებელი პარტიებისთვის კი, ქუჩაში გამოსასვლელად მიზეზი ყოველთვის მოიძებნება. არჩევნები არ უნდა გახდეს შიდა აშლილობის საბაბი, მითუმეტეს სამოქალაქო დაპირისპირებისა“,-განაცხადა ნესტან კირთაძემ.

მედიანიუსი

# ვინ ურჩია სააკაშვილს გაკეთილშობილება

## რა შედეგს მოიტანს ძალადობა რეგიონებში

თამარ ნინიძე

ნაციონალურმა მოძრაობამ, როგორც სჩვევია, ახლაც წარბშეუხრელად საკუთარ მიღწევად მიითვალა ბაგრატის ბრწყინვალე ტაძრის აღდგენა. არადა საზოგადოებას კარგად ახსოვს, რა პერიპეტიები უძღოდა წინ ამ საშვილიშვილო საქმეს. ჯერ იყო და ლამის ტაძარი კოსმოსურ ხომალდს უნდოდათ მიემსგავსებინათ, მერე ხმაური იმაზე ატყდა, რომ ტაძარში გამჭვირვალე ლიფტის დამონტაჟება სურდათ, რასაკვირველია, ჩვენი ხელისუფლების ინიციატივით. ამ ბრიყვულ იდეას წინ აღუდგა ეკლესიაც და მრევლიც. ისეთი განგაში ატყდა, რომ კულტურის მინისტრი რურუა დიდი გაჭირვებით, მაგრამ მაინც იძულებული გახდა, საზოგადოებისა და საპატრიარქოს მოთხოვნისთვის ანგარიში გაეწია. „მისმა აღმატებულებამ“ მიხეილ სააკაშვილმა მოინდომა პირადად აღემართა ჯვარი ტაძრის გუმბათზე.

არანაკლებ პომპეზური იყო ნაციონალური ზეიმი ტაძრის კურთხევის ცერემონიალის დროს, რა თქმა უნდა, მიხეილი ამალითურთ ტაძარში მივიდა, მაგრამ მანამდე ერს, ბერს და ოპოზიციას გაერთიანებისკენ მოუწოდა, უჩვეულოდ გაკეთილშობილებულმა სააკაშვილმა მრავალი კითხვა აღძრა. რა მოხდა? რამ დაამშვიდა უკიდურესად აღგზნებული ჩვენი უმაღლესი ხელისუფალი? რატომ შეურბილდა ხმა და რატომ გაახსენდა, რომ თურმე ყველა – ლეიბორისტიც, მეოცნებეც, ქრისტიან და ეროვნულ დემოკრატიც საქართველოს შვილია.

1 ოქტომბრამდე ემოციებმა ზღვარს გადააჭარბა, საზოგადოება იმდენად დამუხტულია, რომ მსგავსი პარალელის მოყვანა უახლოეს ისტორიაში შეუძლებელია. ამ არჩევნებს დაძაბული მოლოდინი ახლავს, მოხდება უდიდესი ცვლილება ან არა, მოხდება მშვიდობიანად ან ბრძოლითა და დაპირისპირებით. მიხეილის უჩვეულო გაკეთილშობილების მსგავსი პარალელის მოყვანა კი უთუოდ შეიძლება. უახლოეს ისტორიაში ასეთი რამ მართლაც მოხდა, 2007 წლის 7 ნოემბრის უსასტიკესი დარბევის შემდეგ, როგორც იქნა, „მისმა აღმატებულებამ“ ინება და საგანგებო მდგომარეობა გააუქმა, საპრეზიდენტო არჩევნების თარიღიც დანიშნა და ყველას სიყვარულისა და გაგებისკენ მოუწოდა. არჩევნებამდე დარჩენილ მოკ-



ლე დროში კი ინგა გრიგოლიას თოქ-შოუში მისული სააკაშვილი სასწაულებრივად ტრანსფორმირებული წარდგა საზოგადოების წინაშე. ესიყვარულებოდა ყველას და ყველაფერს, გული მოულბა, პირდაპირ სითბოს ღვრიდა და სიხარულისგან თვალები უბრწყინავდა.

1 ოქტომბრამდე ორი კვირით ადრეც სააკაშვილი ბაგრატის ტაძარში კურთხევის ცერემონიალის წინ გამოვიდა და ყველა ოპოზიციურ ძალას ქვეყნისთვის ერთად დგომა შესთავაზა. მისი გზავნილები, როგორც ჩანს, ამჯერად ეროვნულ და ქრისტიან დემოკრატიულ პარტიებს არ ეკუთვნოდა, ისინი ისედაც დგანან მიხეილის გვერდით და სხვაგვარად არ შეუძლიათ, მისი გზავნილი ქართული ოცნებისკენ იყო მიმართული, ქვეყანა არ ჩავაბაროთ ჩვენს მტერს. კინაღამ დაავიწყდა, რომ 2008 წლის აგვისტოში სწორედ ის მისი გუნდით აბარებდა ქვეყანას რუსეთის ხელისუფლებას. რომ არა მსოფლიოს ჩარევა, ჩაბარებული ვიქნებოდით.

„საქართველოს სულიერი აღორძინება დაიწყო 9 წლის წინათ, სამეგრელოდან თბილისისკენ დიდი კოლონა ჩამოვიდა.“ სააკაშვილისთვის ისტორიის ათვლის წერტილი ხომ 2003 წლიდან იწყება, მანამდე საწყალი ქართველები სულიერად არ ვიყავით აღორძინებული და მიხეილმა აგვაღორძინა. მოდით ნუ შევუშინდებით ერთიანობასო, განაცხადა სააკაშვილმა. მაგრამ აქ პოლიტოლოგ რამაზ საყვარელიძეს ძნელია არ დაეთანხმო, წინა დღეებში საზოგადოება ჯერ კიდევ არ იყო გონს მოსული მერაბიშვილის ქადაგებისგან კლასების განადგურების შესახებ, გადის ორიოდე დღე და სააკაშვილს ერთიანობა ახსენდება. გავა კიდევ რამდენიმე დღე და ისევ დაიყოფა საზოგადოება ჯოჯოებად, მუმიებად და ჩარეცხილებად, იქნება საზოგადოებრივი კლასი მუმიებისა, რომლებიც უნდა განადგურდნენ როგორც კლასი.

ამას წინათ ივანიშვილს „აქცენტებში“ ჟურნალისტმა კვეესიტაძემ აჭარაში ასლან აბაშიძის დროინდელი თანამდებობის პირები გაახსენა, რომლებიც დღეს „ქართული ოცნების“ სახელით მაჟორიტარულ არჩევნებში მონაწილეობენ. მალევე კი სააგენტო „პირველმა“ საინტერესო მონაცემები მოიძია ნაცმოძრაობის გუნდში ასლან აბაშიძის დროინდელი თანამდებობის პირების შესახებ, რომლებიც ნაცმოძრაობის სიებში არიან. თუ ვინმეს ძალიან აინტერესებს, შეუძლია ეს მონაცემები თავად იხილოს სააგენტოს საიტზე.

საქართველოს ბევრი დელეგაცია ეწვია, აქ არიან უცხოელი დამკვირვებლები, ამიტომ პოლიტოლოგ ზაზა შათირიშვილის აზრით, „სააკაშვილის გაადამიანურება“ სწორედ უცხოელების აქ ყოფნას უკავშირდება. ეს მართალია დასავლეთისთვის თვალის ახვევის უსუსური და უსახური მცდელობაა, ისეთივე წარუმატებელი, როგორც ნაცმოძრაობის რვაწლიანი მმართველობა. ევროსაბჭოსა და ევროკავშირის უმაღლესი რანგის დელეგაციები ღიად მიანიშნებენ ე.წ „სიძულვილის ენაზე“, რომელიც ნაცმოძრაობიდან მომდინარეობს და მას ბანს ლეიბორისტული პარტიაც აძლევს. ნაცებისგან თავდასაცავად სხვა ოპოზიციურმა ძალებმაც დაიწყეს შეპასუხება. ამას კი შედეგად ის მოჰყვა, რომ უცხოელებმა ამ მდგომარეობას „ლენინიზმის ნიშნები“ უწოდეს.

სააკაშვილმა ბაგრატის ტაძრის კურთხევის ცერემონია პოლიტიზირებულ შოუდ აქცია, სწორედ ამ შოუზე მისვლა არ მოინდომა ივანიშვილმა, არ მოინდომა იმიტომ, რომ სააკაშვილს გულწრფელი შერიგება კი არ უნდა, არამედ ყველაფრის შოუდ ქცევის სურვილი ამოძრავებს, ამ სურვილს ვერ გადაურჩა ტაძრის კურთხევაც. საეჭვო მხოლოდ ერთი რამ იყო და ცუდადაც მენიშნა, ალასანიას აჟიტირებული შეფასება, ციტატას მოვიყვან „ძალიან ბედნიერი ვარ ერთსულოვნებით და კიდევ ერთხელ მოვუწოდებთ ყველას, რომ პატრიარქს დავუჯეროთ“. პატრიარქს რომ უნდა დავუჯეროთ, ეს ყველა ქართველისთვის დიდი საქმეა, მაგრამ ხბოს აღტკინება ჰქვია იმას, რომ ბედნიერი იყო ერთსულოვნებით, რომელიც რეალურად ერთსულოვნება კი არ არის, არამედ დადგმული შოუა, როგორც იტყოდა ერთ მშვენიერ სიმღერაში „მწვანე ოთახის“ სოლისტი აჩიკო გულედანი.

აქუბარდიასთან ეთერში ზვიად ძიძიგურმა სწორად აღნიშნა, რატომ არ შეიძლება „მისი აღმატებულება“ საქართველოს პრეზიდენტისთვის ხელის ჩამორთმევა და მისი თანაგუნდელებისთვისაც. ძიძიგური კითხულობს, ვის უნდა ჩამოართვას ხელი ოპოზიციამ, სისხლიან ხელისუფლებას, რომელსაც ხელებიდან სისხლი ჯერ არ ჩამოურეცხავს და ვერც ჩამოირეცხავს?

ვერ ვიტყვით, ვინ ურჩია სააკაშვილს გაკეთილშობილება, მაგრამ ნაციონალებმა კარგად უნდა დაინახონ, რომ რეგიონებში ძალადობის, შანტაჟის, ტერორის ცალკეული ფაქტები უკუშედეგს იწვევს და ეს უკვე აშკარაა, ამან ხალხში წინააღმდეგობა უფრო გაზარდა და შეიძლება ისეთი მასშტაბები მიიღოს, რომ ამ პროცესს ივანიშვილიც კი ვერ გააკონტროლებს.

### რა შემთხვევაში აღიარებს ქართული ოცნება“ არჩევნების შედეგებს

საერთაშორისო თანამეგობრობის მხრიდან საქართველოს საპარლამენტო არჩევნების შედეგების აღიარების შემთხვევაში, მას კოალიცია „ქართული ოცნებაც“ სცნობს. ამის შესახებ კოალიციის ლიდერმა ბიძინა ივანიშვილმა გუშინ თიანეთში ყოფნისას, ამერიკელი კონგრესმენების მიერ ღია წერილის კომენტირებისას განაცხადა.

„თუ საერთაშორისო თანამეგობრობა შეძლებს, რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩათვალოს, ჩვენც შევძლებთ და ვცნობთ მას. ვარწმუნებ მოსახლეობას, რომ არანაირი გაუგებრობა არ მოხდება, ჩვენ აბსოლუტურად ერთნაირი ხედვა გვაქვს და ძალიან აქტიურად ვთანამშრომლობთ მათთან“ – განაცხადა ივანიშვილმა. ამასთანავე, ივანიშვილის თქმით, მას ესმის, რომ არჩევნები „მთლად სამართლიანი ვერ იქნება“.

„ძალიან დიდი ყურადღება არის მოპყრობილი ამ არჩევნებისადმი და ყველა ელოდება, რომ ის იქნება სამართლიანი არჩევნების მსგავსი და არ დაემსგავსება იმას, რაც წინა წლებში იყო“ – აღნიშნა ივანიშვილმა. საპარლამენტო არჩევნებამდე 2 კვირით ადრე ამერიკელმა კონგრესმენებმა საქართველოსადმი მხარდამჭერი ღია წერილი გამოაქვეყნეს და მოუწოდეს პოლიტიკოსებს, პატივი სცენ არჩევნების შედეგებს და უთანხმოება გვერდზე გადადონ. **ნიუსპრესი**

### გურია ნიუსი“ უსაფრთხოების დაცვას ითხოვს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

მაგრამ იმან, რაც მოხდა, ყოველგვარ ზღვარს გადააჭარბა, რამაც კიდეც დააბნია მღვდელმთავრის თანმხლები საერონი და სასულიერონი. შექმნილ ვითარებაში ერთ-ერთმა სასულიერო პირმა სცადა ამ ჟურნალისტის გაჩერება და, ამის გაკეთება რომ ვერ მოახერხა, გადამღები საშუალება გადაუგდო, რაზეც თავადაც ძალიან წუხს, თუმცა მხოლოდ ამან გახადა შესაძლებელი შექმნილი ჩიხური ვითარების დაძლევა. ეს ფაქტი ხდებოდა ფოთის სამღვდელოებისა და ირგვლივ მომუშავე ადამიანების თანდასწრებით. თვითმხილველთა აღწერით, მას შემდეგ, რაც მღვდელმთავარი გაემგზავრა, ჟურნალისტმა მონახა გადაგდებული გადამღები საშუალება, აიღო ხელში, ამოიღო იქიდან მეხსიერების ბარათი და იქვე ქვაფენილზე დაანარცხა ეს გადამღები საშუალება; უკვე დაზიანებული აპარატის აღების მომენტი კი მეორე ჟურნალისტმა გადაიღო. ეს არის მომხდარი ინციდენტის სრული აღწერილობა. აღნიშნული ფაქტი იმდენად აღმაშფოთებელია, რომ მისი კომენტარისგან თავს ვიკავებთ და მხოლოდდამხოლოდ ვაკმაყოფილებთ ფართო საზოგადოების სამართლიან და საფუძვლიან ინტერესს მომხდართან დაკავშირებით და სიცხადე შეგვაქვს იმაში, რაც განგებ საკმაოდ დამახინჯებულად და ტენდენციურად მიეწოდა საინფორმაციო სააგენტოებს. ზოგადად კი ვიტყვით მხოლოდ იმას, რომ ადამიანები, რომელთაც ეს პროვოკაციული ქმედება ჩაიდინეს, თავიდანვე აქტიურად იყვნენ დაპირისპირებული ეკლესიასთან ფოთის საკათედრო ტაძრის დაბრუნების იდეის გამო და ყველანაირად ცდილობდნენ, ჩირქი მოეცხოთ მღვდელმთავრისთვის, რომელიც დღენიადაგ ილვწის ეპარქიის სულიერი აღორძინებისთვის და ამაზე მეტყველებს ეპარქიაში აღსრულებული საქმეები და თვით საკათედრო ტაძარიც. აქვე იმასაც დავძენთ, რომ მიუხედავად დიდი მცდელობისა, ჩრდილი მიაყენონ ეკლესიას, ფოთის საკათედრო ტაძრის გახსნის დიდებულ საქმეს, ეს ისტორიული მოვლენა მაინც აღესრულება. ჩვენ კვლავ ვიმეორებთ, რომ ვწუხვართ მომხდარის გამო, მაგრამ ამის მომწყობებს უნდა ახსოვდეთ, რომ მათი საქციელი დიდი ზიანის მომტანია უპირველესად მათთვის. ჩვენ გვესმის, რომ ზოგიერთი ადამიანი ასე ცდილობს სარჩო-საბადებლის მოპოვებას, თუმცა, მაინც მოვუწოდებთ, დაფიქრდნენ, თუ რას აკეთებენ. იმედს გამოვთქვამთ, რომ მსგავსი რამ აღარ გამეორდება. ღმერთმა შეუნდოს მათ ჩადენილი საქციელი! – აღნიშნულია განცხადებაში.

ამ ინციდენტთან დაკავშირებით განცხადებები უკვე გაავრცელეს სახალხო დამცველმა და ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. ისინი საქმის შესწავლას მოითხოვენ, სასულიერო პირებს კი ჟურნალისტის უფლებების დაცვისკენ მოუწოდებენ.

### თორნიკე გორდაძე ალექსანდრ ვერშბოუს შეხვდა

ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრი თორნიკე გორდაძე და მისის მოადგილე ელენე ხოშტარია, ბრიუსელში სამუშაო ვიზიტის ფარგლებში, ნატო-ს გენერალური მდივნის მოადგილეს ალექსანდრ ვერშბოუს შეხვდნენ.

სახელმწიფო მინისტრის აპარატის პრესსამსახურის ინფორმაციით, შეხვედრას ნატო-ს გენერალური მდივნის სპეციალური წარმომადგენელი კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში ჯეიმს აპატურაიც ესწრებოდა.

შეხვედრაზე მხარეებმა საქართველოს ნატო-ში გაწევრიანების პერსპექტივებთან დაკავშირებული საკითხები და საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური პროცესები განიხილეს. საუბარი შეეხო რეგიონისა და საქართველოს უსაფრთხოების საკითხებს.

როგორც პრესსამსახურში აღნიშნავენ, ნატო-ს მხრიდან დადებითად შეფასდა საქართველოში მიმდინარე რეფორმები და საქართველოს ნატო-სთან ურთიერთობის პოზიტიური დინამიკა.

ვიზიტის ფარგლებში თორნიკე გორდაძე და მისი მოადგილე შეხვედრებს განაგრძობენ.

**ნიუსპრესი**

### ტყეშელაშვილი საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს როშ ჰაშანას“ დღესასწაულს ულოცავს

საქართველოს ვიცე-პრემიერი, სახელმწიფო მინისტრი რეინტეგრაციის საკითხებში ეკა ტყეშელაშვილი საქართველოში მცხოვრებ ებრაელებს „როშ ჰაშანას“ დღესასწაულს ულოცავს.

„ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ჩვენს მრავალეთნიკურ და მრავალკონფესიურ ქვეყანაში ყველაფერი გაკეთდება და დღესაც ბევრი რამ კეთდება, თქვენი უძველესი კულტურისა და თვითმყოფადობის აღორძინების, განახლებისა და მხარდაჭერისთვის“– ნათქვამია მინისტრის განცხადებაში.

„როშ ჰაშანა“ ებრაელთა ეროვნული დღესასწაულია. თორის მიხედვით, ამ დღეს უფალმა შექმნა ადამიანი, ის აღნიშნავს ახალი წლის დასაწყისს და ძველის დამთავრებას.

„როშ ჰაშანას“ დღეებში ებრაელები ცხვრის რქის საკრავს უკრავენ და ხილს, განსაკუთრებით, თაფლში ამოვლებულ ვაშლს მიირთმევენ

**ნიუსპრესი**

### ზაზა გაბუნია კრწანისში სოციალური საცხოვრებლის აშენების იდეით გამოდის

„ქრისტიან-დემოკრატიული მოძრაობის“ კრწანისის მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი კრწანისში სოციალური საცხოვრებლის აშენების ინიციატივით გამოდის.

როგორც ზაზა გაბუნიამ გუშინ მეიდანზე გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა, ის ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში, კერძო ინვესტორების მხარდაჭერით, კრწანისში მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსების აშენებას აპირებს.

მისი თქმით, აღნიშნულ კორპუსებში დიდი რაოდენობით უსახლკარო ჩასახლდება. გაბუნიას თქმით, ამ ეტაპზე, საცხოვრებლით წელიწადში მხოლოდ 10 ოჯახი კმაყოფილდება.

„პირველ რიგში გათვალიწინებული იქნება მათი მომართვიანობა. შემდეგ კი, კომისია მათ მდგომარეობას გამოიძიებს და დაადასტურებს არის თუ არა ოჯახი ნამდვილად უსახლკარო. აღნიშნულ შემთხვევაში, მსგავსი ოჯახების სოციალურად დაუცველთა ბაზაში ყოფნა კრიტერიუმი არ უნდა იყოს „ – განაცხადა გაბუნიამ.

მისი თქმით, ძალიან ბევრი ოჯახია, რომლებიც ბანკის ვალების გამო, საცხოვრებლის გარეშე დარჩნენ, მაგრამ სოციალურად დაუცველთა ბაზაში არ არიან. ბაზაში მოხვედრა კი, პრობლემას წარმოადგენს.

„თბილისის მერიას საკმაოდ მწირი შესაძლებლობები აქვს. წელიწადში საცხოვრებლით მხოლოდ ათი ოჯახი კმაყოფილდება. ჩვენი პროექტის შემთხვევაში, საკმარისია ადამიანს არ ჰქონდეს საცხოვრებელი. პრიორიტეტი მიენიჭება იმას, ვისაც უფრო მეტად სჭირდება დახმარება“ – აღნიშნა გაბუნიამ.

**ნიუსპრესი**

### ამერიკულ ჯგუფს არჩევნებზე დაკვირვების უფლება არ მისცეს

ამერიკულ მონიტორინგის ჯგუფს საქართველოში არჩევნებზე დაკვირვებაზე უარი ეთქვა. როგორც „მედიანიუსს“ამ ორგანიზაციაში – ღია დემოკრატიის კომიტეტში განუცხადეს, დემოკრატიის ფონზე განვითარდა მოულოდნელი ფაქტი, ამერიკის არჩევნებზე მონიტორინგის ჯგუფს უარი ეთქვა დააკვირდეს 1 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებს საქართველოში. ამერიკულ ორგანიზაციას – ღია დემოკრატიის კომიტეტს ექვსჯერ აქვს მიღებული აკრედიტაცია არჩევნებზე დაკვირვებაზე ბოლო 2 წლის განმავლობაში უკრაინაში, მოლდოვეთში, სლოვენიასა და მონტენეგროში.

ამასთან დაკავშირებით დღეს ღია დემოკრატიის კომიტეტის ხელმძღვანელობა: ბრაიან მეფორდი – აღმასრულებელი დირექტორი, და ბრუს ბარსელო – თანა-თავმჯდომარე და საბჭოს წევრი პრესკონფერენციას გამართავენ.

**მედიანიუსი**

### ვეტერანები ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერას უცხადებენ

აფხაზეთისა და ცხინვალის ომის ვეტერანებმა კოალიცია „ქართულ ოცნებას“ მხარდაჭერა გამოუცხადეს და საარჩევნო ხმების დაცვა სთხოვეს – ამის შესახებ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონიდან ომის ვეტერანთა კავშირის თავჯდომარემ დავით გულუამ „კინოს სახლში“ განაცხადა.

ვეტერანების თქმით, ხელისუფლებამ მათი ყოფა გაუსაძლისი გახდა და ცდილობენ გახლიჩონ ერი და ერთმანეთთან დააპირისპირონ. ხელისუფლება საერთოდ არ ზრუნავს მათზე .სწორედ ამიტომ ისინი შეხვდნენ კოალიცია „ქართული ოცნების“ ლიდერს ბიძინა ივანიშვილს. „ჩვენ მივიღეთ დაპირება, რომ პირველ რიგში, ჩვენი უფლებები აღდგება, სოციალური პრობლემებიც მოგვარდება, მაგრამ ეს მეორეხარისხოვანია. ჩვენ მოვუწოდებთ ვეტერანებს, რომლებიც მუშაობენ ძალოვან სტრუქტურებში, შემოგვიერთდნენ. ყველა გვერდში დავუდგეთ ქართულ ძალას და ერთად მოვიპოვოთ თავისუფლება. ჩვენ გვჯერა ივანიშვილის, დარწმუნებულები ვართ, რომ შეუძლია სქართველოს გადარჩენა, ვეტერანებისთვის, დევნილებისთვის და საქართველოს მოსახლეობისთვის წართმეული უფლებების აღდგენა. ხალხისა და ქვეყნის გაერთიანება“,-განაცხადა „კინოს სახლში“ გამართულ შეხვედრაზე გულუამ.

ცნობისათვის: ვეტერანები 27 სექტემბერს გმირთა მოედანზე მასშტაბურ მსვლელობას გეგმავენ და მათ დევნილებიც შეუერთდებიან. **მედიანიუსი**

# დუშეთში ნაციონალური მოძრაობის" პლაკატებს ქართული ოცნების" სტიკერები გადააკრეს




დუშეთში „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან" მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატის ნინო ხუციშვილის საარჩევნო პლაკატებს „ქართული ოცნების" სააგიტაციო სტიკერები გადააკრეს. აღნიშნულთან დაკავშირებით „ნაციონალური მოძრაობა" საარჩევნო ადმინისტრაციისგან რეაგირებას ითხოვს.

„ნაციონალური მოძრაობის" დუშეთის საარჩევნო შტაბის უფროსმა ზურაბ ოტიაშვილმა მცხეთა – მთიანეთის საინფორმაციო ცენტრთან კომენტარის გაკეთებაზე უარი თქვა. „მე თქვენთან არ ვთანამშრომლობ", – განაცხადა ოტიაშვილმა. დეპუტატობის კანდიდატმა ნინო ხუციშვილმა სატელეფონო ზარები უპასუხოდ დატოვა.

„ქართული ოცნების" დუშეთის საარჩევნო შტაბის უფროსი თედო კარიაული კი აცხადებს, რომ კოალიციის სტიკერები „ნაციონალური მოძრაობის" პლაკატებზე თავად ნაციონალებმა გადააკრეს. „ჩვენ სააგიტაციო მასალა, პლაკატები ჯერ არ გაგვიკრავს. მათ ეს სპეციალურად გააკეთეს. სტიკერები რამდენიმე ადგილზე ააძრეს და ხუციშვილის პლაკატებს გადააკრეს. ყველა ჩვენი აქტივისტი გაფრთხილებულია, რომ ასეთი რამ არ გააკეთონ. 2 დღის წინ, როცა ეგ ფაქტი მოხდა, ჩვენ საერთოდ არაფერი არ გაგვიკრავს", – განაცხადა კარიაულმა.

**მცხეთა–მთიანეთის საინფორმაციო ცენტრი**

# ეროვნულ მუზეუმში საერთაშორისო კონფერენცია გაიხსნება

ეკა ირემაშვილი

19 სექტემბერს საქართველოს ეროვნულ მუზეუმში გაიხსნება საერთაშორისო კონფერენცია, რომლის სახელწოდებაა „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა". კონფერენციის გახსნასთან ერთად, ეროვნული მუზეუმი წარმოადგენს გამოფენას „სამუზეუმო კუნძული ბერლინში – თბილისის სამუზეუმო უბანი. წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა".

– ამ კონფერენციისა და გამოფენის ორგანიზატორები არიან საქართველოს ეროვნული მუზეუმი, თბილისის გოეთეს ინსტიტუტი და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები – პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი. გამოფენის მხარდაჭერა კი სამუზეუმო კუნძულის სამეურვეო საბჭომ და ევროკავშირმა ითავა, – აცხადებს ეროვნული მუზეუმის წარმომადგენელი ანა ვერულაშვილი.

საერთაშორისო კონფერენცია 19 სექტემბერს საქართველოს ეროვნული მუზეუმის აუდიტორიაში გაიხსნება, გამოფენა კი სიმონ ჯანაშიას საქართველოს მუზეუმში იქნება წარმოდგენილი.

– ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფორუმია, ძალიან წარმომადგენლობითი. მასში ჩართული არიან განვითარებული სახელმწიფოების წარმომადგენლები და გაგვაცნობენ მათ სამუზეუმო ისტორიასა და ადგილს ყოველდღიურ ცხოვრებაში. საერთაშორისო კონფერენცია „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს? წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა" სწორედაც რომ დროულია. უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში მუზეუმი, როგორც ინსტიტუცია, მნიშვნელოვნად განვითარდა. მისი დანიშნულება გასცდა ექსპონატების შეგროვების, დაცვისა და გამოფენის იმ ტრადიციულ ჩარჩოს, რომელიც მას XIX საუკუნიდან ჰქონდა შეძენილი. XXI საუკუნეში მუზეუმები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქალაქის ცხოვრებისა და ტურიზმის განვითარებაში. თანდათანობით მუზეუმები იქცა „ქალაქის შემოქმედებით ცენტრებად". ჩვენ მიერ დაგეგმილი კონფერენციის მთავარი თემაა მუზეუმის ახალი როლის განხილვა. სამდღიან საერთაშორისო კონფერენციაზე დაგეგმილია მსოფლიოს წარმატებული მუზეუმების მაგალითების პრეზენტაცია, როგორიცაა ბერლინის „სამუზეუმო კუნძული", თანამედროვე ტენდენციები ლონდონის „ბრითიშ მუზეუმში", ნიუ იორკის მეტროპოლიტენის მუზეუმში, ვაშინგტონის სმითსონის ინსტიტუციაში, აზიის მუზეუმებში და სხვა. კონფერენციას დაესწრებიან მსოფლიოს წამყვანი მუზეუმების დირექტორები და კურატორები, მეცნიერები, მენეჯერები და არქიტექტორები. ყურადღება დაეთმობა მუზეუმების მდგომარეობას სამხრეთ კავკასიისა და პოსტსაბჭოთა კავშირის ქვეყნებში. ვიმედოვნებთ, რომ თბილისში წარმოდგენილი პროექტები მომავალში ხელს შეუწყობს სამუზეუმო საქმის განვითარებას რეგიონში, – განაცხადა საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ.

საერთაშორისო კონფერენციის გახსნამდე ერთი დღით ადრე მისმა ორ-



განიზატორება ჟურნალისტებისთვის პრესკონფერენცია გამართეს და კონფერენციისა და გამოფენის მთავარ თემებზე ისაუბრეს.

– ამ საერთაშორისო კონფერენციის სახელწოდება „რას ნიშნავს მუზეუმი დღეს?" ჩვენ მიერ არის შერჩეული. მუზეუმი ადამიანების ყოფაში საკმაოდ მნიშვნელოვანია, თან ისეთ ქვეყნებში, როგორიც საქართველოა. ის აშუქებს როგორც წარსულს, ასევე მომავალს. ჩვენ ვიწყებთ ორწლიან ერთობლივ პროექტს და ხვალინდელი გამოფენა ამ პროექტის დასაწყისია. საქართველოს ეროვნული მუზეუმი რეგიონული მნიშვნელობის მაგალითია საიმისოდ, თუ როგორ შეიძლება იქცეს პოსტსაბჭოთა მუზეუმი თანამედროვე, ინოვაციურ, შემოქმედებით და დამთვალიერებლებისათვის საინტერესო ინსტიტუციად, რომელიც აქტიურადაა ჩართული ქალაქის ურბანულ და სოციალურ ცხოვრებაში. პრუსიის კულტურული მემკვიდრეობის ფონდი და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმები 2010 წლიდან მჭიდროდ თანამშრომლობენ საქართველოს ეროვნულ მუზეუმთან ევროკავშირის მიერ დაფინანსებული „თვინინგის" პროექტის ფარგლებში, – განმარტა თბილისის გოეთეს ინსტიტუტის დირექტორმა სტეფან ვაკვიცმა.

საერთაშორისო კონფერენციის გახსნის შემდეგ შეკრებილი საზოგადოება უკვე სიმონ ჯანაშიას სახელობის ეროვნულ მუზეუმში გადაინაცვლებს, სადაც გაიხსნება გამოფენა „სამუზეუმო კუნძული ბერლინში – თბილისის სამუზეუმო უბანი – წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა". ექსპოზიცია საქართველოს ეროვნული მუზეუმის, თბილისის გოეთეს ინსტიტუტისა და ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების მიერ არის ორგანიზებული.

– გამოფენაზე „სამუზეუმო კუნძული ბერლინში – თბილისის სამუზეუმო უბანი – წარსულის შენარჩუნება და მომავლის შექმნა" წარმოგიდგენთ ამ ორ ქალაქში მდებარე მნიშვნელოვან ისტორიულ-სამუზეუმო ქსელს. გამოფენა მიზნად ისახავს იმ სირთულეებისა და ამოცანების წარმოჩენას, რომლის წინაშეც დგას ბერლინისა და თბილისის მუზეუმები. კერძოდ, კოლექციების დაცვა, ინტერპრეტაცია და მათი გამოფენა ახლადაშენებულ თუ ისტორიულ შენობებში, – აღნიშნა ბერლინის სახელმწიფო მუზეუმების გენერალურმა დირექტორმა მიხაელ აიზენჰაუერმა.

როგორც შეხვედრაზე გახდა ცნობილი, გამოფენაზე წარმოდგენილი გრაფიკული მასალა, ფილმი, ფოტოები, ტექსტები და ნივთები დაინტერესებულ საზოგადოებას ბერლინის სამუზეუმო კუნძულისა და თბილისის სამუზეუმო უბნის შესახებ მოუთხრობს.

# იდუმალი ოლიგარქი

**საქართველოს დედაქალაქ თბილისს ორი ახალი, ძალზე განსხვავებული სასახლე გადაჰყურებს: ერთი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის რეზიდენცია, ბერლინის რაიხსტაგის მსგავსი მონუმენტური ნაგებობაა, მეორე კი — ბიძინა ივანიშვილის, საქართველოს უმდიდრესი ადამიანის სახლი, იაპონელი არქიტექტორის მიერ დაპროექტებული, ფუტურისტული მბზინავი შენობა.**

სულ რამდენიმე წლის წინ, ასეთი განსხვავებული არქიტექტურული გემოვნების მქონე ეს ორი ადამიანი, საქართველოზე ერთნაირ შეხედულებებს იზიარებდა. სააკაშვილმა 2003 წლის „ვარდების რევოლუციას" უხელმძღვანელა; ამის შემდეგ ივანიშვილმა ქვეყნის საზოგადოებრივი სერვისი და ჯარის ეკიპირება დააფინანსა. სააკაშვილს მსგავსი დამოკიდებულება თითქოს არ ანაღვლებდა. „მას არანაირი პოლიტიკური ამბიციები არ აქვს," – განაცხადა სააკაშვილმა ივანიშვილზე 2008 წელს.

თუმცა სიტუაცია შეიცვალა: დღეს ივანიშვილი 1 ოქტომბერს დანიშნულ საპარლამენტო არჩევნებში ოპოზიციას უდგას სათავეში. მისმა გადაწყვეტილებამ პოლიტიკაში ჩაბმულიყო შეცვალა ურთიერთობა ამ ორ ადამიანს შორის. გასულ ოქტომბერში, კოალიცია „ქართული ოცნების" შექმნიდან სამ დღეში, ივანიშვილს საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვეს; მისი სტატუსის საკითხი დღესაც მოუგვარებელია. ოპოზიცია სააკაშვილს და მის თანამოაზრეებს ივანიშვილის ბიზნეს კომპანიების და საარჩევნო კამპანიის დაჯარიმებაში, მისი მხარდამჭერების დაშინებასა და „ქართული ოცნებისთვის" მედია საშუალებზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვაში ადანაშაულებს. აგვისტოს ბოლოს ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციამ (ეუთო) ძალზე კრიტიკული განცხადება გააკეთა; 3 სექტემბერს მსგავსი განცხადება ევროკავშირმაც გამოაქვეყნა.

მთავრობის არგუმენტები ხშირად არადამაჯერებელია. მისი ბრალდებები უკავშირდება ივანიშვილის კავშირებს რუსეთში, სადაც მან ქონება დააგროვა. ერთ-ერთმა უცხოელმა დიპლომატმა, რომელიც ცოტა ხნის წინ თბილისში იყო, ხელისუფლების რიტორიკას „ბოლშევიკური" უწოდა. სწორედ ეს მიდგომა მატებს იდუმალებას ივანიშვილს. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ მის შესახებ თითქმის არაფერი იყო ცნობილი მიუხედავად იმისა, რომ ჟურნალ ფორბს-ის თანახმად, ის მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა სიაში 153-ე ადგილზეა და მისი ქონება 6.4 მილიარდ დოლარს (5 მილიარდი ევრო) აღწევს. 2010 წლამდე მის შესახებ ინტერნეტში ინგლისურ ენაზე ძალზე მწირი ინფორმაცია მოიპოვებოდა, ხოლო საქართველოში მას მხოლოდ რამდენიმე პარტნიორი და მეგობარი თუ იცნობდა.

სწორედ იმის გამო, რომ ბიზნესმენი ივანიშვილი უჩინარი იყო, დღეს მას როგორც პოლიტიკოსს, ოთხ ფრონტზე უწევს ბრძოლა: საზოგადოებისთვის თავის გაცნობა, ბრალდებების მოგერიება, პოლიტიკაში ჩაბმის გადაწყვეტილების ახსნა და იმის მტკიცება, რომ პოლიტიკოსობა ხელეწიფება.

ის თანდათან საკუთარ თავს ავლენს და მისი ამბავი საბჭოთა და პოსტსაბჭოთა ზღაპარს ემსგავსება. განათლების წყალობით, მან შეძლო თავი აერიდებინა მშობლიურ ღარიბ რეგიონში მაღაროებსა თუ ლითონდამმუშავებელ საწარმოებში მუშაობისთვის და ამის ნაცვლად მოსკოვში ეკონომიკის დარგში დისერტაცია დაეცვა. მიხეილ გორბაჩოვის „პერესტროიკამ" მას ტელეფონებისა და კომპიუტერების გაყიდვით ფულის შოვნის შანსი მისცა, რის შედეგადაც 1990 წელს ბანკის „როსიისკი კრედიტის" თანადამფუძნებელი გახდა.

მაგრამ 2002 წელს იგი რუსეთიდან საფრანგეთში გადავიდა (სადაც 2010 წელს მოქალაქეობა მიიღო), ხოლო 2003 წელს საქართველოში დასახლდა. მომდევნო შვიდი წელი მთლიანად ქველმოქმედებას მიუძღვნა: თავად ჩრდილში მდგომი, ის ხელოვანებს, მეცნიერებს, საზოგადოებრივ პროექტებს აფინანსებდა. იდუმალ იმიჯს უკვე დადასტურებული რამდენიმე დეტალი ემატება: ზებრები, თანამედროვე ხელოვნების უჩვეულო ნიმუშები და ოთხი შვილიდან ორის ალბინოსობა.

მთავრობამ ჯერჯერობით ვერ მოახერხა თავისი ცილისმწამებლური განცხადებების, კერძოდ რუსეთის პრეზიდენტ ვლადიმერ პუტინთან ივანიშვილის პოლიტიკური თუ ფინანსური კავშირის დამადასტურებელი საბუთის წარმოდგენა. არსებობს გარკვეული ცნობები იმის შესახებ, რომ ის რუსეთის პოლიტიკაში გარკვეულ როლს ასრულებდა, მაგრამ ესეც 1990-იანი წლების შუა პერიოდით თარიღდება (ბორის ბერეზოვსკი, იმ პერიოდის რუსეთის შესაძლო ყველაზე ძლევამოსილი ოლიგარქი ამბობს, რომ ივანიშვილმა ხელი შეუწყო 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში მესამე ადგილზე გასული ალექსანდრე ლებედის დარწმუნებას იმაში, რომ ამ უკანასკნელს ბორის ელცინისთვის დაეჭირა მხარი). თუ მისი ფული ამდენად ბინძური იყო, მაშინ რატომ იღებდა მას მთავრობა? ან სააკაშვილის იმ მოკავშირეებს რა ვუყოთ, რომლებმაც მდიდარი ქართველების უმრავლესობის მსგავსად ფული რუსეთში იშოვეს?

და მაინც, რუსეთთან კავშირი ივანიშვილს უხერხულობას უქმნის. მან ჩააბარა თავისი რუსული პასპორტი და რუსეთის ფარმაცევტულ ბიზნესსა და ძვირფას ლითონებში არსებულ აქტივებს ჰყიდის. მისი გუნდის თქმით, გაზაფხულზე მან „როსიისკი კრედიტი" გაყიდა და აღარც „გაზპრომის" აქციებს ფლობს.

ეს ფინანსური მსხვერპლი კიდევ უფრო მეტ კითხვას ბადებს იმის თაობაზე, თუ რატომ ჩაება პოლიტიკაში ეს სიტყვაძუნწი, უჩინარი კაცი, რომელიც რისკებს ძალზე გულდასმით წონის? მისი მეგობრის თქმით, ის რომ ივანიშვილი საჯაროობას გაურბოდა ეს აიხსნება მისი პიროვნული თვისებებით და უსაფრთხოებაზე ზრუნვით: მისი ძმა ხომ 1990-იან წლებში გაიტაცეს. ივანიშვილის თქმით, პოლიტიკაში ჩაბმისკენ მას სააკაშვილის მმართველობის ავტოკრატიულმა სტილმა და იმ განცდამ უბიძგა, რომ ის ვალდებული იყო დაპირისპირებოდა მას.

საგარეო საკითხებში ივანიშვილის მრჩევლის ბ-ნ თედო ჯაფარიძის თქმით, მის მიერ გამჟღავნებული პოლიტიკური შეხედულებები „რეალიზმს, პრაგმატიზმსა და . . . რეგიონალური რეალპოლიტიკის განსაკუთრებულ აღქმას ემყარება": საქართველომ უნდა შეუწყოს „გლობალურ თამაშებში" მონაწილეობის მცდელობა, რაც მას ძლიერ გამოზიანებლად აქცევს. ამის ნაცვლად საქართველომ რეგიონში უფრო „ხიდის, შუამავლის ან ცენტრის როლი" უნდა შეასრულოს.

ბ-ნი ჯაფარიძე სააკაშვილის პირველი საგარეო საქმეთა მინისტრი იყო. ივანიშვილის გუნდი ხელისუფლების სხვა ყოფილ წარმომადგენლებს და დიდი ხნის ოპოზიციონერებსაც აერთიანებს. თუმცა, მათ შორის ბევრი გაურკვეველი ფიგურაა, ადგილობრივი ცნობილი სახეები, რომელთაგან ზოგიერთი პროვოკაციული განცხადებებით გამოირჩევა. ერთი არაპოლიტიკოსი ქართველის თქმით, ზოგიერთმა მათგანმა „ჰომოფობიური" და „თურქოფობიური" კომენტარებიც კი გააკეთა, რაც ივანიშვილს უნდა დაეგმო. იგივე ადამიანი წუხს გამოთქვამს, რომ თავად ივანიშვილიც კრიტიკის მიმართ ზედმეტად მგრძნობიარეა. ზოგიერთებისთვის, ივანიშვილის გაცხადებული განზრახვა, რომ ერთ-ორ წელიწადში პოლიტიკიდან წავა, მოულოდნელი და რამდენადმე შემაშფოთებელია.

ეს გეგმა ზრდის იმის შესაძლებლობას, რომ ივანიშვილი, რომელიც არატიპიური ქართველია (იოგით არის გატაცებული, ძალზე ზომიერი ჭამა-სმის და კარჩაკეტილი ცხოვრების მოყვარულია) და რომელიც გადაწყვეტს ისეთ ქვეყანას გაუძღვეს, სადაც ღამისთევება, დრამა და ძლიერი მმართველები უყვართ, მხოლოდ დროებითი მოვლენაა.

იმისათვის, რომ გამარჯვების შანსი ჰქონდეს (გამოკითხვების შედეგები სადავოა), ივანიშვილს შესაძლოა იმის დამტკიცება სჭირდებოდეს, რომ ჯაფარიძე მართალია როდესაც ამბობს, რომ: „ის (ივანიშვილი) გამორჩეულია იმით, რომ სხვებისგან გამორჩეული არ არის". ივანიშვილი, რომელიც თავის მშობლიურ სოფელში ცხოვრობს და ცოლად მეზობელი სოფლის მკვიდრი გოგონა შეირთო, „ნამდვილი სოფლის მცხოვრებია, რომელიც მყარად დგას მიწაზე". ყველაზე მარტივ ვითარებაშიც კი, კაცს, რომელიც პერსონალური თვისებებით, ცხოვრების სტილით და სიმდიდრით რიგითი ქართველებისგან ასე განსხვავდება, მოუწევდა ბრძოლა ამომრჩევლების დასარწმუნებლად იმაში, რომ ისიც მათსავით აზროვნებს. მაგრამ ეს მარტივი კამპანია არ არის, თან ივანიშვილმა მის გასაცნობად ამომრჩევლებს მხოლოდ 12 თვე მისცა.

მიუხედავად იმისა, თუ როგორი იქნება შედეგები, კამპანიამ რამდენიმე მნიშვნელოვანი საკითხი გამოკვეთა: ქართული პოლიტიკა კვლავ ღრმად პოლარიზებულია, მასში გამორჩეული ფიგურები დომინირებენ, და კამპანიის შედეგად სააკაშვილის მთავრობის რეპუტაცია შეილახება. მან ისიც ცხადყო, რომ ვიდრე ივანიშვილი საქართველოშია, მისი სასახლის შემხედვარე ვერცერთი პრეზიდენტი ვერ უგულებელყოფს მას, როგორც პოლიტიკურ ძალას.

**ენდრიუ გარდნერი**

# სოფლის რწმუნებულს ოთახში ნაციონალების კანდიდატის პლაკატი უპოვეს




ქარელის რაიონის სოფელ ზემო ხვედურეთის №20 საარჩევნო უბნიდან, კერძოდ სოფლის რწმუნებულის ოთახიდან ,,ნაციონალური მოძრაობის" ქარელის მაჟორიტარი კანდიდატის ილია ბურჯანაძის საარჩევნო პლაკატები რიგდება. ამის ვიდეო მასალა შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრის ჟურნალისტებმა 18 სექტემბერს დააფიქსირეს.

როგორც საარჩევნო უბნის თავმჯდომარის მოადგილემ განგვიცხადა, პლაკატები მოქმედი რწმუნებულის აბესალომ კავსაძის ოთახში აწყვია, ხოლო ის რომ გვერდით ოთახში საარჩევნო უბანია გახსნილი, არავითარ პრობლემას წარმოადგენს.

მას დაეთანხმა საარჩევნო უბნის კომისიის წევრი ,,ქართული ოცნებიდან", რომელმაც აღნიშნა, რომ ილია ბურჯანაძის პლაკატების (თანაც რამდენიმე ყუთით) არსებობა პრობლემას არ წამოადგენს. ,,მე გავიარე ტრენინგები ჩვენს ოფისში და აქ ყველაფერი ისე მიმდინარეობს, როგორც გვასწავლეს" – განიხრა ,,ქართული ოცნების" წევრმა.

საარჩევნო კოდექსის მიხედვით, რწმუნებულის ოთახში ყოველგვარი სააგიტაციო მასალის განთავსება და გავრცელება, ასევე საარჩევნო უბნის შენობაში და მის მიმდებარე ტერიტორიაზე იგივე მასალების გამოყენება აკრძალულია.

შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრმა აღნიშნული ვიდეო მასალა რეაგირებისთვის ,,საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს" მიაწოდა. ორგანიზაციის წარმომადგენელი ლევან ნატროშვილი თვლის, რომ საარჩევნო კოდექსის დარღვევის ნიშნები სახეზეა.

**შიდა ქართლის საინფორმაციო ცენტრი**

# წიგნი მიხეილ კალატოზოვი“ გამოცემულია

ეკა ირემაშვილი


მიხეილ კალატოზოვი

საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროში ახალი წიგნის „მიხეილ კალატოზოვის“ პრეზენტაცია გაიმართა, რომლის ავტორებიც რეჟისორის შთამომავალი ანა კალატოზიშვილი და ზაზა ჯაფარიძე არიან. როგორც კულტურის სამინისტროში გამართულ წიგნის წარდგინებაზე გახდა ცნობილი, ახალ კრებულში ყველა ის მნიშვნელოვანი დეტალია გადმოცემული, რომელიც რეჟისორის ცხოვრებასა და მოღვაწეობას შეეხება.

მიხეილ კალატოზიშვილის წიგნის გამოცემამდე ქართველმა საზოგადოებამ 2003 წელს რეჟისორის 100 წლის იუბილე აღნიშნა. ქართველმა კინორეჟისორმა, რომელიც მოსკოვში 70 წლის ასაკში გარდაიცვალა, არაერთი კინოშედევრი შექმნა, რომლებიც დღესაც კინოს მოყვარულებისთვის ყველაზე სასიამოვნო საყურებელია.

მიხეილ კალატოზიშვილის პირველი დამოუკიდებელი რეჟისორული ნამუშევარია ფილმი „მათი სამეფო“, რომლის შემდგომაც გადაიღო ფილმი „ჯიმ შვანთე“ – „მარილი სვანეთს“. კინოკრიტიკოსთა თქმით, ეს არის ნოვატორული და პოეტური ნაწარმოები, რომელშიც დოკუმენტური და მხატვრული კინოს სანახაობითი პრინციპები ერთმანეთშია შერწყმული. მიხეილ კალატოზიშვილი ლენინგრადის ხელოვნებათმცოდნეობის აკადემიაში შევიდა, ხოლო შემდეგ უკვე სარეჟისორო მოღვაწეობას დაუბრუნდა და გადაიღო ფილმი „მამაცობა“.

კინორეჟისორის ფილმოგრაფიაში გაერთიანებულია ფილმები „ვალერი ჩკალოვი“, „განწირულთა შეთქმულება“, „ერთგული მეგობრები“, „პირველი ეშელონი“, „მიფრინავენ წეროები“, „გაუგზავნელი წერილი“, „წითელი კარავი“. რეჟისორის მიერ შექმნილი ნამუშევრები სხვადასხვა დროს კინემატოგრაფში დაწესებული უმაღლესი ჯილდოებით შეფასდა. მსოფლიო აღიარება მოიპოვა მიხეილ კალატოზიშვილის ფილმმა „მიფრინავენ წეროები“, რომელიც „ოქროს პალმის რტოს“ მფლობელი გახდა კანის XI საერთაშორისო კინოფესტივალზე. ამ ფილმში რეჟისორმა სრულყოფილად ასახა ომი-

გაგრძელება მე-10 გვერდზე

# თბილისი ელექტრო ღამეს“ უმასპინძლებს

ეკა ირემაშვილი

**22 სექტემბერს საქართველოს დედაქალაქი ფესტივალს „თბილისი ელექტრო ღამე 2012“ უმასპინძლებს, რომელიც ქართველ და უცხოელ დიჯეებს გააერთიანებს. ფესტივალი თბილისის მერიის მხარდაჭერითა და კომპანია „რეამბიშენსის“ ორგანიზებით ჩატარდება. დიჯეების საერთაშორისო ფესტივალში მონაწილეობენ მსოფლიოში ცნობილი უცხოელი დიჯეები. ფესტივალი „აჭარაბეთის“ — ყოფილ გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში საღამოს 18 საათიდან დილის 7 საათამდე ჩატარდება.**

კომპანია „რეამბიშენსის“ პროდიუსერი ირაკლი ნადარეიშვილი აცხადებს:

– 22 სექტემბერს ჩვენს დედაქალაქში გაიმართება „თბილისი ელექტრო ღამე 2012“, რომელზეც 5 ათასამდე მსმენელს ველოდებით. ერთი დღით ადრე ჩამოდიან უცხოელი დიჯეები და 21 სექტემბერს ჩაატარებენ სემინარს ქართველი მუსიკოსებისა და პროდიუსერებისთვის ელექტრონული მუსიკის საერთაშორისო ბაზარზე გატანასთან და მის წარმატებით გაყიდვასთან დაკავშირებით.

თბილისის კულტურული ღონისძიებების ცენტრის თავმჯდომარე ნეკა სეფისკვერაძე:

– „თბილისი ელექტრო ღამე 2012“ წელს პირველად იმართება და, როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, ის სამომავლოდ სისტემატურ სახეს მიიღებს. ჩვენი ცენტრი მზად არის, მათ ღონისძიებას მხარდაჭერა მომავალშიც გამოუცხადოს, რადგან ფესტივალზე შეკრებილი უცხოელი და ქართველი დიჯეები მსმენელს ნამდვილად საინტერესო მუსიკას შესთავაზებენ. ფესტივალის მიზანს როგორც ელექტრონული მუსიკის საქართველოში პოპულარიზაცია, ასევე ქართველ და უცხოელ მუსიკოსებს შორის კონტაქტების დამყარება და სამომავლოდ მათი თანამშრომლობა წარმოადგენს. ჩვენთვის ისიც მნიშვნელოვანია, რომ ევროპის ელექტრონული მუსიკის ერთ-ერთ წამყვან სტუდიაში გაწევრიანებული 4 უცხოელი დიჯეი თბილისს ეწვევა.

უცხოელ დიჯეებთან ერთად ფესტივალში მონაწილეობას ექვსი ქართველი დიჯეიც მიიღებს – ფორესტი, გიო შენგელია, თომა, ჟორჟიკ, ბერო და მაუსი. სადებიუტო ფესტივალის საზეიმოდ გახსნის პატივი სწორედ ქართველ მუსიკოსებს მიეკუთვნებათ.

ქართველი და უცხოელი დიჯეები ერთად ელექტრონული მუსიკის მოყვარულებს მთელი ღამის განმავლობაში დიფ ლაუნჯის და ჰაუს ტექნოს შესთავაზებენ.

– შენობა, რომელშიც ფესტივალი უნდა ჩავატაროთ, შენების პროცესშია, თუმცა ის ჩვენ სპეციალურად შევარჩიეთ, რადგან ეს ინდუსტრიული გარემო განსაკუთრებულ ამბიანს შექმნის. მიუხედავად იმისა, რომ ამჟამად შენობაში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს, ფესტივალის დღეს იქ განთავსდება დეკორაცია, კვების ობიექტი, ბარი და შეიქმნება სწორედ ისეთი კლუბური გარემო, სადაც ელექტრონული მუსიკის მოყვარულები სასიამოვნო საღამოს გაატარებენ, – აცხადებს ირაკლი ნადარეიშვილი.

ფესტივალის ფარგლებში 21 სექტემბერს სასტუმრო „ჰოლიდეი ინში“ ცნობილი უცხოელი დიჯეები ქართველი მუსიკოსებისთვის სამსაათიან სემინარს გამართავენ. ისინი ელექტრონული მუსიკალური ინდუსტრიის მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრებენ, გაუზიარებენ ქართველ მუსიკოსებს იმ გზებს, თუ როგორ უნდა გაყიდეს მათი მუსიკა ევროპულ ბაზარზე და როგორ უნდა მოახდინონ საკუთარი მუსიკის პოპულარიზაცია.

– ამ სემინარზე დასწრება ქართული ელექტრონული მუსიკის პროდიუსერებსა და შემსრულებლებს შეეძლებათ. იქიდან გამომდინარე, რომ ელექტრონული მუსიკა ძალიან მობილურია, მარტივია მისი კომერციულად ქცევაც. სწორედ ამის გამო ფესტივალის წინა დღეს გაიმართება სემინარი, სადაც ცნობილი ლეიბლის წარმომადგენლები ქართველ მუსიკოსებს თავიანთ გამოცდილებას გაუზიარებენ და მიაწვდიან მეტ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გახდეს მათი მუსიკა კომერციული ევროპული ბაზრისთვის, – ამბობს ირაკლი ნადარეიშვილი.

ფესტივალში მონაწილე ქართველი დიჯეების განცხადებით, ერთი მხრივ, მათთვის დიდი პატივია, რომ თბილისში ასეთი დონის ფესტივალი ტარდება და, მეორე მხრივ, ამ ფესტივალში მათი ჩართვა არანაკლებ საპასუხისმგებლოა.

– ძალიან მაგარი ფესტივალი იქნება. დარწმუნებული ვარ, ბევრი ადამიანი მოვა და კარგადაც გაერთობა. მსგავსი ფესტივალები თბილისში ნამდვილად საჭიროა. უცხოელ დიჯეებთან და ცნობილი ლეიბლის წარმომადგენლობასთან მსგავსი შეხვედრები და სემინარები ქართველ მუსიკოსებს საშუალებას მოგვცემს, უფრო უკეთ წარმოვაჩინოთ საკუთარი შემოქმედება და საზღვრებს გარეთ გავიტანოთ. „თბილისი ელექტრო ღამე 2012“ წელს პირველად იმართება და, როგორც ორგანიზატორები აცხადებენ, ის სამომავლოდ სისტემატურ სახეს მიიღებს. ფესტივალის მიზანს წარმოადგენს როგორც ელექტრონული მუსიკის საქართველოში პოპულარიზაცია, ასევე ქართველ და უცხოელ მუსიკოსებს შორის კონტაქტების დამყარება და სამომავლოდ მათი თანამშრომლობა. ეს ჩვენთვის, ქართველი დიჯეებისთვის, პირველი წინგადადგმული ნაბიჯია, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, უფრო მეტი სიახლეები და შემოქმედებითი წარმატებები დაემატება, – აცხადებს ქართველი დიჯეი გიო შენგელია.

სტუდია „დიპ კლას რექორდს“, რომლის წევრებიც თბილისში მოწვეული უცხოელი დიჯეები არიან, უკვე ხუთი წელია ბარსელონაში ფუნქციონირებს. ამ ეტაპზე ლეიბლში გაწევრიანებულია 20-მდე ცნობილი მუსიკოსი. სტუდია წელს დაარსებიდან ხუთი წლის იუბილეს აღნიშნავს. ამ თარიღთან დაკავშირებით კომპანიამ უკვე გამოუშვა საგანგებო ალბომი, რომელშიც შესულია ცნობილი მუსიკოსების ნამუშევრები.

– ჩვენი სემინარი სპეციალურად დავგეგმეთ ამ ფესტივალის ფარგლებში, რადგან ის საკმაოდ მნიშვნელოვანია. ევროპის ელექტრონული მუსიკის წამყვანი სტუდიისა და საპროდიუსერო კომპანიის მოქმედი პროდიუსერები და ხელმძღვანელები ელექტრონული მუსიკალური ინდუსტრიის მნიშვნელოვან საკითხებზე ქართველი მუსიკოსებისა და პროდიუსერებისთვის ისაუბრებენ. სწორედ ამიტომ სემინარზე მოწვეულნი იქნებიან ქართული ელექტრონული მუსიკის პროდიუსერები და შემსრულებლები. „დიფკლას რექორდსი“ ერთ-ერთი იმ ლეიბლთაგანია, რომელმაც დღემდე არ უარყო საკუთარი პირველადი ფასეულობები და ელექტრონული მუსიკალური მიმდინარეობის დიფ ლაუნჯის და ჰაუს ტექნოს ერთგული დარჩა. განვლილი მრავალი წლის მანძილზე განხორციელებული პროექტების შემდეგ 2007 წელს იგი, როგორც კომპანია, მუსიკოსმა ფერ ფერარიმ ბარსელონაში ჩამოაყალიბა, მრავალწლიანი შრომის შედეგად კი ლეიბლმა საკუთარ სიას მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსების სახელები შემატა. თბილისში გამართულ სემინარს წარუძღვებიან თავად ფერ ფერარი, ემირ გრუვე, ჯონი ფიასკო და ჯუნიორ ლოპესი. ოთხივე მოწვეული მუსიკოსი მსოფლიოში ცნობილი მუსიკალური ლეიბლის წარმომადგენლები არიან, – აღნიშნა ირაკლი ნადარეიშვილმა.

როგორც ფესტივალის ორგანიზატორმა ირაკლი ნადარეიშვილმა განაცხადა, ფესტივალზე დასასწრები ბილეთის ფასი 20 ლარია, იმ მუსიკოსებისთვის კი, რომლებიც ლეიბლის წარმომადგენლების მიერ გამართულ სემინარს დაესწრებიან, ფესტივალზე დასწრება თავისუფალი იქნება.

**ნიკოლოზ დავითის ძე ცერცვაძის მემკვიდრეთა საყურადღებოდ**

**ნოტარიუს ოთარ ზოიძესთან იწარმოება 03.02.1995 წ.-ს გარდაცვლილი – ნიკოლოზ დავითის ძე ცერცვაძის (საცხოვრებელი ადგილი გარდაცვალების მომენტისათვის: ქ.თბილისი, მიჩურინის ქუჩა №7) სამემკვიდრეო საქმე. ყველა დაინტერესებულმა პირმა 2012 წლის 29 სექტემბრამდე მიმართეთ ნოტარიუს ოთარ ზოიძეს (მისამართი: ქ.თბილისი, მარჯანიშვილის ქუჩა №21, მე-4 სართული).**


## SMS-განცხადებები - 3090

### იყიდება

- ძალიან იაფად! მუხრან-თელეთში, შავნაბადას წმ. გიორგის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორიაზე, 275 კვ.მ. 2-სართულიანი სახლი, მონტერეის გადახურვით, მეტალო-პლასტმასის კარ-ფანჯრებით, რკინის კარებით და ჟალუზებით, მუდმივი წყლით, ბუნებრივი აირით, 600 კვ.მ. მიწის ნაკვეთით, თბილისიდან 18 კმ-ში. საწყისი ფასი 35.000 დოლარი. მიმდინარეობს საველი წერტილების მონტაჟი. ტელ.: 592-49-85-55; 595-47-85-55. გია.
- სახარატო, ჩარხმჭრელი ჩარხი, მოდელი 1v62g, ასტრახანის ჩარხმშენებელი ქარხნის გამოშვება. ფასი შეთანხმებით. ტელ: 557-310-420, 568-92-34-33 (ჩოხატაური).

## უფასო[ფლტ,ტ,ბ

- იყიდება ან გირავდება საკუთარი სახლი, ფართით 106 კვ.სმ. გამოდგება საოფისედ, საცხოვრებლად, საწარმოდ მის: ნუცუბიძის ფერდობი 1 მ/რ,სახლი №5. ფასი შეთანხმებით. ტელ. 599-41-52-29; 568-65-10-48; 232-52-29; 231-48-72 ვაჟა.
- წონაში დაკლება 5-15 კგ, გასუქება 2-5 კგ. აგრეთვე ვმკურნალობ კუჭ-ნაწლავის პრობლემებს, გასტრიტს, კოლიტს, შეკრულობას, კუჭის წყლულს, უნებლიე შარდვას, პროსტატიტს, იმპოტენციას უკუჩვენების გარეშე, ამერიკული მცენარეული პროდუქციით, 100%-იანი გარანტიით. ტელ: 274-81-41, 571-33-01-61.
- ბუნებრივი საშუალებებით უმკურნალეთ ბავშვებში ქრონიკულ სურდოს, ანგინას, შეკრულობას, დისბაქტერიოზს, ჭიებს, შიშებსა და უძილობას პედიატრ-ჰომეოპატთან კლინიკა „მედიგარდში“. მის: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 593-78-44-67.
- კლინიკა „მედიგარდი“ გთავაზობთ ნებისმიერი ტიპისა და სირთულის სისხლძარღვოვანი პათოლოგიის გამოკვლევასა და მკურნალობას. მკურნალობა ეფუძნება შემდეგ მეთოდებს: მეზოთერაპია, ჰირუდოთერაპია (წურბელები), ჰომეოპათია, ოზონოთერაპია და ფიტოთერაპია. მისამართი: ფალიაშვილის 17. ტელ: 225-20-50; 599-57-25-08.
- იყიდება ძროხების ფერმა 16 სული, 12 ნამატით, ძროხებისა და მომვლელის კაპიტალური ბინით, მთელი წელი უზრუნველყოფილი საძოვრით. გლდანის ციხიდან 6 კმ-ში. ტელ: 591-409-131 ვარლამი.
- მხოლოდ მცენარეულ, ბუნებრივ მასლებზე დამზადებული თოდუების საგვარეულო წამლებით ვკურნავ კანის უამრავ დაავადებას: გამონაყარს (ჩირქოვანსაც), ნაოჭებს, ლაქებს, სებორეას, ეგზემას, სოკოს, მათ შორის ფრჩხილის სოკოს, დახეთქილ ქუსლებს, მაზოლებს, მეჭეჭებს, ქერტლს, ჰაიმორიტი იკურნება 10 დღეში, ვაჩერებ თმის ცვენას. ვკურნავ მასტიტს. თოდუების საგვარეულო წამლით გაგეწმინდებათ ორგანიზმი, ალაგდება ყველა ანთებითი პროცესი. შეგიძლიათ მომმართოთ გინეკოლოგიური პრობლემების მქონე ქალბატონებმაც. მის.: ოთარ ჭილაძის ქ.№166, №10 კორპუსის წინ და №1 კორპუსის უკან. 230 62 52; 599 16 10 82 ლამარა თოდუა.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.
- ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.
- მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, უნებლიე შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ტკივილი შარდვისას. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ღვიძლის ფუნქციის აღდგენა. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. 100%-იანი შედეგით. ტელ: 558-96-89-15; 234-02-38 ექიმი, ქ-ნი მეგი.
- კუჭ-ნაწლავის პრობლემების: გასტრიტი (მწვ. და ქრო.), კოლიტი, ენტერიტი, ყაბზობა, დისბაქტერიოზი. მკურნალობა მცენარეული პრეპარატებით. ორგანიზმის გაწმენდა, იმუნიტეტის გაძლიერება. 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-96-44-94; 234-02-38 ექიმი ქ-ნი სალომე.



**ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები**

2010 წელს ხობის ხარების დედათა მონასტრის უძველეს ტაძარში არქეოლოგიური გათხრებისას აღმოჩნდა წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახე საძვალე.

(საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის 11 ნოემბრის 611/15 დადგენილებით, ხობის მონასტრის რესტავრაცია—განახლებისათვის შემოწირულობის შეგროვების მიზნით გამოყოფილი სატელეფონო ნომრები: მაგთი, ჯეოსელი და ბილაინი 700 607, სილქნეტი 608 608, ახალი ქსელები და ახტელი 700 608, შეიცვალა ახალი ნომრით 0-901-900-900.

ყველა მობილური ოპერატორიდან და ქალაქის ფიქსირებული ქსელებიდან ფასიანი ზარის განხორციელება შესაძლებელია შემდეგი თანმიმდევრობით: 0-901-900-900.




იცხოვრეთ მომავალისთვის.
უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.

**ცფ,ფყრჯჰტრდბპბნტ,ბ5**

ajsbcf lf [j,bc tgfhmbf7 c+y @!% )() $@%
[j,b7 cja8yj]b[tdb
qdsbcvij,kbc [fht,bc ltlfsf vjyfcnthb8
c8c8 3kb,thsb ,fyrbc4 [j,bc abkbfkb
,+r5 @@) !)! $^%
fyu8 N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



sfy[bc xfcfhbw[fl itub'kbfs ufvjb.tyjs cohf-ab uflf[lbc fgfhfnt,b5 b[bkts vtybeib 2 c[dflfc[df 2 cfmdtkvjmvtlj 2 [j,bc vjyfcnthb8 ~pfhbc qbht,ekt,ff ! kfhb`8

[J,BC QDSBCVIJ,KBC [FHT,BC LTLFSF VJYFCNHBC OBYFV'QDFHB BQEVTYBF FYF ~VECTKBFYB`

# საქართველოს ირბ-ს მენეჯერი და ედუკატორი სტუმრობდნენ

საქართველოს სამდღიანი სამუშაო ვიზიტით ესტუმრნენ ევროპაში ირბ-ს განვითარების მენეჯერი დუგლას ლენგლი და ირბ-ის ლიცენზირებული ფიზმომზადების ედუკატორი (მწვრთნელთა მწვრთნელი) გორდონ ბრიცი, რომელიც პარალელურად ირლანდიურ „მანსტერში“ ფიზმომზადების მწვრთნელად მუშაობს.

დუგლას ლენგლი საქართველოს სხვადასხვა მიზნით სტუმრობს და ირბ-ის განვითარების გრანტით გათვალისწინებული პროექტების შესრულების მიმდინარეობას ამოწმებს, ასევე ხელმძღვანელობს ედუკატორების მომზადების პროცესს. ამჯერად მისი ვიზიტის მიზანს სწორედ ეს ორი საკითხი წარმოადგენდა.

დუგლას ლენგლიმ საქართველოს რაგბის კავშირის შესაბამის სამსახურებთან ერთად განიხილა ირბ-ის განვითარების გრანტით გათვალისწინებული პროექტების მიმდინარეობა, ამასთან, მონაწილეობა მიიღო სრკ-სა და ირბ-ს მიერ ერთობლივად ორგანიზებულ სემინარში. სემინარს ირბ-ის ლიცენზირებული ფიზ მომზადების ედუკატორი, გორდონ ბრიცი უძღვებოდა და მიზნად საქართველოში მომუშავე ედუკატორებისთვის დამატებითი ფიზმომზადების კურსის გავლას ისახავდა.

უმაღლესი ლიგის გუნდების მწვრთნელებს ჩაუტარდათ ირბ-ის პირველი დონის ფიზმომზადების კურსი, რის შემდეგაც მწვრთნელებმა გაიარეს ტესტირება და მიიღეს შესაბამისი სერთიფიკატები.

დუგლას ლენგლიმ დადებითად შეაფასა როგორც განვითარების გრანტით გათვალისწინებული პროექტების შესრულების დონე, ასევე სემინარის ორგანიზაცია და ქართველ ედუკატორთა მომზადების დონე.

დუგლას ლენგლი, ირბ-ს განვითარების მენეჯერი ევროპაში:

– პირველ რიგში, მინდა გითხრათ, რომ ეს ჩემი მეოთხე ვიზიტია საქართველოში და ყოველ ჩამოსვლაზე აშკარად იგრძნობა წინსვლა და პროგრესი. მე ვამოწმებ ირბ-ის განვითარების გრანტით გათვალისწინებული პროექტების შესრულების მიმდინარეობას და ასევე ჩემი ამჟამინდელი ვიზიტი მიზნად ისახავს ფიზმომზადების ედუკატორთათვის პრაქტიკული და თეორიული ტრეინინგების ჩატარებას. გასულ წლებთან შედარებით, პროგრესი აშკარად არის. იმატა მოთამაშეების, მწვრთნელებისა და მსაჯების რაოდენობამ. მრჩება შთაბეჭდილება, რომ საქართველოს რაგბის კავშირს საქმეები კარგად აქვს გადანაწილებული სხვადასხვა რგოლზე, რაც დადებით შედეგს იძლევა. ყველა ის ინფორმაცია, რაც მინდოდა, რაგბის კავშირის განვითარების ჯგუფისაგან მივიღე. ასევე კავშირის სხვადასხვა წარმომადგენლებთან ერთად განვიხილეთ განვითარების ჯგუფის მუშაობა და კმაყოფილი დავრჩი. თანხები მიზანმიმართულად იხარჯება, რაც, როგორც გითხარით, ჩანს კიდევაც მოთამაშეების, მწვრთნელებისა და მსაჯების რაოდენობის ზრდით. ქართველი ედუკატორები არა მარტო თბილისში, არამედ რეგიონებშიც ატარებენ სემინარებს. თუმცა დასახვეწი კვლავ ბევრი რამ არის, მაგალითად, ქალთა რაგბი და აუცილებელია მწვრთნელებისა და მსაჯების რიცხვის კიდევ უფრო გაზრდა, უფრო მაღალ დონეზე უნდა ავიდნენ, მწვრთნელები და მსაჯები უნდა ქმნიდნენ მოთამაშეთა განვითარების სისტემას. რაც შეეხება ფიზმომზადების ედუკატორთათვის პრაქტიკულ და თეორიულ ტრეინინგებს, აღნიშნული სემინარი მიზნად ისახავს, ქართველი ფიტნესს-მწვრთნელები კონკურენტუნარიანები გახადოს და აიღონ შესაბამისი სერთიფიკატები. ჩავატარეთ პრაქტიკული და თეორიული სემინარები, რითიც მე და გორდონ ბრიცი კმაყოფილი ვართ. მომავალ წელს კიდევ ჩამოვალ, თუმცა ზუსტი თარიღი ჯერ არ ვიცი.

ზურა ამონაშვილი, საქართველოს 18-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი, ირბ-ის მწვრთნელთა და ფიზმომზადების პირველი დონის ედუკატორი:

– სამუშაო პროცესი საკმაოდ დატვირთული იყო. გვეძლეოდა საშინაო დავალება და მომდევნო დღეს ხდებოდა შედეგების განხილვა. გარდა თეორიული სწავლებისა, იყო პრაქტიკული ვარჯიშები მოედანსა და დარბაზში. სემინარის დასრულების შემდეგ ჩავაბარე გამოცდები და ავიღე სერთიფიკატი, რაც კიდევ უფრო დამეხმარება მუშაობაში. საშუალება მომეცა, კიდევ უფრო კარგად გავცნობოდი და შემესწავლა მოთამაშეების ფიზიკური მომზადებისა და განვითარების სქემა.

ირაკლი ჭყონია, საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრების ფიზმომზადების მწვრთნელი:

– სემინარის შემდეგ ავიღე სერთიფიკატი და გავხდი ირბ-ის პირველი დონის ფიზმომზადების ედუკატორი. ახლა შემიძლია, მსგავსი სემინარები ჩავატარო და წარმატებულ მწვრთნელებს გადავცე სერთიფიკატები. პრაქტიკული ვარჯიშების საშუალებით კიდევ უფრო ღრმად გავეცანი და ავითვისე მორაგბეთა ფიზმომზადების საკითხები.

# ზლატან იბრაჰიმოვიჩის ფილოსოფია – გოლებს ტიტულები მირჩევნია“

ზაფხულის ყველაზე ხმაურიან ტრანსფერად ზლატან იბრაჰიმოვიჩის „მილანიდან“ „პარი სენ-ჟერმენში“ გადასვლა უნდა ჩავთვალოთ. თუ პარიზული კლუბის სპორტულ დირექტორ ლეონარდოს სიტყვებს დავუჯერებთ, კლუბის უმთავრესი მიზანი წელს საფრანგეთის ჩემპიონატის მოგებაა და სწორედ ამით იყო განპირობებული „იბრას“ გადაბირება. უმთავრესი ამოცანა კი 2015 წელს ჩემპიონთა ლიგის მოგებაა.

შეგახსენებთ, რომ 2007-08 წლების სეზონში პსჟ-ს რთული პერიოდი ჰქონდა და ელიტიდან დაქვეითებას ძლივს გადაურჩა. ამის მიუხედავად, ყატარელი ინვესტორები არ შეშინდნენ და 2011 წლის მაისში კლუბი იყიდეს.



30 წლის იბრაჰიმოვიჩთან ინტერვიუ უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნდა, სადაც პარიზელებს დიდ გამარჯვებებს ჰპირდება.

***– გვითხარით, რატომ აირჩიეთ „პარი სენ-ჟერმენი“?***

– მჯერა, რომ მათი ოცნება რეალობად იქცევა და მინდა, ამ პროექტის ნაწილი ვიყო. პსჟ-მ შესანიშნავი ფეხბურთელები შეკრიბა და დიდებული გუნდის შექმნას აპირებს. ეს ნიშნავს, რომ საფრანგეთის ჩემპიონატი სულ უფრო საინტერესო, სანახაობრივი და ძლიერი გახდება. ვინ არ მოისურვებდა ასეთ პროექტში მონაწილეობას? რაც შეეხება „მილანს“, მასზე მხოლოდ კარგის თქმა შემიძლია, თუმცა, ჩემს მომავალს პარიზში ვხედავ. მჯერა ახალი პროექტის და იმიტომ ვარ ამ ქალაქში.

***– პსჟ-ს ახლანდელ მწვრთნელ კარლო ანჩელოტის ჯერ კიდევ 2006 წელს, „მილანის“ თავკაცობისას სურდა თქვენი გადაბირება.***

– ეტყობა, ეს ბედია. 2006-ში ძალიან ახლოს ვიყავით კონტრაქტის გაფორმებასთან. 2010-შიც შეიძლებოდა, ერთ გუნდში აღმოვჩენილიყავით. მაშინდელი მოლაპარაკებები მხოლოდ საწყის ეტაპზე იყო, მაგრამ თეორიულად ყველაფერი შესაძლებელი გახლდათ. ახლა ერთად ვმუშაობთ და, ვინ ითამაშა აქ მთავარი როლი, ალბათ, ძნელი მისახვედრი არ არის. მან დამარწმუნა – მითხრა, რომ პარიზში გადმოსვლა ჩემთვის ფანტასტიკური შანსი იყო. რასაც მეუბნებოდა, ახლა ყველაფერი სინამდვილეში ხდება.

***– პარიზი მთელ მსოფლიოში თავისი ისტორიით, ძეგლებითა და ბოჰემური ცხოვრებითაა ცნობილი, ოღონდ არა ფეხბურთით. არის სიტუაციის შეცვლის შანსი?***

– ყოველ დიდ ქალაქს აუცილებლად ძლიერი საფეხბურთო გუნდი სჭირდება. ქალაქი არსებობს. ახლა მის სტატუსს გუნდიც წამოეწევა. ჩვენი საქმეა მინდორზე გასვლა და გამარჯვება. პარიზში ცხოვრება ყველა ჩვენი გუნდელისთვის ღირსების საქმეა.

***– ერთ-ერთი მთავარი ტურნირი, რომელიც თქვენ არ მოგიგიათ, უეფას ჩემპიონთა ლიგაა. პსჟ-ში თქვენი გადასვლა ამ ოცნებასაც უკავშირდება?***

– რა თქმა უნდა. ჩემპიონთა ლიგის მოგების რომ არ მჯეროდეს, პარიზში არ გადმოვიდოდი. მართალია, ამ ტურნირში არასოდეს გამიმარჯვია, მაგრამ, არა უშავს, ბევრი ექსტრაკლასის ფეხბურთელის მხარდამხარ მითამაშია და უამრავი პრიზი მომიგია. ახლაც მშვენიერი ფეხბურთელების გარემოცვაში ვარ.

***– რას ეტყოდით პსჟ-ს გულშემატკივრებს, რომლებმაც სეზონური აბონემენტები უკვე დაიტაცეს და კლუბისგან ბევრს ელიან?***

– გუნდის სჯეროდეთ. ძალიან საინტერესო იქნება ახალი პსჟ-ს ცქერა. მის შემადგენლობაში ხომ ფანტასტიკური ფეხბურთელები თამაშობენ. ჩვენ ვალდებულნი ვართ, გულშემატკივარი გავახაროთ. ისინი უკვე დიდი ხანია სტადიონზე დადიან და გამარჯვებებს ელიან. ახლა მოგებების დრო დგება.

***– შარშანდელი სეზონი თქვენთვის ყველაზე შედეგიანი გამოდგა. იტალიის სერია ა-ში 28 გოლი გაიტანეთ. შეიძლება ვთქვათ, რომ კარიერის პიკზე ხართ?***

– როგორც ფეხბურთელი, ყოველ წელს ვძლიერდები. სერია ა-ს ბომბარდირი გავხდი და ერთ სეზონში გატანილი გოლების რაოდენობით „მილანის“ რეკორდი დავამყარე. თუმცა, ამის მიუხედავად, ტიტული ვერ მოვიგე. საკითხავია, ბედნიერი ვარ? მირჩევნია, საშუალო თამაშით პრიზები მოვიპოვო, ვიდრე ვარსკვლავები ვწყვიტო და უტიტულოდ დავრჩე. ასეთია ჩემი ფილოსოფია.

# მარკა – 20 სექტემბერი საინტერესო თარიღი იქნება

მიმდინარე ესპანეთის ლა ლიგა ძალიან ცუდად დაიწყო მადრიდის „რეალმა“. ასეთი სტარტი კი ყველაზე უარესია ჟოზე მოურინიოს კარიერაში – 4 ტურის შემდეგ მის გუნდს მხოლოდ 4 ქულა აქვს. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ „რეალს“ ცუდი სტარტი შარშანაც ჰქონდა და 4 ტურში 5 ქულა დაკარგა, მაგრამ ჩემპიონობა მაინც მოიპოვა, მოურინიოს საგანგაშო არაფერი უნდა ჰქონდეს. მაგრამ საქმე ასე არ არის.

„სევილიასთან“ მარცხის შემდეგ მოურინიომ განაცხადა, გუნდი არ მყავსო, რასაც უმალვე მოჰყვა „რეალის“ ყოფილ პრეზიდენტ რამონ კალდერონის განცხადება.

– მოურინიოს ასეთი კომენტარები გუნდს ვერაფერში ეხმარება. ფეხბურთელებს, თავის მხრივ, თავისუფლად შეუძლიათ თქვან, ჩვენ ახლა მწვრთნელი არ გვყავსო. ვფიქრობ, ბიჭები არ იქნებიან კმაყოფილნი მოურინიოს ამ გამონათქვამის გამო, – განაცხადა კალდერონმა.

როგორც ჩანს, კალდერონის სიტყვები სიმართლესთან ახლოს არის და მადრიდულ კლუბში არცთუ სახარბიელო ვითარებაა. ესპანურ მედიასაშუალებებში ყოველდღე ახალ-ახალი ცნობები ჩნდება კლუბში არსებული კონფლიქტების შესახებ.

როგორც ირკვევა, მოურინიოს თავის ფეხბურთელებთან ურთიერთობა მნიშვნელოვნად გაუუარესდა. საქმე ისაა, რომ პორტუგალიელი ფეხბურთელებს მსაჯთან ურთიერთობისას თავისი აზრის მხარდაჭერას სთხოვს, რაც მოთამაშეებს არ სიამოვნებთ.

ასევე ირკვევა, რომ არც თავად ფეხბურთელებს აქვთ ერთმანეთში შესაშური ურთიერთობა – გუნდი ორ ბანაკადაა დაყოფილი და ერთმანეთს არც კი ესაუბრებიან.

ესპანურმა მედიამ მოურინიოს სასექტემბრო სტატისტიკა რიცხვებით გამოთვალა და კარგი წინასწარმეტყველებით არ შემოიფარგლა.

„ჩელსის“ მთავარი მწვრთნელის პოსტზე ყოფნისას 15 სექტემბერს მისმა გუნდმა ვერაფერი მოუხერხა „ბლექბერნს“, 18-ში კი ჩემპიონთა ლიგაზე შინ ფრე ეთამაშა „რუსენბორგს“. აქედან ორ დღეში მან აბრამოვიჩის გუნდი დატოვა.

წლეულსაც იგივე დღეებია – 15-ში მარცხი „სევილიასთან“, ხოლო გუშინ, 18-ში გვიან ღამით, დასრულდებოდა ჩემპიონთა ლიგის მატჩი „მანჩესტერ სიტისთან“. თუ „რეალი“ ამ შეხვედრას მოიგებდა, კრიზისი გადაივლიდა, თუ არა, მაშინ საინტერესოდ 20 სექტემბერი თარიღდება – ესპანური „მარკა“ პორტუგალიელის შესაძლო წასვლაზე პროგნოზირებს.

# ექვსი მედალი ბრაზილიიდან

ბრაზილიის ქალაქ სან ვისენტეში გამართულ მკლავჭიდელთა მსოფლიო ჩემპიონატზე დიდ წარმატებას მიაღწია საქართველოს ეროვნულმა ნაკრებმა.

ქართველმა მკლავჭიდელებმა 2 ოქროს, 2 ვერცხლისა და 2 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს.

მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულს ყველაზე პრესტიჟულ, 110 კგ წონით კატეგორიაში გენადი კვიკვინია დაეუფლა, რომელმაც 2 ოქროს მედალი აიღო მემარჯვენეებსა და მემარცხენეებს შორის.

დიდებს შორის ვერცხლის მედალი 75 კგ წონით კატეგორიაში ნიკოლოზ მათიაშვილმა (მარჯვენა მკლავი) მოიპოვა. ამავე წონით კატეგორიაში ბრინჯაო აიღო ჯაბა გეთიაშვილმა (მარცხენა მკლავი).

ახალგაზრდებს შორის საქართველოს 2 მედალი მოუტანა გურამ აბულაშვილმა. 65 კგ წონით კატეგორიაში აბულაშვილმა მემარცხენეებს შორის ვერცხლის მედალი აიღო, მემარჯვენეებს შორის კი – ბრინჯაო.

# გიორგი შერმადინი: ვიცი, ჩემგან რას ელიან“

რამდენიმე დღის წინ საქართველოს ნაკრების ცენტრი გიორგი შერმადინი ისრაელში ჩავიდა, სადაც ახალ გუნდში, თელ ავივის „მაქაბიში“ ითამაშებს. თელ ავივის აეროპორტში მას ყვითელ ფორმებში გამოწყობილი გულშემატკივრები დახვდნენ.

ქართველმა ცენტრმა მათ საკუთარი შთაბეჭდილებებიც გაუზიარა და ავტოგრაფებიც ჩამოარიგა.

„მაქაბის“ ვებგვერდზე კი გიორგისა და მენსა-ბონსუს თელ ავივში ჩასვლას ცალკე სტატია მიეძღვნა, რომელშიც შერმადინის სიტყვებიც არის გამოქვეყნებული.

– მოხარული ვარ, რომ „მაქაბის“ დონის გუნდში თამაშის საშუალება მეძლევა. ისრაელში იმედიანად ჩამოვედი და მოუთმენლად ველი შანსს, გუნდს სათანადოდ დავეხმარო. „მაქაბის“ წინააღმდეგ ბოლო ორ სეზონში ოთხჯერ ვითამაშე და გუნდის სათამაშო სტილს კარგად ვიცნობ. ისიც ვიცი, რასაც ელიან ჩემგან. ვფიქრობ, საინტერესო სეზონი გველის, – განაცხადა შერმადინმა.

გიორგიმ იქვე დასძინა, რომ საქართველოს ნაკრებთან ერთად დამღლელი ზაფხული ჰქონდა, თუმცა, ორი-სამი დღის დასვენების შემდეგ „მაქაბიში“ სათამაშოდ მზად იქნება.

# შედეგები

## ფეხბურთი

### ინგლისი. პრემიერლიგა

ევერტონი-ნიუკასლი ..................... 2:2

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ჩელსი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:2 | 10 |
| 2.მანჩესტერი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 9 |
| 3.არსენალი | 4 | 2 | 2 | 0 | 8:1 | 8 |
| 4.სიტი | 4 | 2 | 2 | 0 | 9:6 | 8 |
| 5.სუონსი | 4 | 2 | 1 | 1 | 10:4 | 7 |
| 6.ვესტ ბრომივიჩი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:4 | 7 |
| 7.ევერტონი | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 8.ვესტ ჰემი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| 9.ფულემი | 4 | 2 | 0 | 2 | 10:6 | 6 |
| 10.ტოტენჰემი | 4 | 1 | 2 | 1 | 6:5 | 5 |
| 11.ნიუკასლი | 4 | 1 | 2 | 1 | 5:6 | 5 |
| 12.სტოკი | 4 | 0 | 4 | 0 | 4:4 | 4 |
| 13.ასტონ ვილა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:5 | 4 |
| 14.უიგანი | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | 4 |
| 15.სანდერლენდი | 3 | 0 | 3 | 0 | 3:3 | 3 |
| 16.ნორვიჩი | 4 | 0 | 3 | 1 | 2:7 | 3 |
| 17.ლივერპული | 4 | 0 | 2 | 2 | 3:8 | 2 |
| 18.ქპრ | 4 | 0 | 2 | 2 | 2:9 | 2 |
| 19.რედინგი | 3 | 0 | 1 | 2 | 4:8 | 1 |
| 20.საუთჰემპტონი | 4 | 0 | 0 | 4 | 5:14 | 0 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

### ესპანეთი. პრიმერა დივიზიონი

ვალიადოლიდი-ბეტისი ................ 0:1

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ბარსელონა | 4 | 4 | 0 | 0 | 12:3 | 12 |
| 2.მალაგა | 4 | 3 | 1 | 0 | 6:2 | 10 |
| 3.მალიორკა | 4 | 2 | 2 | 0 | 5:3 | 8 |
| 4.სევილია | 4 | 2 | 2 | 0 | 4:2 | 8 |
| 5.ატლეტიკო | 3 | 2 | 1 | 0 | 9:4 | 7 |
| 6.რაიო | 4 | 2 | 1 | 1 | 6:5 | 7 |
| 7.დეპორტივო | 4 | 1 | 3 | 0 | 7:5 | 6 |
| 8.ბეტისი | 3 | 2 | 0 | 1 | 7:5 | 6 |
| 9.ვალიადოლიდი | 4 | 2 | 0 | 2 | 3:3 | 6 |
| 10.სოსიედადი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:7 | 6 |
| 11.ვალენსია | 4 | 1 | 2 | 1 | 6:6 | 5 |
| 12.რეალი | 4 | 1 | 1 | 2 | 5:4 | 4 |
| 13.ხეტაფე | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| 14.ლევანტე | 4 | 1 | 1 | 2 | 5:8 | 4 |
| 15.ბილბაო | 4 | 1 | 1 | 2 | 8:12 | 4 |
| 16.სელტა | 4 | 1 | 0 | 3 | 4:5 | 3 |
| 17.სარაგოსა | 4 | 1 | 0 | 3 | 2:5 | 3 |
| 18.გრანადა | 4 | 0 | 2 | 2 | 2:6 | 2 |
| 19.ესპანიოლი | 4 | 0 | 1 | 3 | 7:10 | 1 |
| 20.ოსასუნა | 4 | 0 | 1 | 3 | 2:7 | 1 |

### იტალია. სერია ბ

ვარეზე-ბარი ................................ 2:2

### გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა

კიოლნი-ზ.პაული ........................ 0:0

### საფრანგეთი. მე-2 ლიგა

ანჟე-ლე ავრი ............................ 3:1

ნიმი-გაზელეკი ........................... 0:1

ნანტი-გენგამი ............................ 1:1

### ჰოლანდია. მე-2 დივიზიონი

ტელსტარი-ემენი ........................ 0:0

### რუსეთი. პრემიერლიგა

ამკარი-ვოლგა ............................ 3:2

ვოლგას მეორე გოლი გია გრაგილავამ გაიტანა

მორდოვია-კრ.სოვეტოვი ........... 2:3

სატურნირო ცხრილი:

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ტერეკი | 8 | 6 | 1 | 1 | 12:9 | 19 |
| 2.ცსკა | 8 | 6 | 0 | 2 | 13:6 | 18 |
| 3.ანჟი | 8 | 5 | 2 | 1 | 17:10 | 17 |
| 4.ზენიტი | 8 | 5 | 1 | 2 | 17:6 | 16 |
| 5.ლოკომოტივი | 8 | 5 | 1 | 2 | 15:11 | 16 |
| 6.ყუბანი | 8 | 4 | 1 | 3 | 16:12 | 13 |
| 7.სპარტაკი | 8 | 4 | 1 | 3 | 14:14 | 13 |
| 8.რუბინი | 8 | 4 | 0 | 4 | 12:10 | 12 |
| 9.ამკარი | 8 | 3 | 3 | 2 | 11:9 | 12 |
| 10.კრ.სოვეტოვი | 8 | 3 | 1 | 4 | 9:14 | 10 |
| 11.როსტოვი | 8 | 2 | 3 | 3 | 8:10 | 9 |
| 12.ალანია | 8 | 2 | 2 | 4 | 13:14 | 8 |
| 13.კრასნოდარი | 8 | 2 | 2 | 4 | 10:13 | 8 |
| 14.მორდოვია | 8 | 1 | 1 | 6 | 9:17 | 4 |
| 15.ვოლგა | 8 | 1 | 1 | 6 | 8:18 | 4 |
| 16.დინამო | 8 | 1 | 0 | 7 | 5:16 | 3 |

### საბერძნეთი. სუპერლიგა

პანიონიოსი-ოფი ....................... 2:1

### თურქეთი. სუპერლიგა

ბეშიქთაში-ელაზიგი .................... 3:0

ორდუ-ქაისერი ........................... 3:2

### ჩეხეთი. გამბრინუსლიგა

იიჰლავა-ბანიკი .......................... 3:2

### პოლონეთი. ექსტრაკლასა

ბელხატუვი-ლეხი ....................... 0:1

### დანია. სუპერლიგა

ორხუსი-მიდტიულანდი ............. 3:2

ორხუსის მე-3 გოლი დავით დევდარიანმა გაიტანა

### შვედეთი. ალსვენსკა

გეფლე-ჰეკენი ............................ 0:2

კალმარი-იორებრო ...................... 1:2

ატვიდაბერგი-მალმიო ................. 0:1

### ნორვეგია. ტიპელიგა

ტრომსო-ლილესტრიომი .............. 5:1

### ფინეთი. ვეიკაუსლიგა

ინტერი-ტპს ................................. 3:3

ინტერიდან 2 ბურთი ირაკლი სირბილაძემ გაიტანა

მიუპა-ჰიკი ................................. 1:4

იარო-კუუპიო ............................. 1:1

### არგენტინა. პრიმერა დივიზიონი

უნიონი-რაფაელა ........................ 0:0

ქილმესი-ლანუსი ........................ 0:0

## ჩოგბურთი

### ვტა. გუანჯოუ. ჰარდი

კორნე-პანოვა ......................... 6:3;6:1

რადვანსკა!ა.-ცინკი ................ 7:6;6:2

სე-ბრატჩიკოვა ...................... 7:5;6:3

კირსტეა-ჰუ ............................ 6:2;7:5

### ვტა. სეული. ჰარდი

ლეპჩენკო-ჯორჯი ................... 6:2;7:6

ვოზნიაცკი-რუსი ..................... 6:1;6:2

კანდანტუ-გარსია .................... 2:6;3:6

რიბარიკოვა-დატე კრუმი ...... 6:4;6:3

# გოგი დოლიძის ალბომის ჩაწერა დასრულდა

ეკა ირემაშვილი



გოგი დოლიძე

ყველასთვის კარგად ცნობილი და არაერთი სიმღერის უბადლო შემსრულებლის გოგი დოლიძის ალბომის ჩაწერა დასრულებულია. კომპანია „ბრავო რექორდსმა" უნიკალური და ექსპერიმენტული პროექტი ჩაწერილად გამოაცხადა და 20 სექტემბერს საზოგადოებას წარუდგენს გოგი დოლიძის ალბომს „იყო არა იყო რა". პროექტის პარტნიორობა თბილისის მერიამ ითავა, ხოლო გენერალური სპონსორობა – ღვინომ „ძველი თბილისი".

– გასული საუკუნის 90-იანი წლების შუაში, გარდაცვალებამდე ცოტა ხნით ადრე, გრამფირფიტების ჩამწერ ფირმა „მელოდიაში" გოგი დოლიძე წერდა სიმღერებს თავისი ახალი ალბომისათვის. „ბრავო რექორდსმა" გოგის ვაჟ ლევან დოლიძისა და ამ პროექტის ავტორ ქეთი ლოლაძის თანადგომით შეძლო მოეპოვებინა ეს უნიკალური ცალკე ტრეკზე ჩაწერილი სიმღერები – გოგი დოლიძის ვოკალი მუსიკის გარეშე. პროექტის ხელმძღვანელად შეირჩა უნიჭიერესი მუსიკოსი და დირიჟორი ზვიად ბოლქვაძე, რომელმაც შემოგვთავაზა გოგის სიმღერების არანჟირების სრულიად ახალი, თანამედროვე ვერსიები მრავალფეროვანი ინსტრუმენტული აკომპანიმენტით. რამდენიმე თვის განმავლობაში „ბრავო რექორდსის" გუნდი ზვიად ბოლქვაძესთან ერთად თავდაუზოგავად მუშაობდა გოგის ამ უნიკალურ პროექტზე. ალბომში შესულია 11 ყველასათვის საყვარელი ჰიტის სრულიად ახალი ვერსია. გოგის ხმა აბსოლუტურად ჰარმონიულად ჟღერს ზვიად ბოლქვაძის მიერ შექმნილ სავსე სიმფონიურ მუსიკალურ ფორმებთან ერთად. ეს ალბომი ორი ბრწყინვალე მუსიკოსის განუმეორებელ სულიერ და მუსიკალურ დიალოგს წარმოადგენს. ალბომის მოსმენისას მსმენელს რჩება შთაბეჭდილება, რომ სიმღერები გოგის სიცოცხლეშია ჩაწერილი და რომ სტუდიური ჩაწერები დღეს შედგა, – აცხადებს კომპანია „ბრავო რექორდსის" წარმომადგენელი დალი ფრიდონაშვილი.

გიორგი დოლიძის შემოქმედებას დღესაც ბევრი თაყვანისმცემელი და გულშემატკივარი ჰყავს. მომღერალმა ბოკა კვეკვესკირმა ჩაწერა კომპოზიტორ ეკა თევზაძის სიმღერა „შევცდი", რომლის ჩაწერაც თავად გოგი დოლიძემ ვერ მოასწრო. მან ამ სიმღერის შესრულება მხოლოდ ერთხელ შეძლო. მიუხედავად იმისა, რომ გოგი დოლიძეს უცხო ენების ინსტიტუტი ჰქონდა დამთავრებული, ეს სულაც არ უშლიდა ხელს, განსაკუთრებულად ტკბილად და გულშიჩამწვდომად ემღერა. მომღერალი სიცოცხლის ბოლომდე საქართველოს ტელევიზიის ხალხური შემოქმედების რედაქციაში მოღვაწეობდა.

– გოგი დოლიძის პოპულარობამ პიკს გასული საუკუნის 80-90-იან წლებში მიაღწია, როცა საუცხოო ხმის პატრონმა, სოლისტმა და პარტნიორმა დიდი წარმატება მოიპოვა. გოგი დოლიძე დიდი დიაპაზონით, შესრულების გამორჩეული მანერითა და მდიდარი რეპერტუარით არაერთი ცნობილი ქართველი კომპოზიტორის მუზა გახდა. ის ერთნაირი მომხიბვლელობით ასრულებდა როგორც ხალხურ, ისე ქალაქურ და საესტრადო სიმღერებს. მღეროდა ფოლკლორულ ანსამბლ „ფაზისში", ცნობილ ანსამბლ „ქართულ ხმებში". ამ ანსამბლთან ერთად გასტროლებით შემოიარა მრავალი ქვეყანა. გოგი დოლიძე ძირითადად მაინც საესტრადო სიმღერების შემსრულებელია. ამ ჟანრით გატაცება ხალხური სიმღერების მისეულ შესრულებაშიც აისახა და განსაკუთრებული ელფერი შესძინა. გარდაცვალებიდან სამი წლის შემდეგ გოგი დოლიძე მეოცე საუკუნის საუკეთესო ქართველ მომღერალ მამაკაცად დაასახელეს. თბილისში, 24-ე სკოლის წინ, რომელშიც ის სწავლობდა, დაიდგა მისი ბიუსტი. ამჯერად კი შესაძლებელი გახდა მისი უნიკალური ჩანაწერების ალბომად გამოცემა, – აცხადებს „ბრავო რექორდსის" წარმომადგენელი.

გოგი დოლიძის ალბომი უკვე გამოცემულია და მისი შეძენა ნებისმიერ მსურველს შეუძლია როგორც თბილისში, ასევე საქართველოს სხვა ქალაქებში.

– ეს ალბომი იქნება ყველა ქართველისთვის საყვარელი მომღერლის გოგი დოლიძის ერთგვარი გაცოცხლება, მისი ყველასათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი სიმღერების თავიდან დაბადება. ალბომში შესული 11 ჰიტი – „ოდესმე დიდი ყოფილა საქართველო", „იყო არა იყო რა", „ხმალი ავლესოთ", „ძველებური თბილისური", „გავა დრო და მოვუყვებით შვილებს", „თბილისი", „გულო", „ქართველების ერთად ყოფნა", „აყვავილდა ნუში", „ომში წასულო ვაჟკაცო" და „ალგეთს ლეკვები მგლისანი", – განმარტავს დალი ფრიდონაშვილი.

# წიგნი მიხეილ კალატოზოვი" გამოცემულია

დასაწყისი მე-8 გვერდზე

სა და მშვიდობის, სიყვარულისა და მეგობრობის, ახალგაზრდობის თემა.

– მიხეილ კალატოზიშვილის შემოქმედება კინოს მოყვარულებისთვის კარგად არის ცნობილი. ის კინორეჟისორი, ოპერატორი და მსახიობი იყო, ასევე გახლდათ კინოწარმოების ორგანიზატორი. მისმა ნამუშევრებმა ნოვატორული ძიებებითა და კინემატოგრაფიული მსოფლმხედველობით გამორჩეული ადგილი დაიკავა მსოფლიოს კინოს ისტორიაში. მისი ფილმები „მიფრინავენ წეროები", „წითელი კარავი", „ჯიმ შვანთე" რეჟისორის ხელწერას განსაკუთრებულად გამოარჩევს. სიმბოლურია, რომ მისი შთამომავლებიც ხელოვნებას ემსახურებიან. მისი შვილი გიორგი კალატოზიშვილი და შვილიშვილი, ასევე მიხეილ კალატოზიშვილი კინორეჟისორები გახდნენ, – განაცხადა კულტურის მინისტრის მოადგილე დავით ცხადაძემ.

ახალი კრებული „მიხეილ კალატოზოვი" დიდი რეჟისორის ცხოვრებასა და შემოქმედებას ეძღვნება. იდეა წიგნის შექმნის თაობაზე დიდი რეჟისორის შთამომავალს, ასევე მიხეილ კალატოზიშვილს ეკუთვნის, რომელმაც თავის სიცოცხლეში წიგნის გამოცემა ვერ მოასწრო. ამ წიგნში დეტალურადაა ასახული მიხეილ კალატოზოვის შემოქმედების გზა, თავმოყრილია ბიოგრაფიული წერილები, კრიტიკოსთა შეფასებები მიხეილ კალატოზოვის ფილმების შესახებ, კულტურის დიდი მოღვაწეების კლოდ ლელუშის, ანდრეი კონჩალოვსკის, თენგიზ ამირეჯიბისა და სხვათა წერილები, ასევე დეტალურადაა განხილული თითოეულ ფილმზე მუშაობის პროცესი.

– ამ წიგნის გამოსვლა, მგონია, რომ საკმაოდ საინტერესო ფაქტია, ვინაიდან მიხეილ კალატოზიშვილზე არც რუსეთში და არც საქართველოში წიგნი არასოდეს დაწერილა, მით უმეტეს – ასეთი მასშტაბური. კრებულზე მუშაობისას ვეცადე, მკითხველისთვის საინტერესო ყოფილიყო მისი კითხვა. მთარგმნელმაც დაადასტურა, რომ მისი ცხოვრება საკმაოდ საინტერესოდ წარიმართა და მის ნიჭიერებაშიც დარწმუნდა. ეს საოცარი ისტორიაა. მასში დეტალურად არის აღწერილი მიხეილ კალატოზიშვილის ცხოვრება, სამუშაო გარემო, მისი გენიალური ფილმების გადაღებების პროცესები და ყველა ის ადამიანი, რომლებიც მის გვერდით მთელი ცხოვრების მანძილზე იმყოფებოდნენ. ასევე ამ წიგნში არის ილუსტრაციები და ისეთი ფოტოები, რომლებიც გააოცებს და სასიამოვნოდ გაკვირვებულს დატოვებს მკითხველს, – აღნიშნა რეჟისორის შთამომავალმა ანა კალატოზიშვილმა.

წიგნი „მიხეილ კალატოზოვი" საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მხარდაჭერითა და ხელშეწყობით გამოიცა. წიგნი ილუსტრირებულია შემოქმედებითი პროცესის ამსახველი ფოტომასალებით და დიდი რეჟისორის შემოქმედებასა და ცხოვრებას სრულად წარმოაჩენს.

## hჳxცeჯჳcბ ,



**შვეულად**: 1. მუსლიმანური სამლოცველო; 2. თმის, ფრჩხილების შესაღები მოწითალო-ყვითელი საღებავი; 3. ფერწერული ტილო „შავი კვადრატის" ავტორი; 4. მუსიკალური გამის პირველი ბგერა; 5. უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 6. სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი უნგრელი მოკრივე; 7. ყვითელი ფერის ლითონი, სპილენძისა და თუთიის შენადნობი; 10. წყლის დიდი სივრცე, ოკეანის ნაწილი; 10. ქალღმერთ ათინას ტაძარი ათენში; 12. კარსტული მღვიმე იმერეთში; 13. ავტომატურად ჩამრთველ-ამომრთველი ელექტრონული ხელსაწყო; 16. ქოთანში მზარდი დეკორატიული, მინიატურული ჩინური ხე; 18. დაჭაობებული ნიადაგის ამოშრობის ერთ-ერთი მეთოდი; 19. ქართული ხალხური ცხენოსნური თამაში ბურთით; 21. საქონლის ნაწლავში ჩატენილი, დაკეპილი და შეკაზმული ხორცი; 24. უნგრული ღვინო.

**თარაზულად**: 1. ქურციკის თურქული სახელწოდება; 3. ისრაელის დაზვერვა; 8. ტერიტორიული ერთეული მონღოლეთში; 9. მერაბ ბერძენიშვილის ქანდაკება თბილისში; 14. დადგენილი წილი, მიღებული ნორმა; 15. რკინიგზის სადგურის ბაქანი; 17. ისტორიული სამთავრო სამცხე-ჯავახეთში; 20. ქართველი კინორეჟისორი; 22. ზუთხისებრთა ოჯახის თევზი; 23. თეატრალური სცენის გასანათებელი პროჟექტორი; 25. იაპონელი მევიოლინე ქალი; 26. ჩოგბურთის პარტიის ნაწილი; 27. იტალიის საინფორმაციო სააგენტო; 26. ღია ცის ქვეშ გამართული სახალხო დღესასწაული.

*შეადგინა თ. კოპალეიშვილმა*

## ობყფ ყჯვტჰიბ უფვჯმeტ.ყტ,ეჯბ hჳxცeჯჳcტ,ბც გფცეჳტ,ბ5

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. ქალაქი; 2. ხიდი; 3. კონსტანტა; 4. კოდაი; 5. ლიგნიტე; 8. აქციზი; 9. პერგამონი; 12. ყალამი; 14. არმაზი; 16. ატაშე.

**თარაზულად:** 1. ქვათახევი; 6. კოხინორი; 7. ლებარდე; 9. პრუსია; 10. რიფი; 11. მიუსერა; 13. წყალი; 15. ლაზიკა; 17. ჰარლემი; 18. ბახალა; 19. აიაზმა; 20. შეგირდი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. პეჟო; 2. აია; 3. კალაჰარი; 4. რა; 5. ჩანტლაძე; 6. ფიდე; 7. მოურავი; 10. ლეკი; 11. ბუდაპეშტი; 12. ჯაბახანა; 13. კედი; 16. ნატვრა; 18. კატრანი; 19. ხმიადი; 21. დათვი; 24. რაცია.

**თარაზულად:** 1. პუბლიკა; 3. კაჰორი; 8. დარიკო; 9. ჟოლო; 14. სკოლა; 15. ქემელი; 17. ბანა; 20. რაპიდი; 22. ძმარი; 23. მოხერი; 25. მზე; 26. ვაცი; 27. ბრონი; 28. ცურტაველი.

# ანტიისლამურ ფილმს კიდევ 13 ადამიანი შეეწირა




**ავღანეთის დედაქალაქ ქაბულში მიკროავტობუსის აფეთქებას 13 ადამიანი ემსხვერპლა, მათ შორის 7 უცხოეთის მოქალაქე.**

**აფეთქებაზე პასუხისმგებლობა უკვე აიღო „ჰეზბ–ე–ისლამის" შეიარაღებულმა დაჯგუფებამ, რომლის განცხადებითაც, აფეთქება წინასწარმეტყველ მუჰამედის შეურაცხმყოფელ ფილმს უკავშირდება.**

როგორც აცხადებენ, ტერაქტი თვითმკვლელმა ქალმა განახორციელა. აფეთქება ქაბულის აეროპორტთან ახლოს მოხდა. ამასთან, ათასამდე ავღანელი მონაწილეობდა საპროტესტო აქციაში, რომელიც ქაბულში ტარდებოდა.

ადგილობრივმა მოსახლემ, მუჰამედ ვალიმ ბი-ბი-სი-ს განუცხადა, რომ დემონსტრანტებმა მის მაღაზიაზე თავდასხმა სცადეს. მაღაზია ავღანეთის დედაქალაქის ცენტრალურ მაგისტრალზე მდებარეობს.

ავღანეთის პოლიციის ინფორმაციით, დემონსტრანტებმა ძალოვანი სტრუქტურების კუთვნილი ორი ავტომობილი დაწვეს. აქციის მონაწილეთა ნაწილი კი, შეიარაღებული იყო.

დაშავებულთა შესახებ ინფორმაცია ამ ეტაპზე უცნობია.

ფილმ „ისლამის უცოდველობის" გამო საპროტესტო აქციების ტალღამ მთელს მსოფლიოს გადაუარა. დემონსტრაციები გაიმართა ლიბიაში, იემენში, ერაყში, ტუნისსა და კიდევ რამდენიმე ქვეყანაში.

ავღანეთის, ასევე პაკისტანის ხელისუფლებამ ამის გამო იუთუბის ვებგვერდი დაბლოკეს და ამით სკანდალური ფილმის გავრცელების ხელმისაწვდომობა შეზღუდეს.

შეგახსენებთ, რომ შაბათ-კვირას თავდასხმა განხორციელდა ავღანეთში ნატოს ბაზაზე „კემპ ბასტიონი", სადაც ბრიტანეთის პრინცი ჰარი მსახურობს. თალიბთა წარმომადგენელმა მოგვიანებით ბი-ბი-სის განუცხადა, რომ ეს იყო პასუხი ანტიმუსლიმურ ფილმზე.

ამ ფონზე, გერმანიაში ფილმ „ისლამის უცოდველობის" ჩვენება აიკრძალება, რომელსაც მსოფლიოში მუსლიმანთა საპროტესტო ტალღის აგორება და ძალადობების მთელი სერია მოჰყვა. განცხადება ფილმის ჩვენების აკრძალვის შესახებ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა გააკეთა, რომ სკანდალური ფილმის ღია ჩვენებას არ დაუშვებს.

გერმანიის ძალოვანი უწყების პირველმა პირმა ეს განცხადება მას შემდეგ გააკეთა, რაც ერთ-ერთმა მემარჯვენე რადიკალური ჯგუფის ლიდერმა განაცხადა, რომ ფილმის ჩვენებას და ქვეყანაში ამერიკელი პასტორის ტერი ჯონსის მოწვევას გეგმავდა. ეს ის პასტორია, რომელმაც მუსლიმთა წმინდა წიგნი, ყურანი დაწვა.

მედიის ინფორმაციით, ფილმის „ისლამის უცოდველობა" გადაღებაში, პასტორი ჯონსი აქტიურად მონაწილეობდა.

გერმანიის შს სამინისტროს გადაწყვეტილებით, ამერიკელ პასტორს ქვეყანაში შესვლა აეკრძალა.

როგორც აღვნიშნეთ, პაკისტანის პრემიერ-მინისტრმა რაჯა პერვეზ აშრაფმა გუშინ ქვეყნის ტერიტორიაზე ვიდეოპორტალი იუთუბი დაბლოკა. აკრძალვის მიზეზი საიტზე განთავსებული სკანდალური ფილმი „ისლამის უცოდველობა" გახდა, რომელმაც ისლამის მიმდევრების მასობრივი პროტესტი გამოიწვია.

პრემიერმა მსგავსი გადაწყვეტილება მას შემდეგ მიიღო, რაც იუთუბის ადმინისტრაციამ საიტიდან ფილმის წაშლაზე უარი თქვა. ოფიციალური პაკისტანის განცხადებით, პოპულარული ვიდეოჰოსტინგი მანამდე იქნება დაბლოკილი, სანამ „ისლამის უცოდველობა" ან სრულად არ წაიშლებოდა, ან მისი ნაწილები მაინც.

ამასთან, ცნობილი გახდა ისიც, რომ რუსეთის გენერალურმა პროკურატურამ სასამართლოს გადასცა სარჩელი, რომლითაც რუსეთის ტერიტორიაზე სკანდალური ფილმის აკრძალვას მოითხოვს.

ამ ფონზე, ამერიკის შეერთებული შტატები მუსლიმანურ ქვეყნებში ანტიამერიკული დემონსტრაციების საპასუხოდ საზღვარგარეთ სამხედრო წარმომადგენლობას გაზრდის.

პენტაგონის ლიდერის ლეონ პანეტას განცხადებით, ამ ეტაპზე აშშ რიგი ქვეყნების ტერიტორიაზე, სადაც ანტიამერიკული გამოსვლების ახალი ტალღების აგორებაა მოსალოდნელი, საკუთარი სამხედროების გაგზავნის საკითხს განიხილავს.

პანეტას განცხადებით, რომელიც ამერიკულ გამოცემასთან ინტერვიუში გააკეთა, სამხედროები შესაძლოა, 17-18 ქვეყანაში გაიგზავნოს, რომლებიც ამ ეტაპზე განსაკუთრებული ყურადღების ქვეშ არიან.

ჯერჯერობით უცნობია, თუ როდის და კონკრეტულად რომელ ქვეყნებში გაემგზავრებიან ამერიკელი სამხედროები. თუმცა ნათელია, რომ ეს არაბული სამყაროს, ახლო აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნები იქნებიან.

შეგახსენებთ, რომ ანტიამერიკული გამოსვლების ტალღა პირველად ლიბიასა და ეგვიპტეში აგორდა. ბენღაზიში, აშშ-ის საელჩოზე მომხდარ თავდასხმას აშშ-ის ელჩი კრისტოფერ სტივენსი ემსხვერპლა.

ამის შემდეგ დემონსტრაციები იემენს, სუდანს, ტუნისს, ლიბანს, ავღანეთსა და ინდოეთს მოედო. საპროტესტო აქციები გაიმართა რიგ ევროპულ ქვეყნებშიც, ავსტრალიაშიც, მაროკოში, პაკისტანში, ყატარში, იორდანიასა და ინდონეზიაში.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# რუსეთის პრეზიდენტმა ჯარისკაცებს თავდაცვისთვის მზადყოფნისკენ მოუწოდა



რუსეთის პრეზიდენტმა, ვლადიმერ პუტინმა, სამხედრო სწავლება „კავკაზ 2012“-ის მონაწილეებს მიმართა და ჯარისკაცებს თავდაცვისთვის მზადყოფნა მოუწოდა.

„რია ნოვოსტის“ ცნობით, რაიევსკის პოლიგონზე პუტინმა განაცხადა, რომ მსოფლიოში შეირაღებული კონფლიქტების მასობრივი გახშირება კიდევ უფრო ზრდის ეფექტური და კვალიფიციური არმიის მნიშვნელობას.

როგორც რუსეთის პრეზიდენტმა განმარტა, შესაბამისად, აუცილებელია, რუსეთს ჰყავდეს კარგად მომზადებული ჯარი, რომელიც ერთნაირად კარგად გაართმევს თავს შეტევით და თავდაცვით ფუნქციებს, უზრუნველყოფს რუსეთის ეროვნულ უსაფრთხოებას.

– თქვენ ბრწყინვალედ ხართ მომზადებულები, თქვენ ყველანი გონიერი ადამიანები ხართ, ხედავთ, რაც ხდება დღეს მსოფლიოში. სამწუხაროდ, სულ უფრო ხშირდება საერთაშორისო ურთიერთობებში ძალის გამოყენების შემთხვევები. ეს ყველაფერი იმაზე მეტყველებს, რომ ჩვენ ჩვენი დენთი მშრალად გვქონდეს, უნდა გავზარდოთ რუსეთის თავდაცვისუნარიანობა, – უთხრა პუტინმა ჯარისკაცებს.

მან თავისი გამოსვლისას პირობა დადო, რომ რუსეთი გააძლიერებს საკუთარ თავდაცვისუნარიანობას, ჯარის თანამედროვე სამხედრო ტექნიკით აღჭურვას და სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური პრობლემების გადაჭრას.

პუტინმა, რომელიც სწავლების მსვლელობის პირველ დღეს აკვირდებოდა, მასში მონაწილე ქვედანაყოფების მოქმედებას მაღალი შეფასება მისცა.

რუსეთის პრეზიდენტმა ასევე აღნიშნა, რომ იგი გეგმავს რუსეთის სამხედრო ძალების მოდერნიზაციასა და მათ აღჭურვას უახლესი საბრძოლო შეიარაღებით.

„კავკასია 2012“ 23 სექტემბრამდე გაგრძელდება.

სტრატეგიული სწავლება ორ ეტაპად, შავი და კასპიის ზღვის აკვატორიასა და 4 პოლიგონზე ჩატარდება.

სწავლებაში სულ 8 ათასი ადამიანი, 200-ზე მეტი საბრძოლო მანქანა, დაახლოებით 100 საარტილერიო იარაღი, 10 საბრძოლო გემი და კატარღა მიიღებს მონაწილეობას.

„კავკასია 2012“-ის დასრულების შემდეგ იმ სამხედრო მოსამსახურეებს, რომლებიც სწავლების პირველ ეტაპს წარჩინებულად გაივლიან, სახელმწიფო ორდენები გადაეცემათ.

**მოამზადა გერა მამულაშვილმა**

# ორმუზის სრუტეში საერთაშორისო სამხედრო სწავლებას აშშ უხელმძღვანელებს

ორმუზის სრუტეში მიმდინარე საერთაშორისო სამხედრო სწავლებას, რომელშიც 20 ქვეყანა მონაწილეობს, აშშ უხელმძღვანელებს. ამის შესახებ განცხადება ბაჰრეინის დედაქალაქ მანამიში შეერთებული შტატების სამხედრო საზღვაო ძალების სარდლობამ გაავრცელა.

– ხომალდები მონაწილეობას მიიღებენ თავდაცვით სწავლებაში, რომლის მიზანიც ახლო აღმოსავლეთის საერთაშორისო წყლებში სტაბილურობის და თავისუფალი ნავიგაციის შენარჩუნებაა, – ნათქვამია სარდლობის განცხადებაში.

სპარსეთის ყურეში აშშ-ის სამხედრო საზღვაო ძალების სარდალი, ვიცე-ადმირალი ჯონ მილერი ამბობს, რომ ეს სწავლება ირანის ან სხვა რომელიმე ქვეყნის წინააღმდეგ არ არის მიმართული.

მანევრებში ამოქმედებულია აშშ-ს, დიდი ბრიტანეთის, საუდის არაბეთის და სხვა ქვეყნების გემები.

აშშ-ს სამხედრო-საჰაერო ძალების სარდლობამ განაცხადა, რომ ეს სწავლებები ყველაზე მასშტაბურია მთელს ისტორიაში ამ რეგიონში ჩატარებულ სწავლებებს შორის.

ეს მანევრები ირანის ბირთვული პროგრამის მიმართ მომატებული დაძაბულობის ფონზე მიმდინარეობს. სწავლებები რეგიონში 12 დღე გაგრძელდება.

პასუხად ირანის შეიარაღებული ძალების გენერალმა, მოჰამად ალი ჯაფარმა, განაცხადა, რომ თავდასხმის შემთხვევაში, თეირანი საპასუხო დარტყმას აშშ-ს სამხედრო ბაზებს ბაჰრეინში, ქუვეითში, გაერთიანებულ საემიროებსა და საუდის არაბეთში მიაყენებს.

უცხოური მედიის ცნობით, სწავლებების მონაწილე ქვეყნები, ისრაელის მხრიდან ირანის ბირთვულ ობიექტებზე დარტყმის მოლოდინში, ძალის დემონსტრირებას ახდენენ.

მათი მიზანია ხელი შეუშალონ ისლამურ რესპუბლიკას სრუტის მინიმიზებასა ან საზღვაო გზის ბლოკირებაში, რომლითაც ყოველდღიურად 18 მილიონი ბარელი ნავთობის გადატანა ხდება. ნავთობის გადატანის შეწყვეტა კატასტროფა იქნება ისეთი ქვეყნების ეკონომიკისთვის, როგორებიცაა დიდი ბრიტანეთი, ევროპა, აშშ და იაპონია, რომლებიც დამოკიდებულები არიან ნავთობისა და გაზის ორმუზის სრუტიდან მიწოდებაზე.

ისრაელის პრემიერ-მინისტრის ბენიამინ ნეთანიაჰუს განცხადებით, ირანი ნახევარი წლის შემდეგ ბირთვული იარაღის შექმნის გზაზე დადგება და ეს სანამ გვიანი არ არის, უნდა აღიკვეთოს.

– ბევრი ლიდერი მთხოვდა, რომ ეს არ გამეკეთებინა, ამბობდნენ, რომ ეს არ არის აუცილებელი. მე ყოველთვის ვპასუხობდი, რომ იმაზე საშიში არაფერია, თუ საჭირო ქმედებებს დროულად არ განახორციელებ. რა არის ირანი ბირთვული იარაღით? წარმოიდგინეთ, რომ ყველა ის ფანატიკოსი, რომლებიც საელჩოების შტურმით აღებას ცდილობენ, მათ შესაძლოა ბირთვული იარაღი მიიღონ. ნუთუ ამის დაშვება შეიძლება? – აღნიშნა ნეთანიაჰუმ და აშშ-ის პრეზიდენტს ბარაკ ობამას კიდევ ერთხელ მოუწოდა, დააწესოს „წითელი ხაზი“, რომლის გადაკვეთის შემთხვევაშიც ირანის მისამართით მშვიდობიანი საზოგადოება ძალისმიერ მეთოდებს გამოიყენებს.

შეგახსენებთ, რომ დასავლეთის ქვეყნები და აშშ ირანს ბირთვული იარაღის შექმნაში ადანაშაულებენ. რის გამოც მათ თეირანს სანქციების დაუწესეს. თუმცა ირანი აღნიშნულ ბრალდებას უარყოფს და აცხადებს, რომ მათ გამდიდრებული ურანი მხოლოდ მშვიდობიანი მიზნების განხორციელებისათვის ესაჭიროებათ.



ამასთან, ირანის ატომური ენერგიის სააგენტოს ხელმძღვანელმა ფორდოს ბირთვულ ობიექტზე დივერსიის შესახებ გამოაცხადა.

ფერეიდუნ აბას-დავანის თქმით, 17 აგვისტოს აფეთქების გამო ურანის გამადიდრებელ ცენტრს ელექტროენერგიის მიწოდება შეუწყდა. აბას-დავანს დეტალებზე არ უსაუბრია. ვენაში ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს სხდომაზე გამოსვლისას მან აღნიშნა, რომ აფეთქება იქამდე მოხდა, სანამ სააგენტოს ინსპექტორები ფორდოს საწარმოს მონახულებას მოითხოვდნენ. მისი თქმით, აფეთქების გამო ელექტროენერგიის მიწოდება ნათანზის ბირთვულ ცენტრსაც შეუწყდა.

აბას-დავანის თქმით, ბირთვულ სააგენტოში შესაძლოა „ტერორისტებმა და დივერსანტებმა“ მოახერხეს შეღწევა: „სავარაუდოდ, ტერორისტებმა იმ სპეციალისტების ჯგუფში შეაღწიეს, რომლებიც ჩვენი ბირთვული პროექტების რეალიზაციაზე მუშაობენ“, - აღნიშნავს დავანი.

საერთაშორისო ინსპექტორები ადრეც და ახლა ცდილობენ დაადგინონ, მუშაობს თუ არა ირანი ბირთვული იარაღის შექმნაზე. თუმცა, თავად ირანი ირწმუნება, რომ მისი მიზანი ბირთვული იარაღის შექმნა არ არის და ბირთვულ პროგრამაზე მუშაობა მას მხოლოდ მშვიდობიანი მიზნებისათვის სჭირდება.

## TV პროგრამა

**ოთხშაბათი 19 სექტემბერი**

**07.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **08.00** დოკ.ფ. "პარიკები და ლამაზი მაქმანები". **09.00, 10.00, 12.00, 16.00, 19.00, 20.00, 02.35** მოამბე **09.10** ან. ფ. "მახინჯი იხვის ჭუკი" **10.30** მხ. ფ. **"პინოქიო"** **12.45** ცხოვრება მშვენიერია. **13.45** ვაშინგტონი დღეს. **14.00** დოკ.ფ. "მარი კიური". **15.00** სერ. **"დეტექტივი"**. **17.00** ეკონომ მენიუ **18.00** პეპე და მეგობრები. **19.05** სერ. **"დღეები ლეონესთან ერთად"**. **21.00** სერ. **"დეტექტივი"** **22.00** ქართული დოკუმენტალისტიკა. **22.40** **ფეხბურთი**. ჩემპიონთა ლიგა. ბაიერნი - ვალენსია. **00.40** მხ.ფ. **"ბიძაშვილები"** (ი. როსელინი) **02.55** მხ.ფ. **"გოგონა წყლიდან"** **04.50** მხ.ფ. **"ტუტანხამონის წყევლა"**.

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 15.00, 17.00, 20.00, 23.00** ბრიფინგის დროით **11.00** დოკ.ფ. "იმპერიის მშენებლობა". **13.00** დებატები - **2012. 14.30** დოკ.ფ. "მსოფლიო ოდისეები". **16.00, 19.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **23.00** დებატები – **2012. 01.00** მხ.ფ.**"როზანას საფლავი"**.

**07.30, 08.00, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 01.00** ქრონიკა. **07.35, 08.10, 09.15** იმედის დილა. **10.05** სერ. **"იღბლიანი მოახლე"** **11.30** ქრონიკა **+ 11.50** სერ. **"უკვდავი ამბავი"** **12.30** დღის შოუ. **14.40** კაცების შოუ. **15.40** სერ. **"მოჯადოებული"** **17.40** სერ. **"მეწამული ცა"** **18.40** სერ. **"შურისძიების სახელით"** **21.00** სერ. **"მემკვიდრეები"** **22.00** სერ. **"თენდება გვიან"** **2**-სერ. **23.00** ექსტრასენთა ბრძოლა. **00.00** ყველაფერი Miss შესახებ. **00.20 25**-ე კადრი. **01.25** მხ.ფ. **"კეთილი ჯონი"**. **03.10** მხ.ფ. **"ბუჩ კესიდი და სანდერს კიდი"** (პ. ნიუმანი). **05.15** მხ.ფ.**"ყაჩაღები"** (პ. კრუსი) **06.20** მუსიკა.

**07.30** დილამშვიდობისა საქართველო. **10.00** სერ. **"ქალის მსხვერპლი"**. **11.00** სერ.**"ეჭვი და სიყვარული"**. **12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00** კურიერი **12.30** სხვა ამბები. **13.00** შუა დღე. **17.00** სერ. **"ტერეზა"** **18.45** სერ. **"მგზნებარე გული"** **19.50** სერ. **"ღირსება და ამბიცია"** **22.00** სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** **22.40** ჩემპიონთა ლიგა. **01.00** ჩემპიონთა ლიგის მიმოხილვა. **01.30** მხ.ფ. (ტიტ.) **03.00** კურიერის დაიჯესტი.

**08.00** ან. ფ. "პრინცესა შეჰერაზადა". **08.55** სერ. **"ჩემი შეყვარებული"** **09.45, 12.00, 15.00, 17.00** ტვ-მარკეტი **10.00** მხ. ფ. **12.15** სერ. **"მისტერ მკვლელობა"** **13.00** მხ.ფ. **15.15** მხ.ფ. **17.10** სერ. **"ვერონიკა მარსი"** **18.00** მხ.ფ. **20.00** სერ. **"ტყუპები"** **21.00** სერ. **"გაუხსნელი საქმე"** **22.00** მხ.ფ. **00.05** მხ.ფ. **01.50** მხ.ფ.

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 03.00** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30** დოკ. ფ. **10.30** დოკ. ფ. **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.40, 15.00, 18.00** თურქულის გაკვეთილი **11.50, 21.25** სერ. **"საგა"** **12.50, 19.35** სერიალი **13.50** დოკ. ფ. "ისინი" **15.15** დოკ. ფ. **16.00** დოკ. ფ. **16.30** დროის ვექტორი **18.15** დოკ. ფ. **19.30** ანონსი. **23.00** სცენა **23.30** მხ.ფ. **"აფეთქება"** **01.00** მხ.ფ. **"ხალხის ვერდიქტი"**

**ერთსულოვნება**

განთიადი. **10.00, 18.05, 21.15** ერთსულოვნების ვერნისაჟი. **10.05, 18.55, 21.55, 22.55, 00.30** ისტორიის დღიური. **10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30** სიახლენი. **10.30, 21.20** ლექსით ქებათა ქება. **10.35** საყმაწვილო ბიბლიური ენციკლოპედია. **10.55** დოკ. ფ. " საქართველოს სიმებიანი კვარტეტი". **11.30** მგზავრები წუთისოფლისა. **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა. **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.00** საეკლესიო კალენდარი. **12.05** ამინდი. **12.10** დროის ჩანაწერები. **13.20** კონცერტი. **15.05, 18.53, 22.50** ერთი ნივთის ისტორია. **15.10, 00.35** განთიადის სტუმარი. **15.30** დოკ. ფ. "მოგზაურობა ბარტ ვულფთან ერთად". **16.55** დები ტრევისის საოცარი სახლი. **16.15** დოკ. ფ. "ველური ბუნება". **16.40** კვირიაკე. **18.10** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას. **18.25** დიდ ხარ შენ, უფალო. **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი. **19.20** მხ. ფ. **"რაჭა ჩემი სიყვარული"**. **20.40** ძილი ნებისა. **21.05** პატრიარქის ქადაგება. **21.30** გზა, რომლითაც ვიარე. **22.25** ქართული ალბომი. **23.00** საღამოს ლოცვა. **23.15** დოკ. ფ. "მთავარანგელოზობა". **23.25** დოკ. ფ. "ქვათახევი". **01.00** მხ. ფ. **"ჩემი მშვენიერი ლედი"** **1**- სერ.

ghjuhfvt,b b,tzlt,f cffutynj 3byajpfdhbc4 yt,fhsdbs

# ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ

შვილები მაია და ეკა მალალაშვილები, და ნელი შამანაძე, სიძეები მუხრან ბაგრატიონი, პაატა დოკვაძე, შვილიშვილები თეონა, ლაშა და გიორგი ბაგრატიონები ოჯახებით, ანანო დოკვაძე, დისშვილი თამარ შამანაძე ოჯახით იუწყებიან

**ირინე მაღალაშვილის**

გარდაცვალებას და ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ.

პანაშვიდი: 18, 19 სექტემბერს, 17 საათზე, ალ.ყაზბეგის 34ა, I სადარბაზო, VI სართული, ბინა 22.

გამოსვენება: 20 სექტემბერს, 14 საათზე, საბურთალოს სასაფლაოს წმ. ნინოს სახელობის ეკლესიიდან.

---

შპს „თერგი 1“-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან მაია მალალაშვილის დედის

**ირინე მაღალაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

შპს „თერგი 1“-ის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თეონა და ლაშა ბაგრატიონების ბებიის

**ირინე მაღალაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

შპს „ქალაქის გულის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან ეკა მალალაშვილის დედის

**ირინე მაღალაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

შპს „კოლხას“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან თეონა ბაგრატიონის ბებიის

**ირინე მაღალაშვილის**

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ გარდაცვლილის ოჯახს.

---

ალექსანდრე იაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს მაია და ეკა მალალაშვილებს დედის

**ირინე მაღალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ზურაბ ქოქოლაძე ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს მაია და ეკა მალალაშვილებს დედის

**ირინე მაღალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ჯემალ ქადაგიშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყება და თანაგრძნობას უცხადებს მაია და ეკა მალალაშვილებს დედის

**ირინე მაღალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ლელა გაბრიჩიძე, ვანო ზოდელავა, ავთანდილ იაშვილი, ფრიდონ ინჯია, მელორ და მერაბ ტყეშელაშვილები, ზაზა და გია ქათამაძეები, დემურ გადელია, ზაზა მაზმიშვილი, ტარიელ რაზმაძე, გოჩა ყანჩაველი, კახა კვიციანი, დათო ბენიძე, რეზო ხვედელიძე, გურამ ახალაია, გია მიქელაძე ოჯახებით მწუხარებით იუწყებიან მუხრან ბაგრატიონის მეუღლის, ქალბატონი მაია მალალაშვილის დედის

**ირა მაღალაშვილის**

გარდაცვალებას.

---

ირინე ბაგრატიონი და ევგენი ბარათაშვილი ოჯახით ღრმა მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ მაია და ეკა მალალაშვილებს დედის

**ირინე მაღალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

მამუკა, ნინო, ხათუნა ბაგრატიონები ოჯახებით, დიდრო ახალაია შვილებით თანაგრძნობას უცხადებენ მაია და ეკა მალალაშვილებს დედის

**ირინე მაღალაშვილის**

გარდაცვალების გამო.

---

ლელა გაბრიჩიძე, მელორ ტყეშელაშვილი, დავით ბენიძე, ლადო კვარაცხელია, ფრიდონ ინჯია, ავთანდილ იაშვილი, ზაზა და გია ქათამაძეები, გოჩა ყანჩაველი, ვანო ზოდელავა, მუხრან ბაგრატიონი, კახა ბაკურაძე, ტარიელ რაზმაძე, გურამ ახალაია, გია მიქელაძე, დემურ გადელია, კახა კვიციანი, რეზო ხვედელიძე ვიზიარებთ მწუხარებას საუკეთესო მეგობრისა და მეზობლის ზაზა მაზმიშვილის ძმის

**ზურა მაზმიშვილის**

გარდაცვალების გამო.

---



ნანა მაჭავარიანი, მარინა მაჭარაძე თანაუგრძნობენ მეგობარს, მანანა ლომაიას მეუღლის

**გენო ანდროს ძე ჩიქვინიძის**

გარდაცვალების გამო.

ცფვუქჯდბფჯჯ უფყნ[ფლჭ,ჭ,ბ ჳზბქჭ,ფ .ჯდჭქლქჭ7 რდბჰბს უფჰლფ7 !@-ლფყ !& ცფფსფვლჭ8

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba

**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

9 seqtemberi

აშშ დოლარი — 1,6461

ევრო —2,1261

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,5779

რუსული რუბლი — 0,0512

**ამინდის პროგნოზი 19 სექტემბრისთვის**

აღმოსავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 24-27, ღამით — 10-12

დასავლეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 26-31, ღამით — 13-19

სამხრეთ საქართველო: ცვალებადი მოღრუბლულობა, დღისით — 20-22, ღამით — 8-10




# 24 seqtembridan

# „ახალ თაობასთან“ ერთად

## უნიკალური გამოცემა

# cfmfhsdtkjcbcnjhbf

## ერთ წიგნად/

დავით მუსხელიშვილის, მიხეილ სამსონაძისა და ალექსანდრე დაუშვილის მონოგრაფია სამეცნიერო-პოპულარული ნაშრომია, გამიზნული როგორც სპეციალისტების, ისე ფართო საზოგადოებისთვის. მასში მოკლედ და მკაფიოდაა გადმოცემული ჩვენი ქვეყნის თავგადასავალი უძველესი დროიდან 2009 წლამდე.

## საქართველოს რაგბის კავშირის განცხადება

ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ სიტუაციაში ბევრი სპორტსმენი ჩაერია და რამდენიმე მათგანი საპარლამენტო არჩევნებში კენჭსაც იყრის. ამის გამო ძალიან ბევრი დაპირისპირება მოხდა. ერთადერთი, ვინც პოლიტიკური ნიშნით სპორტსმენების განსხვავებას არ აპირებს, საქართველოს რაგბის კავშირია, რომელმაც სპეციალური განცხადება გააკეთა.

— ერთ-ერთი ქართული ტელევიზიის ეთერით გავიდა სიუჟეტი, რომელიც ეხებოდა საქართველოს სარაგბო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში მოასპარეზე კლუბ „არმაზის“ ორ მორაგბეს, ძმებ ჯიშკარიანებს. სიუჟეტში ლაპარაკი იყო იმაზე, რომ მათ არ მიეცათ საქართველოს ჩემპიონატის მორიგ კალენდარულ მატჩში მონაწილეობის უფლება იმ მოტივით, რომ ისინი არიან ერთ-ერთი პოლიტიკური პარტიის წევრები. საქართველოს რაგბის კავშირი სწავლობს ამ ფაქტს. თუმცა კლუბ „არმაზის“ ხელმძღვანელობასთან საუბრის შემდეგ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ძმები ჯიშკარიანები რჩებიან კლუბის წევრებად და აუცილებლად გააგრძელებენ კლუბში თამაშს. ზოგადად კი ქართული სარაგბო თემის სახელით შეგვიძლია განვაცხადოთ შემდეგი: კატეგორიულად დაუშვებელია სპორტსმენების პოლიტიკური ნიშნით განსხვავება და ამის საფუძველზე მათი საქმიანობისთვის ხელის შეშლა, რადგანაც ეს საფუძველშივე ეწინააღმდეგება სპორტში დამკვიდრებულ პრინციპებსა და სარაგბო ფასეულობებს.

მ. ჟ.

## ინდოეთში მსოფლიოს ყველაზე პატარა კულტურისტი გარდაიცვალა

ინდური გაზეთის, „ზე თაიმს ოფ ინდიას“ ინფორმაციით, პენჯაბის შტატში გარდაიცვალა მსოფლიოში ყველაზე პატარა კულტურისტი, დევ ადიტია, მეტსახელად რომეო. იგი 23 წლის იყო.



მისი სიმაღლე იყო 80 სმ, წონა 9 კილოგრამი. რომეომ სახელი იმით გაითქვა, რომ თავის წონასთან შედარებით მნიშვნელოვან სიმძიმეებს ეწეოდა. ცალი ხელით სამკილოგრამიანი ჰანტელის აწევა შეეძლო, დაწოლილს კი 6 კილოგრამიანი ტვირთის აჭიმვა.

მისმა მწვრთნელმა რანჯიტ პაბლამ რომეოს გარდაცვალებას პენჯაბის შტატისა და მთლიანად ინდოეთისათვის დიდი დანაკარგი უწოდა.

„რომეო ყველას ყურადღებას იპყრობდა, არ ყოფილა შეჯიბრება, რომ ჯილდო არ მოეპოვებინა“, — ამბობს იგი. მწვრთნელის აზრით, რომეო ნიჭიერი მოსწავლე იყო და ყველაფერს ადვილად ითვისებდა.

გ.თ.

## ცეცხლოვანმა ქარბორბალამ კინოგადაღებაში მონაწილეობა გადაწყვიტა



ავსტრალიელი რეჟისორის, კრის ტენჯისა და მისი კოლეგებისათვის გადაღებების მორიგი დღე მეტად უჩვეულოდ დასრულდა — გადაღების მოედნიდან 300 მეტრის დაშორებით მათ ცეცხლოვანი ქარბორბალა დაინახეს. დაახლოებით 30 მ სიმაღლის ცეცხლოვანმა სვეტმა მათ შორიახლოს რეაქტიული გამანადგურებლის ხმაურით ჩაიქროლა და 40 წუთის განმავლობაში გრძელდებოდა.

ჩვეულებრივ, ცეცხლოვანი ტორნადოს ხანგრძლივობა რამდენიმე წუთია. უცნაური კიდევ ის იყო, რომ ამჯერად ცეცხლოვანი ქარბორბალა, უქარო, გრილ ამინდში წარმოიქმნა.

ეს შემთხვევა ავსტრალიის ცენტრალურ ნაწილში, ქალაქ ელის სპრინგსის მახლობლად მოხდა. თავად რეჟისორის თქმით, ცეცხლოვანი ქარბორბალას დანახვაზე ყბა ჩამოუვარდა. „ოცდასამი წელია აქ ვილებ და მსგავსი არაფერი მინახავს“, — თქვა მან.

რეჟისორის თქმით, მსგავსი სანახაობისათვის იგი 1000 დოლარსაც არ დაიშურებდა. გადამღებ ჯგუფს დრო ფუჭად არ დაუკარგავს და იშვიათი ბუნებრივი მოვლენა ფირზე აღბეჭდეს. სპეციალისტების თქმით, ცეცხლოვანი ტორნადო მეტად იშვიათი და სახიფათო ბუნებრივი მოვლენაა. 1923 წელს იაპონიაში ცეცხლოვანმა ქარბორბალამ, რომელიც 15 წუთი გრძელდებოდა, 38 ათასი ადამიანი იმსხვერპლა.

გ.თ.

## .ღტაფე უფბსღფჯაბცობყტს=

### fcnhjghjuyjpb

!( ცსმნტ3,ჰბცსღბც

**წარმატებული დღეა**

**ღტპ'ბ** — ახალი წამოწყება გაამართლებს, იაქტიურეთ. **რე-პჯ** — საიდუმლოს ნურავის გაანდობთ, არ არის საჭირო. **ნ.ეგტ,ბ** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **რბპხ[ბ,ბ** — წარსულიდან ვილაც ბრუნდება, მის მიმართ მიმტევებელი იყავით. **კჯვბ** — თქვენი საქმე წინ მიდის, მთავარია თავში არ აგივარდეთ. **მფკოეკბ** — ნუ ენდობით გადაუმოწმებელ ინფორმაციას, არ ღირს ნერვების აშლა. **ცფცოჯპბ** — სხვის მიმართ მიმტევებელი იყავით, წინ დაგხვდებათ. **ქპბფყრფკბ** — უარი არ თქვათ შემოთავაზებაზე, ჯერ კარგად დაფიქრდით. **ვიდბკლჯცფყბ** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ს[ბც პმფ** — გზიდან ვილაც ჩამოდის, მისი ნახვა გიხარიათ. **პტპო.ეკბ** — არ აყვეთ პროვოკაციას, თქვენთვის იყავით. **სტღპტ,ბ** — ნუ მიიღებთ მძიმე საკვებს, გადაიტვირთებით.

უბცეჰღტ,ს ,ტლყბტჰ ლქტც=

## h3xცღx3ლბ ფ

**შვეულად**: 1. სპორტული საფარიკაო იარაღი; 2. პეპლების საჭერი ბადიანი მოწყობილობა; 3. აეროპორტი ბრიუსელში; 4. ირანის სახელმწიფო ენა; 5. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 8. ტრიგონომეტრიული ფუნქცია; 9. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი აღმოსავლეთ საფრანგეთში 12. ქათმისებრთა ოჯახის გარეული ფრინველი; 14. რაიმე ნაკეთობის, შენობის შემცირებული ზომის მოდელი; 16. ზღვის დიდი კიბორჩხალა.

**თარაზულად**: 1. ნატოს გენერალური მდივანი; 6. მაღალმთიანი ტბა ნინოწმინდას რაიონში; 7. მანძილის საზომი ერთეული ასტრონომიაში; 9. შვეიცარიის ფეხბურთელთა გუნდი; 10. ყველაზე დიდი ტბა იაპონიაში; 11. საავტომობილო საბურავების მწარმოებელი იაპონური ფირმა; 13. სამკითხაო ქვიშა; 15. პოპულარული მაგიდის სათამაშო; 17. სოფელთა სახელწოდება შუა-აზიაში; 18. სამგზავრო სარკინიგზო ვაგონის ქართული სახელწოდება; 19. რაიონული ცენტრი სვანეთში; 20. მდინარე ამაზონში ბინადარი მტაცებელი თევზი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*




## იუმორი



— ჩემი ძველი სამსახური ძალიან მომწონდა, მაგრამ ცოლმა მითხრა, მთელი ცხოვრება დივანის მძღოლად ვერ იმუშავებო...

❖ ❖ ❖

ტიპი მამალს ყიდის.
— რას აფასებ?
— ათას დოლარს.
— ისეთი რა განსაკუთრებულია?
— არც არაფერი, უბრალოდ, ფული მჭირდება.

❖ ❖ ❖

— მოთმინების ფიალა გაგევსო? უფრო დიდი ჭურჭელი შეიძინე...

❖ ❖ ❖

— როგორ ჩაიარა პაემანმა, რაღაც გამოუძინებელს ჰგავხარ?
— არა, რაც გგონია, ის არ არის... თუმცა, ახლა ვფიქრობ, მოვიყვანო ცოლად თუ არა.
— თქვენ ხომ ორი დღეა იცნობთ ერთმანეთს?!
— ახლავე აგიხსნი ყველაფერს. მოკლედ, შინ მივიყვანე, სინათლე ჩავაქრე, წყნარი მუსიკა ჩავრთე, ხელი მოვხვიე... ამ დროს მეუბნება, კომპიუტერის ეკრანზე რაღაც ციმციმებსო, მივიხედე, ვირუსია. ხომ იცი, რამდენი ხანია მაგ კომპის გაცოცხლებას ვცდილობ, ინტერნეტისთვის მეორეც კი ვიყიდე... მოკლედ, ჩაი და ბუტერბროდები რომ მომიტანა, პაემანი მხოლოდ მაშინ გამახსენდა...
— შეირთე თორემ სხვები დაგასწრებენ...

❖ ❖ ❖

— სულელების რაოდენობა იზრდება, გამოდის, ხარისხი ეცემა...

გ. თ.

avtorizebuli Tbilisis turizmis akademia acxadebs miRebas:

- გიდის (I, II, III, IV საფეხური)
- ინტერნეტტექნოლოგის (ვებსპეციალისტი) (I, II, III, IV, V საფეხური)
- კორესპონდენტი (III საფეხური)
- მუსიკოს-რეპეტიტორი (V საფეხური)

I, II, III საფეხურზე მიიღებიან გასაუბრების წესით 9-12 კლასდამთავრებულები.

IV, V საფეხურზე „ზოგად უნარებში“ გამოცდაჩაბარებულები.

გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული დიპლომი.

თბილისი, მ.კოსტავას 47, 599 188924, 2936603, 2999626, 2990724.